ალავერდი

ალავერდის ეპარქიის ყოველთვიური

ვარდობისთვის 08 თებერვალ 2003 წელიდან

ეროვნული ფასეულობა

...

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
დადგეს ეიჟინის კორიანტელი,
რომ საქართველოს რწმენის აკვანი
კვლავ იდგეს ტურფა და სანატრელი.

მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი,
მტერს ავი თვალი დაენისლება,
ვინც ჩვენ ერთმანეთს უცებ გაგვეარა,
სატრფოსთან შეერას არ ეღირსება.

თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად,
მამულისათვის, მამულისათვის,
ძმებო, სიკვდილი ან გამარჯვება!

ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!

როგორ დაცხრება, როგორ დაცხრება,
დაუცხრომელი ხალხის ბუნება,
თავისუფლება და აღტაცება,
დაუცხრომლობით აღისრულება.

მამულისათვის, მამულისათვის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!

ჯანსუღ ჩარკვიანი

ცინცხალი

ხანგრ

ვაზეთი დაიგვიდეგოდა

ისტორიისთვის

სპეციალური ინტერვიუ სპეციალურ ჟურნალისტი

ალავერდის ეპარქიის ეკლესიური ...

ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული მზის სხივებით დაფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა:

- მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალივით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ:

- მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა, და ბრძანების კილოთი ამბობს:

- მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას, იწყებს მკვირცხლი რიონი, შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი:

- მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა:

- მოუარეთ საქართველოს!

-80-
წელი

როგორც ჩანს, ერთი მძიმე ავადმყოფობა ყველა ადამიანმა უნდა გადაიტანოს ცხოვრებაში, რომ მთელს თავის განვლილ ცხოვრებას ანალიზი გაუკეთოს და მის მიერ განვლილი გზა ხელმეორედ გაიაროს უკვე დადინჯებული გონებით.

მარადისობის კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ... ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...

* * *

ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან.

* * *

იქნებ ვაზია სამშობლო, აბა დაკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია, ცაში ხელებაწვდილმა. ორთავე საოცრად წააგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს!

14 აპრილი - ქართული ენის დღეა!

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე,რუსულსა თუ დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულადაც ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით ცოცხალი ქართული, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრსა და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს არამარტო ზოგადი, არამედ განყენებული ცნებებით. ისე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

ნიკო მარი

... და სიმბოლო ერია ოქროს ფესვებიდან

ღმერთი და კაცი

იმისათვის, რომ ქართული ენის ფესვების სიღრმე სრულფასოვნად წარმოვისახოთ და ამავდროულად მისი სტრუქტურის მშვენიერება აღვიქვათ, სულ მხოლოდ ორად-ორი სიტყვის სრულყოფილად გააზრებაც იკმარებს. ეს სიტყვებია „ღმერთი“ და „კაცი“. უკეთესი სიმბოლური სიტყვების მოძიება არ იქნებოდა, რადგან დასაბამითი სიბრძნე, ღვთისმიერი სიბრძნე ამ სიტყვების საიდუმლოში განისვენებს. ამიტომ მათი გაგებით გავიაზრებთ თვით ქართულ ენაში დამკვიდრებულ ტკბილხმოვანებით მონიჭებულ ღვთიურობას, კეთილხმოვანებით რომ მეტყველებს.

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა (ამასვე ადასტურებს მრწამსის პირველი მუხლი: მწამს ერთი ღმერთი - მამა ყოვლისა მპყრობელი ხილულთა ყოველთა და არახილულთა...); ღმერთი გადმოითარგმნებისო, - განაგრძობს საბა, - ხედვა და წვა“. ეს სიტყვა რომ ორი სხვადასხვა სიტყვის შერწყმით მივიღეთ, ამას ნათელყოფს მისი მეორე ნაწილი სიტყვა „ერთი“, რამეთუ ის ერთია, მის გარდა სხვა ღმერთები არარსებულან“, - გვასწავლის ქრისტიანული სარწმუნოება; ერთი – ერთია და ერთები. საიდუმლო პირველ ორ ასო-ბგერად შერჩენილ სიტყვის ნაშთშია დაფარული - „ღმ“. ამ კოდის გასაღები წარმართულ ეპოქებში და შესაძლოა უძველეს ენებსა და კილოკავებში იყოს მიმობნეული. საბაზე დაყრდნობით კი შესაძლებელია ერთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომლითაც ამ სიტყვის პირვანდელ სახეს აღვადგენთ, ან მივუახლოვდებით მისი პირველადი არსის საძირკველს: „ხედვა და წვა“ უნდა იყოს ამ სიტყვის გასაღები. ხედავს და არ უყურებს. ხედვა მიხედვასაც ნიშნავს, ღმერთის ბუნებაა მიხედოს თავის შექმნილს. მიხედვა პატრონის უფლება–მოვალეობაა თავისთავად, პატრონი კი ღმერთია ამ სამყაროსი.

ამას ემატება სიტყვა „ღრმა“, რაც ასევე საბას მიხედვით განიმარტება, როგორც „ძნელად ჩასაწდომი“. ესეც ნიშანდობლივი სიტყვაა საერთო სურათის დასახატად, რადგან ღვთის რაობა მართლაც ადამიანთათვის ძნელად ჩასაწვდომია, და სავარაუდოა, რომ ასო „მ“-ს გაჩენა „ღმერთის“ სიტყვათწყობაში აქედან მომდინარეობს.

მეორე ვერსიითაც, უფლის ანუ იაჰვეს შინაარსობრივი სტრუქტურა ქართულმა გონმა „იაღვ“ - ერთად გარდასახა, რადგან მიცემით ბრუნვაში სიტყვაში ჩნდება ორი ურთიერთსაპირისპირო ასოები: ღმრთის, ღვთის, - „ვ“ და „მ“.

„ღმ“-ს შესახებ ასე თუ ისე წარმოდგენა გვაქვს, ახლა ისმის კითხვა, რა არის „ღვ“. იქნებ ღვინო ღვთის, ღვთიურ სითხეს ნიშნავს და თავსართად ამიტომ არის ეს უცნაური დამთხვევა, განა შემთხვევითია, უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს სისხლად ღვინო რომ ითვლება...

სწორედ ამ ღმერთმა შექმნა თავის ხატად და მსგავსად კაცი: არსება - სხეულიერი, სულიერი, მგრძნობიერი და სიტყვიერი, - მისი მოკვდავობა კაცმა თავად პირველცოდვით დაცემის შემდეგ შეიძინა. ეს სიტყვა ზოგადი ცნებაა, ხოლო სქესობრივი განშტოებით მამა-კაცად და დია-ცად იყოფა. ამ სიტყვაშიც თვალნათლივია „ცა“, არამიწიერობა, მისი ზებუნებრივი ძალის, ღმერთის ქმნულობაზეა მეტყველი, მამაციც ამის აღმნიშვნელია. აქ იდეაა ცის. გურიაში დღესაც „ცას“ უწოდებენ ქალს. ადამიანის ციურობის დამადასტურებელია თვით შესაქმის პირველი თავებიც. „კა“-ს ანუ „კაის“ ცასთან დაკავშირებით სიკეთის ნაწილის შეერთება ხდება ზენაარსთან, ზეცასთან, ცასთან - ღმერთთან.

აი, როგორი უნიკალურია ქართული ენა და რა სიმდიდრეა დაცული მასში. თავისი სიძველის უნიკალობით ცხოველი ინტერესის აღმძვრელია, ვინც მოიწადინებს ჩაწვდეს ქართული ენის ფილოსოფიურ სათავეებს. ქართველობის მსოფლიო მნიშვნელობაც ამითაა აღსანიშნავი. ენა ამით დამკვიდრდა ცოცხლად და განმტკიცდა ცხოვლად თვითმყოფადობით, აგრეთვე სიბრძნე ჩააქსოვა სიტყვიერ მასალაში.

ღვთის მადლით იყო გაჯერებული ქართველი ერი და ქართული ენა. ამიტომაც იოანე ზოსიმე ქართული სამყაროს გზით განიხილავს აპოკალიფსურ ხანას და ამბობს იგი: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ზოგიერთ მეცნიერი სიტყვა „ენას“ ენადვე მიიჩნევს, ზოგისთვის კი ზოგადად ერის, მისი ყოველი ატრიბუტის აღმნიშვნელი ფართო მნიშვნელობის ცნებაა. ნებისმიერ შემთხვევაში აპოკალიფსიურ ფაზაში უფლის მეორედ მოსვლის შემდეგ ქართველი ერი, ქართული ენა მაცხოვრის უპირველეს სამსახურში ჩადგება... და იყოს ასე...

დამპყრობლების როლი

საქართველო მცირე ერია, მის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერიტორიების მფლობელობის დროს თვით ეს ტერიტორიები კვადრატული კილომეტრებით დღევანდელი საშუალო მოცულობის (ტერიტორიული სიდიდის) ევროპულ ქვეყანას არ აღემატებოდა, და ესეც კი ვერ შევინარჩუნეთ. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული კოდი დიდ მასშტაბებს ვერ ფლობს, სამაგიეროდ სულიერ ასპექტში ყოველთვის ვიყავით დავითიანნი, გოლიათებთან მოჭიდავე ქონდრისკაცები და მაინც დღესამომდის მოსულები. დამპყრობლები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ჩვენ კიდევ ღირსეულად და უღირსად, მომზადებულნი, ან მოუმზადებელნი ვხვდებოდით. ისინი მოდიოდნენ ათასნაირი მეთოდით, ათასნაირი სიმძლავრით, ჩვენ ვუხვდებოდით - ან თავს შევაკლავდით, ან დაველოდებოდით მათ შესუსტებას, ან არადა ერთი თუ მოვიდოდა მეორის მოსვლას ჩვენვე განვაპირობებდით და მტრები ერთმანეთს ხოცავდნენ. ჩვენ კიდევ ველოდით, თუ როდის გაწყდებოდა ან შემცირდებოდა ურჯულო, რათა ნარჩენებს ჩვენ გავსწორებოდით. ასეც იყო, ასეც არის და ასეც იქნება. მტრები თუ მიდიოდნენ, თავიანთ კვალს დაუზოგავად ტოვებდნენ საქართველოში. ეს კვალი გაჩეხილი ვაზები, დახოცილი წმინდანები და დალეწილი ეკლესიები იყო და მაინც ყველაფერმა თავისი ანარეკლი ლექსიკოგრაფიაში ჰპოვა. ენამ შემოინახა სპარსული, მონღოლური, არაბული, ოსმალური, რუსული ბარბარიზმები, რომელთა უმრავლესობა მტკიცედ ჩაჯდა ქართულ ლექსიკაში.

ზოგიერთი სიტყვის წარმომავლობა, თუ არა მეცნიერული გამოკვლევებით, ვერ ვადგენთ, რადგან საუკუნეების წიაღში ქართულმა სიტყვიერებამ შეინისნლხორცა ისინი, სამაგიეროდ განიდევნა ისეთი ძირძველი სიტყვები, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და არსით ერის ისტორიის, ფილოსოფიური აზროვნების, ეთნოგრაფიის და სხვათა მატარებელია. სიტყვები მრავლადაა გაბნეული ქართული ლიტერატურის უმრავლეს შედევრებში და შესაძლოა ავტორებმა არც იცოდნენ, რომ ესა თუ ის სიტყვა ამა თუ იმ ექსპანსიის შედეგადაა დამკვიდრებული. თვით ლიტერატურული გმირებიც კი თავიანთ ყოფით მეტყველებაში ხმარობდნენ ასეთ სიტყვებს და ეს უმთავრესად ეპოქის კოლორიტის ზუსტად გადმოცემისთვისაა მწერლის მიერ გამოყენებული და არა პოპულარიზაციისათვის. ქართველი მწერალი ყოველთვის ცდილობდა წმიდა სალიტერატურო ენით ეწერა და ყველაზე საყვარელ მწერლად ითვლებოდა და ითვლება ის, ვინც ქართული სიტყვიერების მდიდარ მასალას მაქსიმალურად იყენებდა თავის შემოქმედებაში.

თვით ყველაზე გონიერი დამპყრობელიც კი ანგარიშს უწევდა ქართულ ენას, ქართველ ერს და ბევრ სასარგებლოს სწავლობდა ჩვენგან, ასე მაგალითად: ცოტნე დადიანი, კი, მართლაც გმირი იყო, მაგრამ არანაკლებ გმირი იყო ის ნოინი, თუ ყაენი, რომელმაც ღირსეულად შეაფასა და დაიფასა მისი თავგანწირვა. სწორედ ესაა ქართულ სამყაროსთან ზიარების ნათელი დასტური.

ორი პოლემიკა, ორი საუკუნე და ერთი საკითხი

ერთი უცნაური თითქოს, თორემ ეპოქალური არსით დამუხტული ორმნიშვნელობიან და ლოგიკურ განტოლებაზე მსურს შევჩერდე, რომელიც მაინცა და მაინც ქართული ენისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის ირგვლივ მოხდა - პირველი XIX საუკუნის 60-70-იან წლებში და მეორე - XX საუკუნის ასევე 70-იან წლებში, ე.ი. მთელი ერთი საუკუნის ინტერვალით. ისტორია ასე თუ ისე განმეორდა, ოღონდ სხვადასხვა პოლიტიკურ ავანსცენაზე და ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით. ერთი უდავოდ უცვლელი დარჩა - დავის ობიექტი და დაპირისპირებული მხარეები. როგორც აღვნიშნე და ისტორიიდან ნათელია, დავის ობიექტი იყო ქართული ენა, ქართული მსოფლმხვრეტა და მენტალიტეტი, თავისთავად ამ დავაში აქტიური პოლემიკის საგანი არ ყოფილა პოლიტიკური ორიენტაცია. მთავარი იყო ერის სიწმინდის დაცვა. პირველ შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ ერთის მხრივ გარუსებული ქართველი ღენერალ-ჩინოვნიკები, თავადაზნაურობა (მაინცა და მაინც გრიგოლ ორბელიანის თაოსნობით), მეორეს მხრივ კი თერგდალეულთა თაობა - სტუდენტობაახალდამთავრებული ახალგაზრდები, - ცხოვრების ასპარეზზე ახალგამოსულები ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

ენის ფაქტურა, მისი გრამატიკული ნორმები დამძიმებულ-გაუხეშებული იყო იმ პერიოდში, ჯერ ერთი მძიმე არასაჭირო არქაიზმებით და შემდეგ კიდევ რუსული სიტყვებით ავსებული სამეტყველო ლექსიკური ერთეულებით, ივიწყებდნენ რა ქართული საგანძურის ამ შესანიშნავ მარგალიტებს. გრამატიკა, რომ მოქნილი და გამარტივებული ყოფილიყო პირველყოვლისა სმენისთვის და შემდეგ ხმარებისათვის, ამისათვის რეფორმა იყო ჩასატარებელი ქართული ენის ახალი ნორმების დასამკვიდრებლად.

როგორც ცნობილია, გამარჯვება თერგდალეულებს დარჩათ. მეორე შემთხვევაში, ანუ 100 წლის შემდეგ იგივე პრობლემა იდგა, ოღონდ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების საკითხში. მავანი და მავანი მოწადინებული იყო ქართული ენა ამოეღოთ საყოველთაო ხმარებიდან საქართველოს ტერიტორიაზე და ეს გეგმა კონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო გამყარებული. ბრძოლა უთანასწორო იყო - ერთის მხრივ ბარიკადის ერთ მხარეს იდგა საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სსრ კავშირის მონსტრი-იმპერიის „ბებერი მეზრუნეები“, მეორე მხარეს კი იდგა სტუდენტი ახალგაზრდობა და ინტელიგენცია, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იდგნენ.

ამ უკანასკნელთა თაოსნობით აგორდა უკმაყოფილების ნიაღვარი თბილისში და დაგვირგვინდა 1977 წლის 14 აპრილის გამარჯვებით, რადგან ძლიერმა ამა სოფლისამან პოზიციები დათმო, იურიდიულად ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა სხვა იყო. სახელმწიფო-მონსტრი აგრძელებდა თავის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ოღონდ შეფარვით, კონსტიტუცია არ უმაგრებდა ზურგს, და მიტომ. ამ მონაპოვარს დაცვა სჭირდებოდა, დღემდე რომ მოსულიყო ასწლოვანი გამარჯვების ნაყოფი.

და ისევ და ისევ პარალელები:

გასაოცრად გვანან ერთმანეთს თავიანთი ბედ-იღბალით წინამორბედ-შთამომავალნი, ერთის მხრივ ჭავჭავაძე-გამსახურდია, მეორეს მხრივ კი ორბელიანი-შევარდნაძე. თვით ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო ერთმანეთის ალეგორიული ფორმის ახსნა განმარტებაა, სხვა არის მხოლოდ სიკვდილისწინა ეროვნული მასშტაბი და მკვლელობის ფორმა; მკვლელობის შინაარსი და იდეა იდენტურია, იდენტურნი არიან მკვლელებიც. ასევე გასაოცრად ჰგვანან ერთმანეთს როგორც ისტორიული ტიპაჟები, გრიგოლ ორბელიანი და ედუარდ შევარდნაძე - ორთავე გენერალი, ორთავე რუსის სამსახურში, ორთავე გარუსების აქტიური და აგრესიული მომხრე, ორთავემ რუსეთის გზაზე მიაღწიეს უდიდეს კარიერას, ორთავე, ერთი - რაღაც მომენტში, მეორე - ხანგრძლივად საქართველოს საჭეთმპყრობლები იყვნენ, დამარცხების შემდეგ ორთავეს სურვილი იყო ქართული ენის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლა-პოლემიკებში გამარჯვება საკუთარი თავისთვის მიეწერათ და ამდენად გამარჯვებულადაც გამოაცხადეს თავი. ორთავე შემთხვევაში მათი სიცოცხლის ბოლო სრული მარტოობით გამოირჩევა. ერთი განსხვავებით, რომ შევარდნაძე ლექსებს არ წერს, მემუარულ ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას.

მომავალი პერსპექტივები

რას უქადის მომავალი ქართულ ენას...

მას გარეგნულად საფრთხე არ ემუქრება, მას მტერი აშკარად ვეღარ ახლებს ხელს, მაგრამ არსებობს გაცილებით დიდი საფრთხე, რაც ისევ და ისევ, მხოლოდ და მხოლოდ უმეცრების დამსახურებაა, და მეტი არაფერი. ბევრი ტელე და პრესის ჟურნალისტი სცოდავს, ამახინჯებს ან წინასწარგამიზნულად, ან უმეცრებით ქართულ მეტყველებას. ამით „ობივატელის“ ყურს და თვალს აჩვევს ათასნაირ სიმახინჯეს. ფუჭად იქნება ჩაყრილი წინაპართა მეცადინეობანი, თუკი ვიღაც აბეზარმა ჟურნალისტმა ყველაზე დიდი პროპაგანდისტული ყუთის მეშვეობით ყური დაუბინძურა მსმენელს თავისი ცუდი მეტყველებით. სამწუხაროდ, გაზეთების ფურცლებიდან გაქრა პუბლიცისტიკა და მხოლოდ უნიჭო ინტერვიუებით აჭრელებულა პრესის ფურცლები. უნიჭო არათუ მხოლოდ ჟურნალისტი, უმეტესწილად რესპოდენტია... და ყველაფერი ეს კეთდება მხოლოდ თვითრეკლამისათვის, რათა საზოგადოებას ამა თუ იმ ქალმა თავისი ხორცის ნაწილები გამოამზეუროს, ან ვიღაც თაღლითმა და ავანტიურისტმა პოლიტიკოსადწოდებულმა ან გაბიზნესმენებულმა აფერისტმა ქვეყანას დაანახოს, თუ როგორ განცხრომაში ცხოვრობს, ხოლო რას იტყვიან და დაწერენ, ნაკლებ აინტერესებს.

ჟურნალისტის მოვალეობაც სამწუხაროდ იმით ამოიწურება, რომ მივიდეს მასთან, გადაუღოს მრავალ პოზაში სურათები, უკეთესები გამოაქვეყნოს, წესისამებრ ერთი-ორი აუცილებელი შეკითხვა დაუსვას, დანარჩენები საუბარს მოჰყვება და ყველაფერი დიქტოფონზე ჩაიწეროს, მერე სახლში გადაწეროს და მასალაც საგაზეთოდ მზად იქნება.

ერთი უბრალო თითქოსდა „ვითომ მერე რა...“ მაგალითი: ხშირად ხმარობენ სიტყვას „დააგემოვნა...“ საიდან ისწავლეს, როდესაც არსებობს სიტყვა „იგემა...“ უფრო მოკლედ და ლამაზად გამოსათქმელი სიტყვა. ამ „დააგემოვნა“-ში ვითომ რაღაც ანგლო-საქსური ელფერის მიცემა სურთ, უაზრობა კი გამოსდით.

ასეა ეს, როცა გაუაზრებლად „ორიგინალობ“.

ენას ხუმრობა არ უყვარს. ჩვენი ენა იმდენად უძველესია, რომ ხუმრობაც კარგად გამოითქმის, ანეკდოტებიც, რომანებიც კარგი იწერება და ლექსებიც. ესაა, რომ მსოფლიო გასაქანი არა აქვს ამ დალოცვილს.

მანუჩარ კაჭახიძე

... ეროვნული ენა

21 მაისის საპარლამენტო არჩევნების პირველი ოფიციალური შედეგები

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 23 მაისს პირველი ოფიციალური წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც 3270 უბნის მონაცემებს ეყრდნობა.

პროცენტული მაჩვენებელი პოლიტიკური სუბიექტების რიგითობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ - 0.46%;
2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 3.78%;
3. მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები - 0.92 %;
4. ლეიბორისტული პარტია - 7,55%;
5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის - 59.48 %;
6. საქართველოს სპორტსმენთა კავშირი - 0.21%;
7. გაერთიანებული ოპოზიცია - 17.69%;
8. სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია - 0.18%;
9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“ - 0.89%;
10. „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“ - 8.26%;
11. „ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ - 0.46%;
12. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ - 0.12%.

მოსკოვში ქართულ სახლს ალბათ აფხაზური შეცვლის

მოსკოვში აფხაზეთის კულტურულ-საქმიანი ცენტრის მშენებლობა 2010 წლისთვის დასრულდება.

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, მოსკოვის მერიამ ცენტრის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთი მოსკოვში, ზემლიანოის ვალის ქუჩა 77-79-ზე გამოჰყო.

მოსკოვის მერიის ინფორმაციით, ცენტრის ტერიტორიაზე აშენდება დიდი სასტუმრო და საოფისე კომპლექსი. 2600 კვ.მეტრზე განთავსდება 100-ადგილიანი სასტუმრო, 9143 კვ.მეტრზე კი, მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომი 282 მანქანისთვის.

პუტინი: ეს სწორი გეგმაა

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა კომენტარი გააკეთა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებთან, მათ შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და განაცხადა: „მე დიდი იმედი მაქვს, რომ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა ნელ-ნელა მიეწოდება აფხაზებს, რადგან საერთო ჯამში, ეს სწორი გეგმაა“.

ფრანგულ გაზეთ „ლე მონდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პუტინმა ასევე დასძინა: „მხოლოდ ამ გეგმას მეორე მხარეც უნდა დაეთანხმოს და საჭიროა დიალოგის გამართვა“.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა უპილოტო ქართულ თვითმფრინავებზე და განაცხადა: „რა ფრენებია ეს? ეს ხომ სადაზვერვო ფრენებია. რატომ ზვერავ? სამხედრო ქმედებების მხარდასაჭერად? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ერთ-ერთი მხარე სისხლის ღვრისთვის ემზადება? და გვინდა ჩვენ იგი?“

მამუკა ჩიქოვანი რუსთავის მერი გახდა

რუსთავს ახალი მერი ყავს. რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქისთავად საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე - მამუკა ჩიქოვანი აირჩიეს.

ქალაქის მერის ვაკანტურ თანამდებობაზე მამუკა ჩიქოვანისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარის ალექსანდრე აბაშიძის კანდიდატურა განიხილებოდა. საკრებულოს დღევანდელ სხდომას ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე ესწრებოდა. ქალაქის მერი ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა აქციას უერთდება

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გამართა ბრიფინგი და ბოლოდროინდელ სიტუაციასა და ოპოზიციის დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი.

„მიუხედავად გამარჯვებისა, მიგვაჩნია, რომ არჩევნებმა ჩაიარა სერიოზული დარღვევებით და პარლამენტის მიღებული შემადგენლობა ადეკვატურად არ ასახავს საზოგადოების განწყობას. საქართველოში დამარცხებულია საზოგადოება, რომელმაც მიიღო ერთპარტიული პარლამენტი. არ ვაპირებთ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციას და ნაციონალურ მოძრაობასთან პირისპირ დარჩენას საქართველოს პარლამენტში,” - განაცხადა თარგამაძემ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა სოლიდარობას უცხადებს ოპოზიციურ ძალებს და უერთდება 26 მაისის საპროტესტო აქციას. თუმცა მოძრაობის მთავარი კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენ არ ვიღებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აღნიშნული აქციის შესაძლო არაეფექტურ, უშედეგო განვითარებაზე, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებული ხელისუფლების ქუჩიდან შეცვლის რესურსი დღეს ქვეყანაში არ არსებობს”, - დასძინა მან.

კვარაცხელიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზინდეტობის ყოფილი კანდიდატი, ამჟამად კი საარჩევნო ბლოკ „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი მამუკა კვარაცხელია რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რეანიმაციულ განყოფილებაში იქნა მოთავსებული.

კვარაცხელია 1 ივნისს უცნობმა პირებმა გაიტაცეს და მეორე დილით ის ხელ-ფეხ შეკრული ვაშლიჯვირს ტყეში იქნა ნაპოვნი.

აგრეთვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება ბლოკის კიდევ ორი წევრი - ზაზა ნარსია, რომელსაც ვარაზისხევის დასაწყისში დაეჯახა „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანა, და ხაშურის მაჟორიტარობის კანდიდატი ბორის ძანაშვილი, რომელიც საკუთარ სახლთან იქნა ნაცემი.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ სასამართლო პროცესს იგებს

ნიუ-იორკის სასამართლო განხილვის შედეგად, მიმდინარე კვირას,პატარკაციშვილის ოჯახმა მოიპოვა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ჯოზეფ ქეი ვეღარ განაცხადებს პრეტენზიას ბადრი პატარკაციშვილის ქონების განკარგვაზე. ქეიმ, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ სასამართლოს განკარგულების გარეშე მას არ აქვს უფლება საჯაროდ განაცხადოს ან ამცნოს რომელიმე მესამე პირს, რომ იგი არის ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებელი და, რომ არც ერთი საბუთი, რომლებსაც იგი და მისი ადვოკატი ზელცერი იყენებდნენ, არ ანიჭებს მას ამგვარ უფლებას.

„ხარჩოს“ დღესასწაული ქუთაისში!

კახეთის ადმინისტრაციის სამაგალითო წამოწყება - სიღნაღში „ძმვადის დღესასწაულის“ გამართვა, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ყველა კუთხემ უმალ აიტაცა. ჩვენ რითი ვართ კახელებზე ნაკლებნი, და როგორც შევიტყვეთ, ქვეყნის პრეზიდენტთან ერთიმეორის მიყოლებით შედის განაცხადები - ზუგდიდში „ელარჯის“, ქუთაისში „ხარჩოს“, მესტიაში „კუბდარის“, რაჭაში „ლორის“, ხარაგაულში „ნიყვის“, დუშეთში „ხინკლის“ დღესასწაულების გამართვის შესახებ.

ალიონი

ვლადიმერ პუტინი: მიხეილ სააკაშვილის გეგმა, აფხაზეთის-თვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესახებ, სწორია

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული გეგმა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ფართო ავტონომიას გულისხმობს, მთლიანობაში სწორია და მის განსახორციელებლად საჭიროა სოხუმის თანმხობა, - განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა.

„ეს ყველაზე უფრო მეტად აფხაზებისთვის უნდა იყოს მისაღები“, - განაცხადა რუსეთის პრემიერიმა ფრანგული გაზეთის „ლე მონდის“ დასმულ შკითხვაზე, რამდენად მისაღებია სააკაშვილის მიერ შეთავაზეული გეგმა რუსეთისთვის.

რუსეთის პრემიერის განცხადებით, შესაძლებელია აფხაზები არ ენდობიან საქართველოს ხელისუფლებას, ამისათვის, აუცილებელია მოთმინება და დიალოგის აღდგენა.

„ჩვენ ხელი შევუწყვეთ 55 ათასი დევნილის დაბრუნებას. ეს ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენ დავითანხმეთ აფხაზები, რომ ისინი შეეშვათ და უზრუნველეყოთ მათი ნორმალური არსებობა. რუსეთი ამას სთხოვდა აფხაზეთის ხელისუფლებას“, - განაცხადა პუტინმა.

„მე ვამბობ პირდაპირ და ამაში სასირცხვილო არაფერია. მე პირადად ვიყავი ამით დაკავებული. პირადად მივმართავდი თხოვნით აფხაზეთის ხელისუფლებას და მათ ეს გაიკეთეს. ჩვენ შევიმუშავეთ ენერგეტიკის ერთობლივი განვითარების, საზღვრისპირა თანამშრომლობისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის გეგმა. გადავწყვიტეთ რკინიგზის აღდგენა“, - განაცხადა პუტინმა.

მან ყურადღება გაამახვილა საქართველოში არჩევნების წინა პერიოდში აფხაზეთის მიმართ გამოთქმულ მუქარაზე.

პუტინის განცხადებით, არის საკითხები, რომელიც შიდა პოლიტიკურ კალენდარს არ უნდა მოერგოს და არჩევნების წინ არ არის აუცილებელი იმის დემონსტრირება ვინ უფრო მაგარია და ვინ რამდენ ხანში შეძლებს პრობლემების გადაწყვეტას.

„ამისგან კარგი არაფერი გამოვა, მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ გეგმა, რომელიც შემოგვთავაზა მიხეილ სააკაშვილმა, თანდათანობით დამკვიდრდება“, - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მისივე თქმით, მთლიანობაში ეს მართებული გეგმაა, მაგრამ საჭიროა, რომ მას დათანხმდეს მეორე მხარეც და აუცილებელია დიალოგის წარმოება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზებს საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომია შესთავაზა. მათ შორის ვიცე პრეზიდენტის პოსტი და საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში.

აფხაზეთის ავტონომიის ხელისუფლებას უფლება ექნება ავტონომიასთან დაკავშირებულ კანონპროექტებს ვეტო დაადოს.

აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის სერგეი ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთისთვის მიუღებელია პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმა, ვინაიდან აფხაზმა ხალხმა რეფერენდუმით დაადასტურა თავისი ნება აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის შესახებ.

* * *

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ პუტინის განცხადება აფხაზეთისთვის საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით, მისასალმებელია, თუმცა ექსპერტის თქმით, შესაძლოა, ამის უკან გარკვეული ფარული გეგმა იმალებოდეს.

როგორც ზაქარეიშვილმა განაცხადა, მხოლოდ პუტინის განცხადება აფხაზეთის საქართველოსადმი კეთილგანწყობას არ განაპირობებს, ამიტომ, საჭიროა უშუალო დიალოგი დე ფაქტო ხელისუფლებასთან.

„პუტინის განცხადება მისასალმებელია, მაგრამ შეიძლება ამ განცხადების უკან რაიმე ჩანაფიქრი იმალება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზებისათვის მიუღებელია თავსმოხვეული პოლიტიკა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხრიდან. ამიტომ, საქართველო მხოლოდ რუსეთის განცხადების იმედზე არ უნდა იყოს. საჭიროა დე ფაქტო მთავრობასთან პირდაპირი დიალოგი“.

პრეზიდენტის გაღაწყვეტილება უკანონოა-ბურჯანაძეს "წყნეთი" უნდა ჩამოართვან

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მიხეილ სააკაშვილს ნინო ბურჯანაძისთვის წყნეთის სამთავრობო რეზიდენციის შენობა-ნაგებობების უკანონოდ გადაცემაში ადანაშაულებს.

როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან, ბურჯანაძეს მიწა საქართველოს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის მისცეს.

მათივე განმარტებით, იურისტები ამბობენ, რომ ასეთი „ჩუქებების“ შემთხვევაშიც გარკვეული წესების დაცვაა საჭირო. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მისი ფასი აღემატება 100 000 ლარს“, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ. იურისტი თათული თოდუა ამბობს, რომ პრეზიდენტი არ იყო უფლებამოსილი, თავისი აქტით 100 000 ლარს ზემოთ ღირებული ქონების პრივატიზება მოეხდინა. შესაბამისად, პრეზიდენტის განკარგულება უკანონოდ შეიძლება ჩაითვალოს. მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი 2008 წლის 8 მაისის № 299 ბრძანებულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ ამბობს, რომ საქართველოს ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 571 კვადრატული მეტრი (ჩამონათვალი გრძელია) ზემოაღნიშნული დამსახურებებისათვის გადაეცეს ნინო ბურჯანაძეს, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად.

ცენტრის ინფორმაციით, ოფიციალურად ამ მიწის ღირებულება 4 მილიონი დოლარია, თუმცა, ექსპერტები ამბობენ, რომ თუ წყნეთის მიწების საბაზრო ფასებს გავითვალისწინებთ (რაც ერთ კვადრატულ მეტრზე ათას დოლარს აღწევს), მაშინ, მარტივი გათვლით, საჩუქრის ფასი 30 მილიონი მაინც იქნება.

ცნობილი არ არის, იცოდა თუ არა ამ სიურპრიზის შესახებ თავად ბურჯანაძემ, რომელიც სამშობლოში არ იმყოფება და მისი პასუხი არ ვიცით. თუმცა 8 მაისიდან დღემდე თითქმის მთელი თვეა გასული. წყნეთის სამთავრობო აგარაკი, თავის დროზე, ტრაგიკულად დაღუპული პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ოჯახსაც დაუტოვეს. თუმცა, მისი სიკვდილის შემდეგ. ჟვანიას ქვრივი, ნინო ქადაგიძე ამბობს, რომ სიცოცხლეში ასეთ საჩუქრის მიღებას ზურაბ ჟვანია არც დაუშვებდა, - აღნიშნეს ორგანიზაციაში.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი პრეზიდენტის მიერ ბურჯანაძის დასაჩუქრების ფაქტს უარყოფითად აფასებს და ამბობს, რომ ეს უფრო მისი მოსყიდვის მცდელობას ჰგავს და არა დამსახურებების დაფასებას.

- ჩემი აზრით, პრეზიდენტი შეეცადა ბურჯანაძის მოსყიდვას, რომ მას თავი შეეკავებინა საარჩევნო პერიოდში მკვეთრი პოზიციების დაფიქსირებისაგან. ძალიან დაძაბულ პერიოდში მას ბურჯანაძის მწვავე პოზიციის გაჟღერება არ აწყობდა. მართალია, პრეზიდენტს ამ ქვეყანაში ყველაფრის უფლება აქვს და ამ ნაბიჯის გადადგმაც კანონით შეეძლო, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს არის არაკონსტიტუციური ქმედება.

კიდევ უფრო უზნეო საქციელია ამ საჩუქრის მიღება პრეზიდენტისაგან. მით უმეტეს, ასეთ კონტრასტულ ფონზე, როცა ნახევარი საქართველო შიმშილობს. ეს ბურჯანაძის პოლიტიკური კარიერის დასასრულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება თავად ნინო ბურჯანაძესთან შეთანხმებული იყო. არ გამოვრიცხავ, რომ მან ამ ჩუქების შესახებ არაფერი იცოდა, - განაცხადა ხუხაშვილმა.

საჭირო იქნება ძალის გამოყენება? სახელმწიფო ძალას გამოიყენებს! - ასეთია უმიჯოლების საბჭოს მღივნის აზრი

- პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსს შეიძლება „ალტერნატიული“ პარლამენტის შექმნის იდეა გაუჩნდეს?! ვფიქრობ, ამ ხალხს პასუხისმგებლობის დიდი დეფიციტი აქვს. ჩემს თაობას კარგად ახსოვს, რა მოგვიტანა ამ ვითომ პარალელური სტრუქტურების შექმნამ. პიროვნულად არავის მინდა შევეხო. დარწმუნებული ვარ, მაშინდელ ეროვნულ კონგრესში იყვნენ პირები, რომელთაც სჯეროდათ, რომ საქართველოსთვის სიკეთეს აკეთებდნენ. გავიხსენოთ, რომ ეროვნული კონგრესის წევრი დიდი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილიც იყო... ხომ ვიწვნიეთ ამ დაპირისპირების შედეგი. პარალელური სტრუქტურების შექმნამ ერთგვარი ზღვარი გაავლო და ნაპრალი გააჩინა. მართალია, ეროვნულმა კონგრესმა სულ რამდენიმე სხდომა ჩაატარა, დიდხანს არ უარსებია, მაგრამ საზოგადოებაში განხეთქილება შეიტანა. პოლიტიკური ლიდერების სიბეცეს, ჩვენი მეზობლისა და საქართველოში არსებული მეხუთე კოლონის მიზანმიმართული ქმედებები დაემატა. ეს ყველაფერი საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. დღეს სხვა ვითარებაა. ასეთი პროცესების განვითარების საფრთხე ორი მიზეზის გამო არ არსებობს. პირველი - მჯერა, ოპოზიციონერთა უმეტესობა რეალურად არ იფიქრებს ამ გზაზე და მეორე - დღეს საქართველოს განსხვავებული ხელისუფლება ჰყავს. ეს არ არის გამოუცდელი და გულუბრყვილო მთავრობა.

- როგორ აღკვეთთ ამას?

- კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით აღკვეთილი იქნება პარლამენტის მუშაობის ბლოკირების ყველა მცდელობა.

- 10 ივნისს ოპოზიცია სწორედ პარლამენტის ბლოკირებას აპირებს...

- მკაფიოდ მინდა განვაცხადო, - ამის ყოველგვარი მცდელობა აღკვეთილი იქნება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის ქმედებებს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით. იმის ილუზიაც კი არ უნდა შეექმნას ვინმეს, რომ საქართველოს კანონიერი, დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის მუშაობას შეაფერხებს.

- ეს ხომ უკვე დაპირისპირებას ნიშნავს?

- ოპოზიციისგან პარლამენტის ბლოკირება შეხლა-შემოხლას გამოიწვევს და გეუბნებით, რითაც დამთავრდება ეს ყველაფერი. არც ერთ სახელმწიფოს არ უხარია ფიზიკური ძალის გამოყენება მათ წინააღმდეგ, ვინც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც ძალის გამოყენება აუცილებელია და ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამის კანონიერი უფლება აქვს, სწორედ ხელისუფლებაა.

- ანუ შეიძლება 10 ივნისს 7 ნოემბერი განმეორდეს?

- იმ პირთა მიმართ, ვინც პარლამენტის ბლოკირებას შეეცდებიან, კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება. თუ ჩაიდენენ იმ დონის დანაშაულს, რომ აღმკვეთი ღონისძიების გატარება გახდება საჭირო, მათ დააკავებენ. საჭირო იქნება ძალის გამოყენება. - სახელმწიფო ძალას გამოიყენებს და ასეთ ადამიანებს დააკავებენ.

რუსმა სამშვიდობოებმა ქართული ტანკებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ ბრძანება მიიღეს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულმა რუსმა სამშვიდობოებმა ქართული ტანკებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ ბრძანება მიიღეს. აღნიშნულ ინფორმაციას ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით რუსული მედია ავრცელებს.

აფხაზეთისა და ჩრდილო კავკასიაში განლაგებულმა რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტმა მიიღო მითითება, იმის შესახებ, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ აგრესიას, რუსეთიდან სპეციალური სანქციის მიღების გარეშე უპასუხონ და შეხედულებისამებრ იმოქმედონ.

აღნიშნული ინფორმაცია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინკოგნიტო წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება. გადაწყვეტილების მიღების მიზეზად კი საქართველოს მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის წევრებზე მოსალოდნელი თავდასხმა სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხედროებს იმის უფლებაც მიეცათ, რომ ქართული ტანკების განადგურებაში ავიაციაც დაიხმარონ.

ალექსანდრე სკაკოვი: რუს სამშვიდობოებს ქართული თვითმფრინავების ჩამოგდების სრული უფლება აქვთ

რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტუტის დსთ-ის ქვეყნების განყოფილების გამგე ალექსანდრე სკაკოვი აცხადებს, რომ აფხაზეთის თავზე ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას რუსეთისთვის არავითარი ნეგატიური შედეგი არ მოჰყვება.

„ეს იქნება მორიგი პაექრობა, მეტი არაფერი და მას, რა თქმა უნდა, არავითარი რეზოლუცია არ მოჰყვება. დასავლეთის ქვეყნებს შორის კი ამ საკითხზე ერთსულოვნება არ არსებობს. მით უფრო, რომ სურვილის შემთხვევაში ყოველივეს ბლოკირება ძალიან ადვილია“, - აცხადებს სკაკოვი.

მისი აზრით, რაც შეეხება თავად ინციდენტს, აქ შეცვლილია თავად განსახილველი საკითხის ლოგიკა.

„თავდაპირველად უნდა არკვიონ არა ის, თუ ვინ ჩამოაგდო თვითმფრინავი, არამედ ის, თუ რის საფუძველზე ფრენდნენ საქართველოს კუთვნილი სამხედრო თვითმფრინავები კონფლიქტის ზონის თავზე. ეს აკრძალულია იმ შეთანხმებებით, რომელთა ქვეშაც საქართველოს ხელმოწერაა. ხოლო ის, თუ ვინ ჩამოაგდო თვითმფრინავი, უკვე მეორეხარისხოვანი საკითხია“, - აცხადებს რუსი ექსპერტი და დასძენს, რომ რუსული მხარე მაინც უნდა შეეცადოს დაამტკიცოს, რომ ეს თვითმფრინავი რუსულ მხარეს არ ჩამოუგდია.

„იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ჩვენი გაკეთებული არ არის, საჭიროა წონიანი არგუმენტები და თუ ჩვენ მათ მოპოვებას შევძლებთ, გაერო დაგვიჯერებს“, - აცხადებს ექსპერტი და დასძენს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მართლა რუსეთის გაკეთებულია, რუსეთს ეს თავიდანვე არ უნდა უარეყო.

„თუკი ეს ჩვენ გავაკეთეთ, თამამად უნდა გვეთქვა, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ საქართველოს თვითმფრინავების ჩამოგდებას, იმის გამო, რომ მათი ფრენები უსაფრთხოების ზონის თავზე ყველა არსებული ხელშეკრულების დარღვევაა. ამავე დროს, სამშვიდობოებსაც მანდატის ფარგლებში სრული უფლება აქვთ ეს თვითმფრინავები ჩამოაგდონ“.

ექსპერტის აზრით

ვოთა მაღლაფხია: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება-ში რუსეთის აღგილს ევროკავშირი დაიკავებს

- ბატონო შოთა, რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზის მონაკვეთის აღსადგენად რუსეთის სარკინიგზო ჯარები შეიყვანა. იყო თუ არა ეს საკითხი საქართველოსთან რაიმე დონეზე შეთანხმებული და თუ არა, რა საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს ოფიციალური თბილისი?

- აფხაზეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარების შეყვანა ქართულ მხარესთან შეთანხმებული არ ყოფილა. იმის ფონზე, როცა საუბარია აფხაზეთში უკანონოდ შეყვანილი სამშვიდობო ძალების შემცირებაზე, სარკინიგზო ქვედანაყოფების ცალკე, კონტექსტიდან ამოვარდნილად განხილვაზე საუბარი არ და ვერ იქნებოდა.

მომხდარს ისეთივე მორიგ დარღვევად ვაფასებთ, როგორც რუსეთის მიერ აფხაზეთში საქართველოსთან შეუთანხმებლად ჯერ დამატებითი სამშვიდობო ძალების, ხოლო შემდეგ სადესანტო ნაწილების შეყვანას.

როგორც ყველა წინა შემთხვევაში, ამასაც გავაპროტესტებთ. ამ პროტესტებმა ის განაპირობა, რომ დღეს მსოფლიო აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით იმავე სამართლებრივი ენით საუბრობს, როგორც საქართველო. იმ პოზიციებს და შეფასებებს, რაც ერთი წლის წინათ მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების თემებად მიიჩნეოდა, დღეს საერთაშორისო თანამეგობრობაც იზიარებს. საერთაშორისო თანამეგობრობა ჩვენს მსგავსად მიიჩნევს, რომ რუსეთი არის კონფლქტის მონაწილე მხარე, აფხაზეთში განხორციელდა ეროვნული ნიშნით ეთნოწმენდა და რუსეთი ახდენს ამ ტერიტორიის ღია ანექსიას.

- როგორ შეაფასებდით გაეროს უშიშროების საბჭოში აფხაზეთის ირგვლივ განვითარებული პროცესების განხილვას?

- უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გაეროში სერიოზული მიღწევები გვაქვს. ეს პროცესი რეალურად დაიწყო 15 ოქტომბრიდან, როდესაც გაეროს რეზოლუციაში ჩაიწერა დევნილების უპირობო დაბრუნებისა და მათი ქონების დაცვის შესახებ. ეს არც ერთ წინა რეზოლუციაში არ იყო, მეორე ის იყო, რომ ეთნოწმენდა იყო დაფიქსირებული და მესამე - ყველა უკანასკნელ განხილვებზე რუსეთი პირდაპირ იქნა დადანაშაულებული აფხაზური მხარის მხარდაჭერაში.

საქართველოში მფრინავი საშუალებების შემოფრენის წინა შემთხვევაზე გაეროს დოკუმენტებში საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ეს მფრინავი საშუალებები შემოფრინდა ჩრდილოეთიდან, მაგრამ საუბარი არ იყო, იმაზე, რომ ისინი რუსეთიდან შემოფრინდნენ და რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები იყო.

ახლა, 20 აპრილს აფხაზეთში ჩამოგდებულ უპილოტო თვითმფრინავზე საუბრისას, მითითებულია, რომ იგი იყო რუსეთის თვითმფრინავი და ეს არის რუსეთის ღია აგრესია საქართველოს მიმართ.

გაეროში პროცესები ჩვენთვის წარმატებულად ხორციელდება ყველა მიმართულებით, რომელიც საქართველოსთვის პრიორიტეტულია - დევნილთა დაბრუნებისა და ეთნოწმენდის საკითხები და ის, რომ რუსეთი კონფლიქტის მონაწილე მხარეა. გაეროში ეს საკითხები დაისვა და გადაწყვეტამდე იქნა მიყვანილი. გაეროში საქართველოს წარმომადგენლობა საკმაოდ ეფექტურად და წარმატებულად მუშაობს.

- რამდენადაა შექმნილი წინაპირობა საამისოდ, რომ ქართულმა მხარემ შეძლოს ერთის მხრივ სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლა, ხოლო მეორეს მხრივ საპოლიციო ოპერაციის დაწყებაზე საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მიღება და შემდეგ ამ ოპერაციის განხორციელება?

- რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა თავისუფლების მეტ ხარიხს აძლევს აფხაზურ მხარეს იმისათვის, რომ რეალურად ჩამოაყალიბოს ის, რა უნდათ მათ. გაეროს წესდება კონფლიქტში მონაწილე მხარეს უკრძალავს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას, უფრო მეტიც, მაშინ, როცა დადგება მათი ჩანაცვლების საკითხი, მათ კენჭისყრისგან თავი უნდა შეიკავონ, ეს არის გაეროს წესდების მოთხოვნა. ამის გათვალისწინებით, გაეროს ბოლო რეზოლუციებიდან გამომდინარე პოლიციური ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა მოგვეცა. 2 წლის წინათ, თბილისში ყოფნისას ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ევროკავშირი მზად არის ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებით ჩაანაცვლოს სამშვიდობო პროცესი, მაგრამ ამისთვის გაეროს თანხმობა უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ამ საკითხში, უახლოეს ხანში გაეროს თანხმობა გვექნება. დანარჩენი უკვე ტექნიკური საკითხებია. ევროკავშირის გადასაწყვეტია როგორი, სამშვიდობო თუ საპოლიციო ოპერაცია განხორციელდება, მასში ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსის მონაწილეობით ქართველი და აფხაზი სამართალდამცავები მიიღებენ, თუ სამშვიდობო ოპერაციას გაეროს მრავალეროვანი სამშვიდობო ძალები განახორციელებენ.

- როგორ შეაფასებდით ქართულ-აფხაზური კონფლიქტით ევროკავშირის დაინტერესებას და რამდენად სავარაუდოა ამ პროცესში მოსკოვთან, თბილისთან, და სოხუმთან ერთად, ბრიუსელის მეოთხე მხარედ მონაწილეობის პერსპექტივა?

- პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ პრობლემატურ საკითხთა უმეტესი ნაწილი სწორედ ევროკავშირის მონაწილეობით ხორციელდება. ევროკავშირის სტრუქტურებს, როგორც დიპლომატიურს,ასევე პოლიციურსა და სამხედროებს აქვთ დიდი გამოცდილება. ამის გარდა, მთავარია ის, რომ თვითონ აფხაზურმა მხარემ არ იგრძნოს დაუცველად თავი და მათთვის იმის გარანტი, რომ აფხაზეთში იქნება მშვიდობა და საქართველო აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებას მშვიდობიანად აპირებს, იქნება ევროკავშირი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროცესებში რუსეთი მონაწილეობას ვეღარ მიიღებს, პერსპექტივაში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის ადგილს ევროკავშირი დაიკავებს.

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ნატოში გაწევრებისკენ მისწრაფის, რუს ექსპერტთა ერთი ნაწილი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ევროკავშირის მონაწილეობის შემთხვევაში ქართული მხარის მიერ სოხუმისათვის სერიოზულ დათმობებზე წასვლას პროგნოზირებს, რა დათმობაზე შეიძლება იყოს საუბარი?

- იმაზე მეტი, რაც პრეზიდენტმა აფხაზებს შესთავაზა, ევროპული სტრუქტურების პრაქტიკაში არ არსებობს. ევროპაში, რეგიონი, რომელშიც 800 ათასიდან 1,5 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, დაცვის ისეთ მექანიზმებს ვერ ღებულობს, როგორც ეს სოხუმს თბილისმა შესთავაზა.

- ოპოზიცია ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებს აფხაზურ პოლიტიკურ წრეებთან პრაქტიკულად არანაირი დიალოგის არსებობაში. რეალურად რა ხდება, აქვს თუ არა ქართულ მხარეს აფხაზებთან რაიმე სახის კონტაქტები და ამ შეხვედრებზე განიხილება თუ არა ის პრობლემური საკითხები, რომელიც წინადადებების სახით პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაახმაურა?

- რა თქმა უნდა, მიმდინარეობს. ამაში ყველა სტრუქტურაა ჩართული. ნებისმიერ მოლაპარაკებაში, რომელიც საერთაშორისო დონეზე იმართება, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას, ამგვარ შეხვედრებში პირადად მეც ვმონაწილეობ, მაგრამ ერთი რამ ნათელია: თუ მოლაპარაკებებში რუსები მონაწილეობენ, აფხაზები ერთს ამბობენ, ხოლო ურუსებდ გამართულ დიალოგზე, სხვა პოზიციებს აღნუსხავენ. ჩვენი მიზანია, მათ ჰქონდეთ ერთი პოზიცია. ამისთვის კი საჭიროა რუსული ზემოქმედების მოხსნა. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს მათი თავისუფლების ხარისხი გაიზარდოს და არ იყოს ნულის ტოლი. იმ ვითარებაშიც კი, როცა ისინი გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ, მათთან კონტაქტი მუდმივად აუცილებელია. მაშინ, როცა აფხაზეთზე რუსეთის ზემოქმედება შესუსტდება და, ვფიქრობ, ამას თვითონაც გრძნობენ, ეს განწყობა აფხაზეთში არსებულ სტრუქტურებშიც გავრცელდება.

პაატა ზაქარეიშვილი: საქართველომ ვეძლო რუსეთის აგრესიის გამოაშკარავება, მაგრამ ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო აფხაზეთთან დასაშორებლად

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველომ შეძლო რუსეთის აგრესიის გამოაშკარავება, მაგრამ ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო აფხაზეთთან დასაშორებლად.

როგორც პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის თავზე უპილოტო მზვერავი თვითმფრინავების ფრენის განახორციელება წინასაარჩევნოდ რუსეთის პროვოკაციაში ჩათრევას გულისხმობდა, ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ ფრენის განხორციელების შეჩერების შესახებ განცხადების გაკეთება ქართული მხარის უკან დახევად არ უნდა ჩაითვალოს.

„შესაძლოა, ეს განაცხადი ქართული მხარის უკან დახევად ჩაითვალოს, მაგრამ ქართულ მხარეს რეალურად აღარ სჭირდება მზვერავი თვითმფრინავებით ფრენის განხორციელება, ვინაიდან, ეს ფაქტორი მიხეილ სააკაშვილმა წინასაარჩევნოდ ყურადღების გადატანისათვის გამოიყენა და რუსული მხარე ჩათრეული იყო ამ პროვოკაციაში. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს შედეგებს, აქ შედეგი იყო დადებითიც და უარყოფითიც. ქართულმა მხარემ ერთის მხრივ, გამოააშკარავა რუსეთის აგრესია, მაგრამ მეორეს მხრივ, ამით კიდევ ერთი ნაბიჯით დავშორდით აფხაზეთს. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რა გვინდა, რუსეთის აგრესიის გამოაშკარავება, თუ აფხაზეთის დაბრუნება. არ უნდა გავაკეთოთ ისე, რომ რუსეთის ქმედებების სააშკარაოზე გამოტანას აფხაზეთი გადავაყოლოთ“, - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებები რუსეთთან სამხედრო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, არარეალურია. რუსეთი, მართალია, თავხედურად იქცევა, მაგრამ ის არ წავა საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევაზე. რუსეთი შემოვლითი გზებით ახორციელებს აფხაზეთთან გარკვეული სახის ურთიერთობებს, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ის აშკარა ურთიერთობებზე წავიდეს და სამხედრო ხელშეკრულება დადოს აფხაზეთთან. ნატოში გაწევრების შემთხვევაში კი თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იქნება ჩვენი უსაფრთხოების დაცვის გარანტი და ნატო დაგვიცავს ასეთი მოვლენებისაგან. რუსეთს არ უღირს ნატოსთან აფხაზეთის გამო კონფლიქტი, ამიტომ ბაღაფშის განცხადება სრულიად არარეალურია, - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაფშმა, განცხადება გააკეთა. ბაღაფშის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდა, აფხაზეთი რუსეთთან სამხედრო ხელშეკრულებას გააფორმებს და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განთავსების საკითხის დააყენებს.

არა! რუსეთის აგრესიას

ეს კადრები მაისის დასაწყისშია გადაღებული, ქართულ კულტურულ ცენტრ „ამირანის“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე გაეროს შენობასთან.

ამ აქციით ქართველმა ემიგრაციამ კიდევ ერთხელ სცადა გაეროს მაღალი ესტაბლიშმენტის ყურადღების მიქცევა ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, იმ ბეწვის ხიდზე, რომელზეც გავლა უწევს დღეს ჩვენი ერთმორწმუნე მეზობლის გამოისობითა და აგრესიით გაწამებულ ჩვენს მამულს.

მადლობა ორგანიზატორებს, თითოეულ მონაწილეს, რომელმაც საკუთარ მამულიშვილურ ვალად ჩათვალა ამ აქციაზე მისვლა.

ანი კოლხიდაშვილის გაბედული ნაბიჯები ვერდის ოპერის ფონზე

ეს მშვენიერი მანდილოსანი - ანი კოლხიდაშვილია, ახალგაზრდა მომღერალი, რომელმაც უკვე იმედისმომცემი და საკმაოდ გაბედული ნაბიჯები გადადგა შემოქმედებით გზაზე.

13 აპრილს, ნიუ იორკის სახელგანთქმულ, უკვე 60 წლის ოპერის სახლში „ამატო ოპერაში“ ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრუბადურის“ პრემიერა შედგა, და მასში მთავარ როლს, ელეონორას პარტიას, ჩვენდა სასიხარულოდ ქართველი ახალგაზრდა - ანი კოლხიდაშვილი ასრულებდა.

დაიხსომეთ ეს სახელი...

ის კიდევ მრავალჯერ გვასახელებს.

უბრალოდ, თამრიკო!

თამრიკო დავითაშვილმა უკვე მეხუთედ შემოიკრიბა მეგობრები „მილენიუმის“ სცენაზე და ჭეშმარიტად ქართული სულის ზეიმი გვაჩუქა.

თქვენ მაყურებლის რეაქცია უნდა გენახათ, როცა სცენაზე ჩვენს დედაქალაქზე შექმნილი მშვენიერი სიმღერის პრემიერა შედგა, დაჭიმული ჰქონდათ ქართველებს მშვილდები, მანდილოსნების თვალზე კი ცრემლი კიაფობდა.

ლამაზად და მოკრძალებულად მოხდა ახალი ცეკვის ანსამბლის დაბადებაც, „არგო“, - ასეთი სახელი შეურჩიეს ახალშობილ ჯგუფს ხელმძღვანელებმა, ახალგაზრდა წყვილმა - მარი ჭრელაშვილმა და გაგა ნაცვლიშვილმა.

ეს არის, რომ გვაძლებინებს ოკეანისგამოღმა!

გმადლობთ, თამრიკო!

ბრავო, შორენა!

ისტორიაში დასარჩენი სიტყვა თქვა ანსამბლმა „ფესვებმა“ 18 მაისს, მანჰეტენის სცენაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე.

ჩვენი დროების ემიგრაციის უმეტესობა ამერიკაში მხოლოდ კბილის ჯაგრისის ამარა ჩამოვედით და რაოდენ გმირობაა, რომ შორენა ბარბაქაძე და გია მიქელაძე ატლანტის სანაპიროზე აარსებენ ანსამბლს, დგამენ თითქმის ყველა ქართულ ცეკვას, და მონაწილეებს ქართული ეროვნული სამოსით მოსავენ.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს პატარა მარიამ გოდერძიშვილის ნათლობა ქართულ სცენაზე. ეს ის ნათლობაა, როცა ფეხზე უნდა წამოდგე და იამაყო, რომ ქართული ჯიში და ქართული გენი ამ საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე აღმასვლას განიცდის.

ბრავო, შორენა!

ბრავო, გია!

იუბილეს გილოცავთ ვანო ბატონო!

გმადლობთ, ბატონო ვიქტორ!

ეპოქა

„სარკეში იგრძნობ, რომ ღარები სახეს ფარავენ
და სილამაზეც სასაფლაოს მიებარება.
ისარი გეტყვის, რომ საათში დრო შემპარავი
მარადისობის ქვეყანაში მიიპარება.
კარგო, ვის ძალუძს ყოველივეს დამახსოვრება?
მეხსიერებას ეფინება შავი ჩრდილები,
ქაღალდის ფურცელს თუ გაანდე შენი ცხოვრება
დაბრუნდებიან დაკარგული შენი შვილები“
უილიამ შექსპირი (77 სონეტი)
რეზო თაბუკაშვილისეული ქართული თარგმანი

ძველებურად ცხოვრება

სჯარჩველს სჯარჩველს

I. პოლიტიკურ-მაფიოზური მიხრიკ-მოხრიკ-ნახრიკები

ისმის ერთი კონკრეტული კითხვა ამ ავადსახსენებელ არჩევნებთან დაკავშირებით: ვის რა აქვს დასაკარგავი?

მე ამ კითხვაზე პასუხით არ ვარ დაინტერესებული ვინმეს ლუსტრირებით, მაგრამ ერთი აუცილებლად უნდა ვთქვა - ამ კითხვაზე პასუხით გამოირკვევა, თუ რაოდენ შეურიგებელნი იქნებიან დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის მიმართ. მომგებიანის პოზიცია არსებითად ერის მამოძრავებელ კატაკლიზმებს არ წარმოშობს, რადგან იგი მოგებული იქნება და შესაბამისად მას არ ექნება საჭიროება იმისა, რომ ხალხის ფსიქიკური დუღილი (ანუ მღელვარება) განავითაროს და მიიყვანოს ლოგიკურ დასასრულამდე. ამიტომ ნაკლები მნიშვნელობა აქვს გამარჯვებას, გამარჯვებული ნებისმიერ შემთხვევაში იზეიმებს, და მიტომ. საქართველოს სიმშვიდისათვის საშიში ამ შემთხვევაში დამარცხებული იქნება, რადგან გამარჯვება ფეერიული იქნება და რადგანაც წინ დიდი საფრთხე მოელის მას, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იქნება გამარჯვებული - სააკაშვილი თუ დანარჩენი ექვსი. სააკაშვილსაც შესწევს არიოს ქვეყანა და ყველა დანარჩენ ოპოზიციონერს ერთად აღებულს. (Note bene: წინა თავებში საგანგებოდ მომქონდა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიდან ციტატები, საჭიროებამ და აუცილებლობამ მოითხოვა, ამ თავში დავამატო ციტატები ივანე ბუნინის მემუარული ლიტერატურიდან „წყეული დღეები“ („Окаянные дни“), რადგან მასში მოთხრობილია ის დეტალები და ის სიღრმისეული განსჯა ყოფიერებისა, რის წინაშეც ჩვენ უკვე ვდგავართ და რაც რუსეთმა უკვე გამოიარა დიდი მსხვერპლის ფასად, ჩვენ კი ეს მცირერიცხოვანი ერი გავუძლებთ კი ასეთ დაპირისპირებათა კატაკლიზმებს, რაღაც თანამდებობების, თუ პრინციპების გამო? ღირს კი ნებისმიერი იდეა, აღარაფერს ვამბობ სკამებზე, რაგინდ კეთილშობილიც არ უნდა იყოს, ერის განადგურების ფასად?) ჰოდა ი. ბუნინი „წყეულ დღეებში“ წერდა: „რევოლუცია არ კეთდება თეთრ ხელთათმანებში“... მაშ რატომ უნდა აღვშფოთდეთ, თუ კონტრრევოლუცია ეწყობა ზღარბის ხელჯაგით“. მართლაც... ბევრჯერ წამოაყვედრეს სააკაშვილს ხალხით მანიპულირება „ვარდების როქირებისას“. ვინ რას პასუხობს და როგორ იმართლებს თავს ასეთ ბრალდებებზე, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ეს კითხვა დამოკლეს მახვილივით ადგას სააკაშვილისა და მთავრობისტების კისრებს, და ეს მაშინ, როდესაც თვითონვე საყვედურობენ ოპოზიციას ხალხი რატომ გამოიყვანე და რატომ დამარბევინეო.

ვისაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი, ის დამარცხდა არჩევნებში და მან ეს დამარცხება აღიარა (დასაკარგში ვგულისხმობ საზოგადოებრივ მდგომარეობასა და პოლიტიკურ დივიდენდებს - მ.ბ). პოლიტიკური პერიპეტიები გადაიხლართა, როგორც მოსალოდნელი იყო სააკაშვილისა და გაჩჩილაძეს შორის. მნიშვნელოვანი ადგილი ამ დუელში ითამაშა პატარკაციშვილმა, რომელსაც დასაკარგიც ბევრი ჰქონდა და მოსაგებიც, ამ სიტყვის პირდაპირი, მატერიალურ ღირებულებათა ათვლა-აწონვა-დათვლის მნიშვნელობით. მართალია, პატარკაციშვილის პოლიტიკური ავტორიტეტი, ვერც გამარჯვებას ვერ მოაპოვებინებდა პატრონს, ან პარტნიორს და ვერც ვერანაირ ზეგავლენას მოახდენდა ამა თუ იმ პრეზიდენტობის კანდიდატის სასარგებლოდ, თუ არა პოლიტიკურ-მაფიოზური მიხრიკ-მოხრიკ-ნახრიკები. ბევრი ამბობს, რომ პატარკაციშვილი გაურიგდა ხელისუფლებას და რომ ის უნდა იქნას აღქმული როგორც სააკაშვილის მედალიონის მეორე მხარედ. ეს იყო და ეს, მაგრამ რაში მდგომარეობდა მისი როლი ოპოზიციის დამარცხებაში, ამაზე არავინ საუბრობდა.

პირველყოვლისა, დავარქვათ ამას „ტელეგარიგება“, რასაც ოფიციოზი და ოპოზიცია „კომპრომატების ომს“ უწოდებს, სააკაშვილსა და პატარკაციშვილს შორის შედგა ტელეგარიგების მიღმა საიდუმლო გარიგება, რომლითაც პატარკაციშვილმა მიიღო მომგებიანი რაღაც, და ესეც საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესების ხარჯზე, ხოლო სააკაშვილმა ამ გარიგებით მიიღო „ტელეგარიგება“, ანუ „კომპრომატების ომი“, მასში არაფერი ისეთი არ არის თქმული, რასაც ღიად და დაუფარავად არ ეუქრებოდა ოპოზიცია მთავრობას არჩევნების გაყალბების შემთხვევაში. ერთი რამისათვის იყო ეს სპექტაკლი გათამაშებული ჯერ გელახიანთან, შემდეგ პატარკაციშვილთან, რათა საყოველთაო სახალხო აღშფოთებას დარქმეოდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ეს უნდა შენიღბულიყო ეფემერულ-კრიმინალური დეტალებით (მხედველობაში მაქვს დაძინებები, ყალბი ბიულეტენების ტომარა, კოდუას გმირობანი და სხვა ასეთი ბნელი დეტალი).

რაც მთავარია ამ „ტელეგარიგების“ მიხედვით ოპოზიციის მუქარის მოთავედ, სულის ჩამდგმელად და დამფინანსებლად უნდა წარმოჩენილიყო თვით პატარკაციშვილი, რათა ოპოზიციაც გასვრილიყო პატარკაციშვილის ტალახით. ამ კაცის ინტერესებში არ შედიოდა და არც არასდროს შევა ის, თუ რას ფიქრობს ხალხი მასზე. იგი ყოველთვის მიჩვეული იყო (რუსული ბეგრაუნდი) საზოგადოებრივი აზრის ფეხებზე დაკიდებას, ბიზნესმენი იყო, და მიტომ, ხოლო ჩემის აზრით რას წარმოადგენს სადღეისოდ ბიზნესმენობა, საკმაოდ ვისაუბრე ამ სტატიის ერთ-ერთ წინა თავში. მისთვის არც ისაა უცხო, თუ მასზე ძებნას გამოაცხადებს ამჯერად საქართველოს KBH-ის დონეზე დასული გენერალური პროკურატურა. მისთვის მთავარია ამ „ტელეგარიგების“ მიღმა მიღებული მოგება, რომელიც არ დაითვლება და არც აიწონება. ეს ძალიან გვიან გამოჩნდება, თუ რის ფასად გაიპრეზიდენტა ხელმეორედ თავი სააკაშვილმა, როცა უკვე ყველაფერი დამთავრდება და რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იქნება.

წისქვილზე წყალი მართლაც დაისხა, მაგრამ არა იმაზე, რომელზეც ვარაუდობდნენ და „ტელეგარიგებაში“ ისაუბრეს. კოდუა მართლაც გამოცხადდა გმირად, მაგრამ თავისი პატრონის მიერ და ამის შემდეგ ის არსად აღარ გამოჩენილა, რადგან მან თავისი დავალება (არა ფიცი პირნათლად, თუ პირშავად, ეს სააკაშვილმა და პატარკაციშვილმა არკვიოს) შეასრულა, ხოლო მიიღო თუ არა მან ამ საქმეში ჩართვისთვის გასამრჯელო, ეს მეორე პლანზეა გადასული.

იყო აგრეთვე ბიულეტინების ტომარაც, მაგრამ არა ყალბი, არამედ ნამდვილი და დაუთვლელი ბიულეტინებისა და არა კოდუას ხელში, არამედ სანაგვე ყუთში, არა არჩევნების მსვლელობისას, არამედ არჩევნების შემდეგ და ყველაფერი, როგორც დათქმული იყო, ტელეკამერების წინაშე. თუ „ტელეგარიგების“ მიხედვით უნდა დაფიქსირებულიყო ეს უმსგავსობა ისე, რომ ამას მოჰყოლოდა საყოველთაო სენსაციური აღშფოთება, საიდუმლო გარიგების მიხედვით დაფიქსირდა სულ სხვა რამ - დაუთვლელი დალუქული ბიულეტენების პაკეტები ტომრობით როგორ იყრება სანაგვე მანქანებში და ეს მთელი მცონარე ევრო-ამერიკელი დამკვირვებლების თვალწინ. აღშფოთებამ მასშტაბები ვერ შეიძინა, იგი მთავრობისტების საქილიკო საგნად ქცეულიყო.

რაც შეეხება დაძინებას, დაძინებაც იყო, მაგრამ საბედნიეროდ არა იმ მნიშვნელობით, რასაც პატარკაციშვილი გულისხმობდა, და სამწუხაროდ არა იმისი, ვისი დაძინებაც თითქოს და სურდა მას. დაძინეს ოპოზიცია და განაწყენებული ხალხი. ბუნინი ამბობს დაძინებასა და ძილზე: „როგორი ბებერია ეს რუსული დაავადება (აქ ეროვნულ კუთვნილებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის ფონზეც კი, ნიშნისმოგებით რომ ამბობს პატარკაციშვილი რუსეთში ნაკითხ-განაკითხ ბეგრაუნდზე - მ.ბ.), ეს წუხილი, ეს მოწყენილობა, ეს განებივრება - მარადი იმედი იმისა, რომ მოვა ვიღაც ბაყაყი ჯადოსნური ბეჭდით და ყველაფერს შენს ნაცვლად გააკეთებს: შენ მარტო გამოდი ზღურბლზე და ხელიდან ხელში გადაიბარე ეს ბეჭედი“.

ოპოზიცია არ მოელოდა ასეთ მუხთლობას, რადგან არაერთგზის აცხადებდა, რომ ფინანსურ დახმარებას დაპირდა პატარკაციშვილი მათ და ალბათ ამის თაობაზე იმართებოდა ლონდონური ვოიაჟები. იმედების გაცრუება იმდენად შოკისმომგვრელი იყო, რომ ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, დროის რა მონაკვეთში რას ამბობდნენ და ზოგში რას. ერთის სიტყვით პოზიციების შეცვლა და ღირებულებათა გადაფასება კოსმიური სიჩქარით მიდიოდა. ყველაზე მეტი გამაღიზიანებელი დარჩა ოპოზიციისა და პატარკაციშვილის კომიკურობამდე საეჭვო ალიანსი მაშინ, როდესაც თვით პატარკაციშვილი უდიერად იხსენიებდა ოპოზიციონერთა განზრახვებსა და თვით პიროვნებებს. ამის შემდეგ კიდევ ერთი სიურპრიზი მოაწყო პატარკაციშვილმა, როგორც ტელევიზიის მეპატრონემ - ქვენა გრძნობით აღტყინებულმა საკუთარი სურვილისა და საიდუმლო გარიგების შესაბამისად ტ/კ „იმედის“ ჟურნალისტებსა და ხელმძღვანელობას არაპირდაპირ, მაგრამ აიძულა თავისი ქმედებების წყალობით დაეხურათ გაურკვეველი დროით ტელეტრანსლაციები, და ეს მაშინ, როცა მთელმა მსოფლიომ დაგმო სააკაშვილის მიერ ტელევიზიის დარბევა; და ეს მაშინ, როცა ოპოზიცია გამალებით ითხოვდა ტელეკომპანიისათვის უკანონო ყადაღის მოხსნას და ეთერში დაუყოვნებლივ გასვლას, და ეს მაშინ, როცა მთავრობა „ტელეიმედთან“ მიმართებაში სრული ბანკროტი აღმოჩნდა და თავისი გადაფურთხებული აალოკვინეს და ტელევიზიამ განაახლა ფუნქციონირება. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი პატარკაციშვილის შავი თამაშის შედეგად ტელევიზიამ შეაჩერა (გაურკვეველი ვადით) მაუწყებლობა. ამას თან მოჰყვა წინასწარ დაწერილი და არჩევნებამდე ერთი დღით ადრე დათარიღებული პატარკაციშვილის განცხადება ცეესკოს თავმჯდომარის სახელზე საკუთარი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე, ეს თამაშის ფინალური აკორდი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის ორიენტირად კვლავ პატარკაციშვილი დარჩებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. პატარკაციშვილმა თავისი ვალდებულება ამოწურა მთავრობის წინაშე და უკვე მოხსნიდა თუ არა კანდიდატურას, უკვე ყველასათვის უინტერესო გახდა. მან ხარბად ჩაითვალა თავისი იუდას ოცდაათი ვერცხლი და გაპანღურებულ იქნა საქართველოდან საშვილიშვილოდ. ხოლო რა არის ეს იუდას ვერცხლი, ამას დრო აჩვენებს. ოპოზიცია კი მისი კანდიდატურის არმოხსნას, განსხვავებით ორკვირიანი პერიოდისა, როვმელიც ჟურნალისტებთან კონფრონტაციებით გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმწვავით, ახლა ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა. გინდ ასე თქვი, გინდ ისე, მაგრამ პატარკაციშვილს ქართული „ბეგრაუნდი“ არ გამოუვიდა, თუ არ ჩავთვლით იუდას ვერცხლებს. არც თავდაპირველად, არც მერე ეს არ იყო პატარკაციშვილის ინიციატივა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის გეგმის ნაწილი იყო, რასაც გელბახიანმა სრულიად სამართლიანად უწოდა მიხრიკ-მოხრიკ-ნახრიკები, რომელსაც საუკეთესოდ აუბა მხარი პატარა კაცური შემართებით პატარკაციშვილმა.

მიხეილ ჯავახიშვილს 1924 წლის №1 უბის წიგნაკში მოაქვს ეპიკურეს გამონათქვამის ციტატა ანატოლ ფრანსის წიგნიდან „ღმერთებს სწყურიათ“, სადაც წერს:

„ეპიკურმა სთქვა: ღმერთს ან ჰსურს ებრძოლოს ბოროტს, მაგრამ არ შეუძლიან, ან შეუძლიან, მაგრამ არა ჰსურს. ან მას არ შეუძლიან და არცა ჰსურს, ან შეუძლიან და ჰსურს კიდევაც. თუ ჰსურს, მაგრამ არ შეუძლიან, იგი უძლურია; თუ მას შეუძლიან და არა ჰსურს, თვითონაც ბოროტია, თუ არც ჰსურს და არც შეუძლიან, ბოროტიც არის და უძლურიც. თუ შეუძლიან და ჰსურს, რატომ არ სჩადის?“

ეს რიტორიკული კითხვა რიტორიკულ პასუხებსვე მოითხოვს. ერთი კი უცილობლად უნდა ითქვას, რომ ღმერთი კეთილია და ყოვლადმოწყალე. მისი სიმართლე არ ჰგავს ადამიანთა მიწიერ მწირ სიმართლეს. ეპიკურემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ქრისტიანული ღვთისმეტყველება. ისედაც საეჭვო მრავალღმერთიანობის ერაში ფილოსოფოსი სხვანაირი ვერ იქნებოდა. ელინიზმის ეპოქამ უხვად დაბადა ათეისტი ფილოსოფოსები და ეპიკურეც ერთი იმათგანი იყო (ძვ.წ.აღ-ით 341-270წწ). ეპიკურე და მასთან ერთად ქრისტიანობამდელი ფილოსოფოსები ღმერთს (და ღმერთებს) ისეთ მოთხოვნებს უყენებდნენ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს. მათზე ისე მსჯელობდნენ, როგორც თავიანთ თანამედროვეებზე - მეფეებზე, წარჩინებულებზე, მეგობრებსა თუ მტრებზე. ეპიკურისეული სპონტანურობით დაფუძნებული მატერიის მოძრაობა, რომელიც შედეგია ატომთა შეტაკებისა და განცალკევებისა, ვერანაირად ვერ იქნებოდა სრულმომცველობით ღვთისმეტყველების ჭეშმარიტების აღმქმელი და მითუმეტეს კრიტიკისა. საბჭოთა ფილოსოფია მტკიცედ იყენებდა დემოკრიტესეულ (ძ.წ.აღ-ით 460-371წწ.) სწავლებას ატომიზმის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო მეცნიერულ ათეიზმს. ღვთის სამართალი უფრო დიდი და ყოვლისმომცველია, ვიდრე ადამიანური მოკლე ჭკუის ნაფიქრი. უფალი, დიახ ყველას მიუზღავს თავისას დამსახურებისდა მიხედვით. მისი სასჯელიც განსაკუთრებულია, ვიდრე KBH-ური პროკურატურის სამართალი და განსჯის მეთოდები. მკრეხელობა იქნება ამ უდიდესი მართლმსაჯულების შედარება სასამართლოების მიერ გამოტანილი უამრავი უსამართლო სამართალთან.

ღმერთი მაშინ იწყებს, როცა ადამიანი ამთავრებს – ზოგს სიცოცხლით დასჯის და სიკვდილს მოანატრებს, ზოგს უშვილძიროდ გადააგდებს ამქვეყნიდან და ა.შ. მაგრამ აუცილებლად ყველას ყველაფერი მოეკითხება. ეს ლიტონი სიტყვები არაა – მაგალითისათვის შევარდნაძის პოლიტიკური ლეშიც კმარა გასახსენებლად.

„სონატური ალეგროს“ ალეგორია სხვა არაფერია, თუ არა ღვთის რისხვა და რიტორიკა – სიმართლე, სამართალი და მსჯავრი მისი საკუთრებაა, ვინც ძლიერია, ღმერთი ყოვლადძლიერია, სამართლიანიც და მისი სამსჯავროც ჩვენი გადასაწყვეტი არაა, იგი, თუნდაც უსამართლოც, ყველაზე მართალი და უტყუარი იქნება, განსხვავებით ადამიანური სამართალისაგან. ასე მაგალითად – ადამიანთა მიერ განსჯილი სამართალი, რამდენადაც სამართლიანი არ უნდა იყოს, რაღაც ასპექტში იგი უთუოდ უსამართლო და მიუღებელი იქნება აუცილებლად, როგორი წესების აბსოლუტური დაცვითაც არ წარიმართოს მსჯავრობა. ღმერთი კი თავისი ყველაზე უსამართლობითაც ადამიანური თვალსაწიერით ყველაზე პირუთვნელი, უტყუარი და მართალი მსაჯული იქნება ყოველივესი, ყველასი და ყველაფრის, რადგან ღმერთი სჯის სრულმომცველობით და ისეთი საზომით, რომელიც ადამიანურ ბუნებას ხელთ არ ეწიფება. ადამიანი კი კონკრეტულ ვითარებას ან ვითარებათა გარემოებას სწავლობს და მერე გამოაქვს ესა თუ ის გადაწყვეტილებების მსაჯულება. ღმერთს სწავლა არ სჭირდება. მან იცის ის, რასაც აკეთებს. ადამიანური სამართლით ადამიანები მხოლოდ ისჯებიან და არ ფიქრობენ, თავიც უმეტესწილად უდანაშაულოდ მიაჩნიათ და ძლიერთა ამა სოფლისათას უსამართლობას მიაწერენ თავიანთ ყოფას და მათგანვე ელიან შენდობას, რათა შეწყდეს მათი ამ თუ იმ სახით უსამართლო მოპყრობა და გათავისუფლდნენ ადამიანური სასჯელისაგან.

უფალი როცა იწყებს, იწყებს მიზანმიმართულად ადამიანის დასჯას – ესაა სინდისის ქენჯნის გაღვიძება. უფალი ნებისმიერი მეთოდით ადამიანს მიიყვანს იმ ზომამდე, რომ მასში გაიღვიძოს ამ სინდისის ხმამ და შეაწუხოს, სულის ტკივილამდე შეაწუხოს, რათა ჩავარდეს სინანულში. სინანულით კი იგი გულწრფელი იქნება თავის სათხოვარში, ყველაზე ძლიერი და გულმოწყალე მსაჯულის წინაშე, შეუნდოს მას ესა თუ ის ცოდვა. ეს ღვთიური კანონი ყველა მოკვდავისათვის თანაბრად ხორციელდება ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად მიწიერ ცხოვრებაში.

ეპიკურესთვის და მითუმეტეს დემოკრიტესთვის, რა თქმა უნდა უცხო იქნებოდა ეს სამართალი მაშინ, როცა წარმართული ღმერთები ადამიანური ბუნებით იყვნენ აღვსილნი, ადამიანური ვნებებით საზრდოობდნენ და ფილოსოფიისათვის მიუღებელი იქნებოდა სრულიად გაუცხოებული პოლითეიზმის ფილოსოფიური საწყისი. ადამიანს ღმერთმა მიმადლა გონება, განსხვავებით სხვა მის მიერ შექმნილ არსებათაგან, აქედან გამომდინარე თუ არსებობს გონება, თვით გონებაშივე წარმოიშობა მოსაზრება, ეს უკანასკნელი კი აყალიბებს აზრს, აზრი კი ხორციელდება ქმედებაში, ან გამოიხატება განივთებულ ღირებულებებში. ის ჰეგელიანური ფილოსოფიის მთავარი ბაზისია. ღვთის სამართალიც პირველ ყოვლისა ადამიანურ გონებაში ბუდობს. გაუკუღმართებული გონება მოსაზრებას ვერ წარმოშობს და მითუმეტეს აზრი არ ექნება რაიმე ქმედების განხორციელებას და ასეთი ქმედება უღმერთო იქნება სწორედ.

ლენინი ღმერთმა სიცოცხლეში ზეზეულად გახრწნა, მკვდარს კი მიწაც არ აღირსა. მეტნაირად როგორ დაესაჯა ღმერთს ეშმაკეული და მწვალებელი?!

სასჯელი გონებაში იწყება, როცა გაუცხოდება ადამიანის EGO ინდივიდისაგან, საკუთარ თავს ვერასოდეს დაამარცხებს კაცი, რადგან დიადი მსაჯული საკუთარ თავში, საკუთარ გონიერებაში იღვიძებს, მკვდრეთით აღსდგება და განგიკითხავს თუ როგორ მოკალი ღმერთი შენში და ეს ღმერთმებრძოლეობა განავრცელე საზოგადოებაზე.

„შუამთაში ავედით. ეკლესია დაბეჭდილი დაგვხვდა, თურმე ამ ზაფხულს იქ დასასვენებლად აუგზავნიათ საბჭოთა მოსამსახურები. ერთს მათგანს - „ჩინუშას“ შეუჩივლია იქ ასულ ფ. მახარაძისათვის - ზარის ხმა მაწუხებსო. მახარაძეს უბრძანებია სამრეკლოს და ეკლესიის დაკეტვა. მერე მოდის ქალაქში და საქვეყნოდ უცხოელებისათვის აცხადებს, - საქართველოში არცერთი ეკლესია არ დაგვინგრევია, არც დაგვიკეტნიაო (მ. ჯავახიშვილი „უბის წიგნაკებიდან“, 1926 №5).

სად წამოეწია ფილიპე მახარაძეს ღვთის რისხვა - სიცოცხლის ბოლოს, როცა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამოკლეს მახვილი ამ კაციჭამიას თავზეც დაეშვა, ვერ გაუძლო საკუთარ სინდისთან ბრძოლას და როგორც ზღაპრებში იტყვიან სული გააფრთხო.

და ღვთის სამართალი სახეზე გვაქვს, თუ სიღრმისეულად დავუკვირდებით არსებულ რეალობას - პატარკაციშვილმა მიუხედავად მატერიალური მოგებისა (ხაზს ვუსვამ მოგებაზე - მ.ბ.), ვერაფერში ვერ გაიმარჯვა. დაკარგა სახე, რითაც წარსდგებოდა იგი ქართველი ერის წინაშე, დაკარგა სული კეთილშობილი კაცისა, დაკარგა პატივისცემა საზოგადოებისა, რითაც იგი ასე-რიგად იყო განებივრებული, დაკარგა დასაყრდენი, უფრო მეტიც საშოვნელი, რასაც ნებისმიერი ბიზნესმენი სათუთად უფრთხილდება. იგი საქართველოში ფეხს ვერასოდეს ვერ მოიკიდებს, თუნდაც მთავრობამ ქერის ორმოში ჩააგდოს, იმ ქერის ორმოში ჩაიხრჩვება სწორედ და მის ბიზნესს საქართველოში მოგება არასოდეს არ ექნება. გაკოტრდა თვალსა და ხელს შუა მისი ტელევიზია, კოსმიური სიჩქარით გაკოტრდა. ამით როგორც ბიზნესმენმა ენით აღუწერელი კატასტროფა განიცადა. ვისაც პურს აჭმევდა, სწორედ იმან სწორედ ის პური თავში ახალა, ამით რეპუტაცია საქმიანისა მაქსიმალურად შეირყა და ეს მაშინ, როცა სააკაშვილთან საიდუმლო გარიგებამდე მისი ავტორიტეტი მაღალი იყო და ასე თუ ისე პატივსაცემ პიროვნებად მოისაზრებოდა და სააკაშვილის უმადურობის მსხვერპლად მიაჩნდათ. ამ იუდას ვერცხლად გაყიდულმა სინდის-ნამუსმა საბოლოოდ დაასამარა მითი „ბუნჩულა ბაბუსი“. სააკაშვილმა პირადად იგი თავის პოლიტიკურ სამარეში ჩაიყოლა. ამ ადამიანურ ტრაგედიას თავისუფლად შეიძლებოდა ეპიგრაფად წამძღვარებოდა ვლადიმერ ვისოცკის სიტყვები - „Но на татуированном кровью снегу наша роспись: Мы больше не волки!“.

სააკაშვილის დანაკარგები კი ყველას დანაკარგზე აღმატებულია.

მას მოაგებინეს და იგი გამარჯვებული არაა...

II. ყალბი პრეზიდენტი

ივან ბუნინი „წყეულ დღეთა“ მემუარებში პარალელს ავლებდა რა რუსეთისა და საფრანგეთის რევოლუციათა ქარტეხილებს, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პორტრეტული გალერეის ფსიქოლოგიური ნიუანსი დაინახა: „რევოლუციური დრამა მიმდინარეობდა გაფთრებული ტემპით. მისი ყველა მსახიობი იყო იმდენად მოუსვენარი, რომ მათ ყოველთვის წარმოიდგენ მხოლოდ მოძრაობაში, ტრიბუნებზე რომ შეხტებოდნენ და დაჭიანობდნენ მრისხანებათა გაელვარებით საფრანგეთის ამ თავიდან იმ თავში ხეტიალით - ყველანი ქარიშხლის გაღვივების წყურვილით აღვსილნი ძველი სამყაროს განადგურების საჭიროებისთვის“. ალბათ რევოლუციური ტიპაჟები ყველგან ერთნაირნი არიან, ალბათ ეს რომელიღაც მოცემული კასტის ერთგვარი ადამიანების დაავადებაა. არც ჩვენი „რევოლუციონერები“ ჩამორჩებიან ფრანგ და რუს ავანტიურისტებს. ამათმა ჩიტირეკია პოლიტიკამ წარმოშვა ერის გამძვინვარება და ისეთი გამძვინვარება, რომ ყველანაირ უბედურებათა მოთავეებად სააკაშვილისტები მიაჩნიათ და მიაჩნდათ, ესეც მაშინ, როცა თავის დღეებს მშვიდად და უშფოთველად თვლის კრწანისის სამთავრობო სასახლეში ედუარდ შევარდნაძე, ეს მთავრობა კი მას ცივ ნიავსაც არ აკარებს. მაგრამ არც სააკაშვილია განტევების ვაცი, თუ მამა აბრამის ბატკანი, მან საკუთარ თავზე დაიტეხა ერის რისხვა და უნდა ითქვას, სამართლიანადაც. ამ საკითხზე არ შევაჩერებ ყურადღებას. მთავარი და საკვანძო საკითხი აქ სხვაში მდგომარეობს.

იმ მომხრეთა შორის, ვინც სამსახურეობრივად არ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, ვინც თავის რჩეულად არჩევნებისას სააკაშვილი გაიხადა, რატომ მაინცა და მაინც იგი და არა სხვა. მხედველობაში მაქვს ის მასა, ვის პროცენტულ და რეალურ მაჩვენებელს საფუძვლად დაედო ტოტალური გაყალბება. ეს ის ხალხია, რასაც გაყალბება არ დასჭირვებია და რასაც თავიანთ დასკვნებში დაეყრდნო საერთაშორისო სადამკვირვებლო არმია, რომლის სახელია „ლეგიონი“. ეს ის ხალხია, ვისაც გულწრფელად სჯერა ყველა ჯურის ხელისუფლებისა, თავის არაადამიანურ ექსპერიმენტებს პირველყოვლისა მათზე რომ ატარებს და ამ ხალხს კი საკუთარი თავის დაცვის არანაირი საშუალება არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ გულის მოსვლის ნაცვლად უშფოთველად გაიაროს დარჩენილი წუთისოფელი. ეს ის ხალხია, რომელიც თავისი ფიზიკური უძლურების გამო გადაჯაჭვულია ხელისუფლებაზე, სულ ერთია რომელიც მოვა, ამ ხალხს ლუმპენპროლეტარიატი ჰქვია და ისინი რაოდენობრივად ხელოვნურად გაამრავლა მთავრობამ, ეს ის ხალხია, რომელმაც გამოიარა ბოლშევიკურ ხორცსაკეპ მანქანაში და ამ სახით თუ იმ სახით მაინც გადარჩა და სურვილი აქვს ახლაც გადარჩეს; რომელმაც აფხაზური წვენი იგემა (ჟურნალისტების ტერმინოლოგიით „დაადგემოვნა“ - მ.ბ.), რომელიც ჯაბა-ბლუს ბლოკადაში აღმოჩნდა ოთხგზის; რომელმაც შევარდნაძეს ლაყე კვერცხები ესროლა და „მაკე ღორის სამ გოჭს“ სიხარულით შეეგება, როგორც გადამრჩენლებს.

რატომ სააკაშვილი?

იმიტომ, რომ პრეზიდენტის სავარძელში იგი აღმოჩნდა და არა სხვა;

იმიტომ, რომ ყოველი მთავრობის დაპირებისა სჯერათ;

იმიტომ, რომ სხვა გზა არა აქვს, თუ არა საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ ამჯერად მაინც არ შემცდარან;

იმიტომ, რომ „სიყვარული ვერტიკალურია და თან ბრუნვადი“...

ეს ხალხი ის ტკბილი მარგალიტაა, რომლისთვისაც საყვარლები არ იშურებენ არანაირ უბედურებას, ოღონდ ხელთ მოიგდონ, ამ საყვარლების მრავალფეროვნება კი მთავრობის ალეგორიად მესახება. აი, თუ არაა ასე:

„ხოხ, ნეტავი თქვენ ბრძანდებოდეთ ჩემი პატიმარი...

- 100 ვარამი ჩემს მტერს!

- ჩაიდინეთ რაიმე დანაშაული რა!

– რატომ?!

- ვინმე მოწამლეთ, ან, მაგალითად ტრიფონი. ბოლოსდაბოლოს, რა არის ამაში ასეთი გაუგონარი?

- დაწყნარდი, ციხე, დაწყნარდი!

- ბალიშით გაგუდეთ... ქეძაფი ჩაასხით ყურში... ღამე რომ იქნება... მერე დამიძახე მე... შეგკრავდი, ბორკილებს დაგადებდი, ჩაგიხუტებდი, ჩაგსვამდი ჩემთან, კამერაში... ისე გიყვარულებდი, ნიავს არ მოგაკარებდი! ჩაიდინე დანაშაული! მოკალი, დაახრჩე... მოდი ნუ გადავდებთ, ახლავე, ამ წუთში... ა, ლივერი, მესროლე! დანაშაული მინდა, დანაშაული! რამე დანაშაული! მრეკე, ქალბატონო მარგალიტა, ბოთლი რაა!“

ან კიდევ:

„მომბეზრდა ქურდული სიყვარული! ან რევმატიზმმა მოგკრუნჩხოს, ან ეშიაზმმა დაგკეცოს.

- რას მერჩი, დოხტურო, ერთი უქორწილოდ მოყვანილი ქალი ვარ.

- წაგიყვანდით ჩემთან, კლინიკაში, დაგაწვენდით კარანტინში, გიმკურნალებდით... ან მორიელმა გიკბინოთ, ან ცოფიანმა ძაღლმა, გაცივდით მაინც სანეტარო! მოდი ნუ გადავდებთ, გაშიშვლდით, დავაღოთ ფანჯრები! დაჰბეროს ფილტვებში ქარმა, დაგჭვალოს! ეს გამოიწვევს გართულებებს, ხიხინს, სიცხეს.

- აღმა წყალს, დაღმა ქარს... ჩემ მტერს ხიხინი და მე ოქროს ურიკა“.

ოქროს ურიკა იქით იყოს, ანუ მარგალიტასი არ იყოს, „აღმა წყალს და დაღმა ქარს...“, მაგრამ შეშებით სავსე ურიკა და ხიხინის ვაუჩერები ასე თუ ისე „ქე“ წაადგა ამომრჩევლებს და მოგებული კი ისევ მიშა-უფროსი დარჩა. სწორედ ამას ჰქვია „გირტყამენ და ტირილის უფლებას არ გაძლევენ“. ამ ხალხიდან სიყალბე არ ყოფილა, ისინი გულწრფელნი იყვნენ, ხოლო ასეთთა რიცხვი რომ მრავლად ყოფილიყო, სააკაშვილს არ დასჭირდებოდა პატარკაციშვილთან გარიგებებზე წასვლა მთავარი კონკურენტების დასამარცხებლად, ისე აიღებდა ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას. მიშა მაგარიაო,- მღერიან. მართალია, რადგან ზოგჯერ „მაგარი“ მამაკაცური ღირსებებიცაა დასაპყრობ ობიექტს რომ დაინახავს, დაპყრობისთანავე კი იგი დუნდება, მოეშვება. ასეა ახლაც, მიშა მაგარია (Note bene: დავანებოთ თავი კონტექსტუალურ ცდომილებას „ძლიერია“ თუ „მაგარია“. უნდათ და არის „მაგარი“. ხოდა, ვინაიდან ამ გამოთქმაში ქვემდებარის განსაზღვრება ზოგადი და ყოვლისმომცველია და იგი განმარტების გარეშეა წარმოდგენილი, გამოდის, რომ განმარტება თვით მასშია ჩადებული, ე.ი. „მაგარია“ და მეტის დაკონკრეტება (ანუ დამატების დართვა) არ არის საჭირო. თუ დინამიკაში განვიხილავთ ამ სიტყვათშეთანხმებას, პრეფიქს-სუფიქსების გამოყენების წყალობით მივიღებთ „სიმაგრის“ საწყისს მდგომარეობას - „გამაგრებულია“, ანუ რაღაც მანქანებით მიღწეულია რაღაც მდგომარეობის კონდიციას, რომელიც კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და მაგარი გახდეს. ეს გამოთქმა „მიშა გამაგრებულია“ ასახავს დღევანდელ რეალობას, - თავდაპირველად რომ იყო გამაგრებული და არა მაგარი; მერე გამაგრებამ დამოუკიდებელ სიმაგრეს რომ მიაღწია (მაგარიაო) ყოველვვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, დღეის მდგომარეობით რომ ისევ გამაგრებულად დარჩა, სონატური ალეგროს ქვეყანაში, და მიტომ.

ეს სიტყვათშეთანხმება „აბი გლუკოზასავით“ მისწრებაა ზემოთქმულისა, რასაც ვგულისხმობ, ორაზროვნების ჩათვლით ალბათ ნოსტალგია აძახებინებს მის

ნაწილი მესამე

ჟეკოვლო ჯრეგილიტი

и стремительно
падаешь вниз.
И пусть болит моя
травма в паху.
пусть допрыгалая
до хромоты,
но я все-таки был наверху -
и меня не
спихнуть с высоты”

ჩასაფრებულებიც უყურებენ მიშას და მიშას კაცებს და გულზე მჯიღებს იცემენ, როგორც ვისოცკი მღეროდა, ისე, რომელიღაც პირველთაგანი ვარიანტით –

„У тебя растяженье в паху,
на трибунах
устойчивый свист.
- Не удержишься ты наверху
и стремительно
падаешь вниз”

ყველაფერი კი თავდება რით:

„Дома в шубе на
рыбьем меху
мне жена
приготовит сюрприз:
Когда я был на самом верху,-
она с кем-то
спускалася вниз”.

მიშასთვის ეს ფინალი საუკეთესო შედეგი იქნება მრავალწლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობის შედეგად, თუ დაავჯერეს ასეთ ფინალს. ძალაუნებურად ჩამესმება ყურში შეშინებული მარგალიტას ხმა: „ მეც დამიჭერენ, შენც დაგიჭერენ და ტრიფონსაც დაიჭერენ“. მერე ჩემთვის გავფიქრებ - კი, მაგრამ, მე და შენ კაი დაგვიჭერენ, ის ტრიფონი რაღა შუაშია-თქო. არაფერ შუაშია, მარა მაინც დაიჭერენო,- მიპასუხებს სასოწარკვეთილი მარგალიტა ფიქრებიდან ნაფიქრში გადაფიქრებული.

ერთიც უნდა ითქვას, რომ ვერანაირი ევროპულ-ამერიკული რეკომენდაცია-რეზოლუცია საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაუბრუნებს, ეს არის თვალში ნაცრის შეყრა, მთავრობა ახორციელებს ამას თუ ოპოზიცია. ორი უმთავრესი მიზეზი არსებობს საკაცობრიო ბუნებიდან გამომდინარე, რის გამოც ვამტკიცებ ამას - ერთი ის, რომ ომით დაკარგული არასოდეს დაბრუნებულა ომით, გარდა დიპლომატიური დათმობისა ძლიერისა სუსტის მიმართ უფრო დიდი ნადავლის ხელში ჩასაგდებად, რითაც მოგებულს ერთბაშად დაათმობინებდნენ ხოლმე მიტაცებულს და მიტაცებულთან ერთად სხვა საუპირატესო ტერიტორიებს მიაყოლებდნენ. ესეც კი ომის მეშვეობით ხდებოდა (მაგალითად: პოლტავის ბრძოლით რუსეთმა დაიკანონა მიტაცებული ბალტიისპირეთი და აღადგინა თავისი გავლენის სფერო უკრაინაზე. მაშინ, როცა პოლტავამდე რუსეთმა მთელი რიგი ომები წააგო შვედებთან; ასე იყო „ანშლიუსის“ ისტორიაც და მასთან ზედმიწევნილი ჩეხოსლოვაკიის ანექსია... და სხვა მრავალი). უპირველეს ყოვლისა დათმობაზე მიდიან მაშინ, როდესაც შენი ძალის დემონსტრირებას ახდენ და აშკარად რწმუნდებიან შენი მოწინააღმდეგენი კონფრონტაციის უაზრობაში და ყველანაირ დათმობაზე მიდიან; მაგრამ ეს მაინც ომის გზით ხდება. ეს ყოველთვის ასე იყო და დრომ იგი ვერ შეცვალა, და უფრო სწორად არ შეცვალა, რადგან ძლიერები იძლევიან დემოკრატიის ინსტრუქციებს, ანუ იმას, რაც მათ საფრთხეს არ შეუქმნის, მათ ძლიერებას ჩრდილს არ მიაყენებს.

საქართველო იმ პოზიციაში არ იმყოფება, ვიღაც რომ შეაშინოს, ვიღაცას რაღაცა რომ დაათმობინოს, ბევრი მინახავს საქართველოს მიერ დათმობილი რაღაც დიდი პოლიტიკისათვის. რაღაც ერუკად ქცეული მასა კი განუწყვეტლივ ითხოვს გმირობას არაფრისგან და არავისგან. ასეთ ვითარებაში მშვიდობიანად აფხაზეთს კი არა, მიყრუებულ სოფელსაც არავინ დაბრუნებს, არც შემართებაა საამისოდ და არც ენერგია. ეს ცდომილებაა ხალხის და სიყალბეა მთქმელის.

და კიდევ მეორე და მთავარი მიზეზი, რომელიც აფხაზეთის განუკურნებელ დაავადებად შეიძლება ჩაითვალოს, ესაა დრო, ანუ რაც მეტი დრო გადის, მით უფრო სცილდება საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობის ამ ერთ-ერთ საყრდენსა და გამოვლინებას, აფხაზეთი რომ ჰქვია სახელად. შეიძლება ყველაფერი ისე მოაგვარო, ხელები აწიოს რუსეთმა, ესენი ვინ ყოფილანო, როგორც განმუხურში, შენი ბლიცკრიგით მტრის პანიკური უკანდახევა გამოიწვიო და ათქმევინო მტერსაც და მოყვარესაც „მიშა მაგარიაო!“ მაგრამ აფხაზეთში იმდენად შეეჩვივნენ დამოუკიდებლად არსებობას, რომ იქ მშვიდობით მისულიც კი აღქმული იქნები როგორც აგრესორი და არ მოგასვენებს შენსავე მამულში. ასე უბეჭდავენ თავში აფხაზ ახალგაზრდებს მტრის ხატს ქართველების სახით, დროც მათ წისქვილზე ასხამს წყალს. იზრდება თაობა, რომელმაც არ იცის თანაარსებობის პრეცედენტი, ხოლო ვინც იცის, მასაც მოწამლული აქვს გონება. კეთილგონიერება კი აფხაზეთში არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან სეპარატიზმი იქ დღეს კი არ დაწყებულა, იგი რუსეთის კავკასიური ანექსიების დღიდან იბადება. რუსული რვაფეხა თავის წიაღში ითრევდა საქართველოს ზღვისპირეთს, სად რას ახერხებდა და სად რას. აფხაზეთი უშუალო მოსაზღვრე იყო და იოლად გადაარუსა მოსახლეობა. მის მერე ვებრძვით ამ უკუღმართობას და ამ ბრძოლაში XXI საუკუნე დაგვათენდა თავს. ჩვენშიც დრომ წამოჩიტა ის ბავშვები, რომლებმაც უაფხაზეთოდ იცხოვრეს დაბადებიდან დღემდე და კარგა ხნით ამას იქით მათთვის აფხაზეთი საკუთარ სახლში დაბრუნება კი არა, უცხო ქვეყნის დაპყრობა იქნება. რაც უფრო მომრავლდებიან აქეთა მხარესაც და იქეთა მხარესაც ასეთი ბავშვები და შემდეგ ზრდასრულ ადამიანებად იქცევიან და თანდათანობით ისინი წარმართავენ ცხოვრებას, ერთისთვის ტკივილი აღარ იქნება აფხაზეთი და მეორესთვის გადამთიელი იქნება ქართველი, ერთი თავს არ შეაკლავს მტერს შინ დასაბრუნებლად, მეორეს კი მტერი ვეგონებით. ასე გაიზრდებიან ჩვენი შვილები გაუცხოებულები და იმ ზღაპრებისამარა დარჩებიან, რასაც ბავშვობაში ცალკე ჩვენ და ცალკე ისინი ვუყვებოდით ჩვენს შვილებს და მათ საკუთარი ინდივიდუალური განცდა და ემოცია აღარ ექნებათ ერთს აფხაზეთის, როგორც მამა-პაპათა სამკვალესი, სამშობლოსი, საკუთრების, მეორეს კი ურთიერთთანაცხოვრებისა და კეთილმეზობლობის. ასე ჩაკარგავს დრო აფხაზეთს უფსკრულში ჩვენთვის და სრული სიყალბე იქნება, ვისგანაც არ უნდა იყოს თქმული, აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნება. ვერავითარი ევრო-ამერიკელი მეგობრების მხარზე თათუნი ვერ დააბრუნებს დანაკარგს, ყველაფერი ეს იმ გაყალბებული არჩევნებივით ყალბია, რამეთუ თვითონაა ყალბი ევრო-ამერიკა. მისი სიხარული და აღშფოთება სხვა არაფერია, თუ არა ფარსი.

„ვეებერთელა ასპარეზი
ეძღვნა ნაბუშარს;
არაქართველი ძირძველ ქართველს
იგდებს აბუჩად.
სისხლის შეშხუის შადრევანი
ზეცას მშობლიურს.
ეთვალხუჭება ვაი-ვაგლახს
ჩვენსას მსოფლიო“
(მუხრან მაჭავარიანი).

ხოლო რა შეიძლება ითქვას საერთაშორისო დამკვირვებლებზე და ევრო-ამერიკული სახელმწიფო მაფიაზე - მხოლოდ ერთი, და ისიც რა - როცა საერთაშორისო დამკვირვებლები ბუზების თვლის მეტს არაფერს აკეთებდნენ და თავიანთ დასკვნებში დაადასტურეს კიდეც მსოფლიო მასონების ცალსახა ნება, რათა ძმა მიხეილი გამხდარიყო ისევ და ისევ ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ხერხით მათი მთავარი პარტნიორი, რისთვისაც მოახვიეს ხალხს ეს არჩევნები თავზე (ვადამდე; ვადამდე მოხდა შევარდნაძის ჩანაცვლება საკაშვილით, რადგან რეალური ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი უძლურები არიან და ყველაფერს ერთბაშად დაკარგავენ. ვადამდე მანიპულაციები და აფიორების გაკეთება-გამოჩარხვა იოლი საქმეა, ეს საქართველოს საექსპერიმენტო რესპუბლიკაში კარგად თამაშდება და კარგად ჭრის), არჩევნების შედეგები ჯერ არ იყო ცნობილი, რომ იქვე წამოვიდა მილოცვების სეტყვა. ერთი კი აღნიშნეს, იყოო სერიოზული დარღვევები და ისინი საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა აღმოიფხვრასო. ესეც კი ცალყბად ითქვა, ვინმეს რომ არ ჰგონებოდა საკვანძო-საეტაპო გადაწყვეტილება. ამ რეკომენდაციების წაკითხვა ორნაირად შეიძლება - ერთი ოპოზიციური თვალით, ეი. დარღვევები უნდა აღმოიფხვრას და მერე სამართლიანობისაკენ გადაიდგას ნაბიჯი. ამას კი ევრო-ამერიკული იმპერია არასგზით არ დაუშვებს... და გამოდის რა, მეორე ნეგატირი თვალით წაკითხული ეს რეკომენდაცია ქვეტექსტებით მეტყველებს იმაზე, რომ ეს გაყალბებები ისე უნდა იქნეს შენიღბული, რომ გაყალბების კვალი წაიშალოს. ამაზე კი ევრო-ამერიკა სიხარულით წავა. ყველაფერს იღონებს, რათა არჩევნების აშკარა ფალსიფიკაცია დემოკრატიული ფერუმარილით მორთოს. ამაზე იმთავითვე იმუშავებენ სპეცსამსახურები, ექსპერტები და სხვა საეჭვო რეპუტაციის სამსახურები და მერე უკვე სპეკულანტურად რეკომენდაციების სახით მიაწვდიან მთავრობას, გამართავენ ოპოზიციასთან მოლაპარაკება-დაშინებებს და ასერიგად მივიღებთ გაზაფხულზე მოდერნიზებულ ნეოკომუნისტურ პარლამენტს.

ასე ტაშის გრიალში და მოწოდებაში „ირჩევდნენ“ შევარდნაძეს, რომლის მიერ ჩატარებული არჩევნები მიაჩნდათ აქამდე ჩატარებულ არჩევნებს შორის ყველაზე დემოკრატიულად, შემდეგ რომ თურმე სიყალბეს ჰქონია ადგილი, ასეთივე ტაშის გრიალში „ირჩევდნენ“ საკაშვილსაც, რომლის მიერ ჩატარებული არჩევნები მიაჩნიათ აქამდე ჩატარებულ არჩევნებს შორის ყველაზე დემოკრატიულად.

რა მტკიცე უთავმოყვარეობაა საერთაშორისო დაკვირვებლებისაგან?!

ასე გაგრძელდება მერეც, თუ არ აღმოიფხვრება ერთხელ და სამუდამოდ საქართველოს კოლონიური მენტალიტეტი მთავრობაში და ზვიადის მტკიცე და ხისტ პოლიტიკას არ დაადგა ქართული სახელმწიფო, ე.ი. „კარგი ხარ შენ, მაგრამ ჩემი ოხერი თავი მე მეკუთვნის და როგორიც ვარ - დიდი ვარ თუ პატარა, მსუქანი თუ გამხდარი, ჭკვიანი თუ სულელი, შენი საქმე არ არის და თუკი გსურს მიმიღე ისეთი, როგორიც ვარ, თუ არა და შენ შენს გზას ნახავ, მე კიდევ ჩემსას“.

მალე ბუში ბუშტივით გასკდება და რაღა ეშველება ბუშის ქუჩას თბილისში?

ბუნინი ამბობდა - „რომაელები თავიანთ კატორღელებს სახეებზე ასვამდნენ დამღას: „Cave furem“. ამ სახეებზე არაფრის დასმა არაა საჭირო, - ყოველგვარი დამღის გარეშეც ყველაფერი ცხადია“.

ასეთი სახეებია საქართველოს მთავრობაში, პარლამენტში, თვით ევრო-ამერიკელი პარტნიორები. ბუშის კაცის კაცი მეთიუ ბრაიზას მეთაურობით აძლევენ მაგალითს ქართველ კაციჭამიებს. ამერიკაშიც მოხდა მარში ვაშინგტონზე მარტინ ლუთერ კინგის მეთაურობით 1963 წელს შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისათვის. შედეგად 1968 წელს იგი თავისი დიდების მწვერვალზე მყოფი მოკლეს. იყო მსვლელობა რომზეც, რომლის შედეგადაც 1922 წლიდან იტალია ხელში ჩაიგდო ბენიტო მუსოლინის ფაშისტურმა კასტამ, ისიც კრახით დამთავრდა საბოლოო ჯამში. თბილისზე 2003 წლის მსვლელობამ სხვა არაფერი მოიტანა თუ არა ერთი ვამპირის მეორეთი ჩანაცვლება, რაშიც ევრო-ამერიკული ფულები მყარად ჩაიდო, რათა შემდეგ გაასმაგებულად ამოეღოთ იგი გაძვალტყავებული როსინანტივით ილაჯგაწყვეტილი ქართველებისაგან და დონკიხოტივით შემჯდარიყო ამ როსინანტზე საკაშვილი და ქარის წისქვილებთან ეომნა დულსინეა ტობოსელის (იგივე დემოკრატიის) სახელით. მერე თავის კლიპებში რომ ეთქვა,

- სად ვიყავი? სად ვიყავი და გზებს ვაგებდიო.

მე უკეთესად ვიტყვი - სად იყო?

სად იყო და გზებს აგებდა ხალხის ჯიბიდან გამოტყაეებული გროშებით, ხოლო საერთაშორისო ინვესტიციებს აბანდებდა საკუთარ ჯიბეში, თორემ არ მოხდებოდა ისე, რომ გზები ერთსა და იმავე ადგილას ყოველწლიურად დასაგები ყოფილიყო, რათა შემდეგ დაეყვედრებია ოპოზიციისათვის, ჩემი დაგებული გზებით დადიხართ ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ და კარკარო...

კიდევ ამბობს - სად ვიყავი? სად ვიყავი და კორუფციას ვებრძოდიო.

მართლაც, სად იყო და შევარდნაძისეულ კორუფციას ებრძოდა, რათა თავისი კორუფცია გაებატონებინა. სად იყო და პატრულს ჰქმნიდა, მეტი და მეტი პროფესიონალიზმით რომ დაეხოცა ხალხი, ვიდრე ამას შევარდნაძის ღიპიანი პოლიციელები აკეთებდნენ, რათა დღისით-მზისთ, შუა ქუჩაში, ხალხით გადაჭედილ ქუჩაში მოეკლათ აკადემიკოსი გურამ შარაძე, რათა რესტორანში ბაბილონის მეძავის გამო სიცოცხლე გამოესალმებინათ გირგვლიანისათვის და შემდეგ სიმართლისა და სამართლის ძიებაში შესწირვოდა გირგვლიანის დედა. სად იყო და ქურდებს ებრძოდა, თვითონ რომ შეევსო ეს საზოგადოებრივი ჭირის ვაკუუმი. ყველაფერ ამას დაბოლოვებისათვის ნდომია თურმე მანდატი. ყველაფრის მიუხედავად მან ეს მანდატი მაინც ვერ მიიღო. რომ ამბობდა, წინასაარჩევნო დაპირება - „საქართველო შევარდნაძისა და აბაშიძის გარეშე“, მივაღწიეთ. მისი შემოქმედებიდან გამომდინარე დიდ ბოროტებად მიმაჩნია საქართველო შევარდნაძისა და აბაშიძის გარეშე. ისიც თქვა თვალთმაქცურად - მივაღწიეთო ჩვენს დანაპირებს - საქართველო უშუქობის გარეშე, აი, ეს კი მას არასოდეს არ უთქვამს და თუ თქვა, ესეც ისეთი უკულმართობით შესრულდა, რომ ქართველი ხალხი ის დაფეხვილი როსინატის როლში საუკეთესოდ გამოდგებოდა ამ ელექტროფიკაციის გადამკიდე, იმდენად ენით აუწერლად მაღალი ტარიფია დენზე და როგორი ტლუ და რეგვენ ხალხს აქვს ჩაბარებული საზოგადოებრივი მომსახურების ეს მნიშვნელოვანი სფერო. უჩივი, - და კედელს; ამტკიცებ, - და უსარგებლოდ, ელექტრომრიცხველი კი ტრიალებს როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები, - როგორც ამას კონსტანტინე (არა კოკო) გამსახურდია იტყოდა ხატოვნად.

„Тишь да гладь,
да спокойствие там.
- хоть король
был отявленный хам,
Он прогнал министров
с кресел,
оппозицию повесил
и скучал от тоски
по делам...”

ჩაიმღერა ვისოცკიმ, თითქოსდა წინასწარ გრძნობდა საკაშვილის მოახლოვებას.

აი, ახლა უკვე დადგა დრო ლოზუნგისა - „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

ზოგი დარწმუნებულია, ზოგიც არა, ზოგი დარწმუნებულია იმაში, რომ ყველაფერი ეს პირნათლად შესრულდება, ზოგი არაა დარწმუნებული. მიხეილ ჯავახიშვილი თავის უბის წიგნაკებში ხაზგასმით აღნიშნავდა: „როცა მგელი შეეჭამს, მერე გინდ დაიჯერე მისი კბილის ძალა, თუნდ ნუ დაიჯერებო“, - იქვე ცალსახად წერდა, - „ჩხუბის დროს მუდამ თავში დაუმიზნე. პოლიტიკაშიც ყოველთვის მეთაურებს იღებენ მიზანშიო. (1927წ. №9). ასეა, ასე ყოფილა და ასე იქნება. არა აქვს მნიშვნელობა დავერწმუნები თუ არა საკაშვილის გულწრფელობას, მთავარი აქ ერთია - ხალხის მასის რაღაც ნაწილი დაბეჯითებით ამტკიცებს იმას, რომ დანაპირები აუცილებლად შესრულდება. ამის შესახებ უფლებას დავიტოვებ და ხუთი წლის შემდეგ ხმამაღლა შევეკითხები მეგრელებს, ვინც დაივიწყა სტუმრის პატივისცემა და თავ-პირი დაამტვრია იქ სამიტინგოდ ჩასულ ოპოზიციას მაშინ, როცა ტაშ-ფანდურით შეხვდნენ საკაშვილს და გრანდიოზული კონცერტი გაამართვინეს. მათ შეეძლოთ არასასიამოვნო მიტინგებზე წასვლის ნაცვლად სახლში დარჩენილიყვნენ და ვინც მომხრე იყო ოპოზიციის, იგი მივიდოდა იქ. შეიძლება ჩემს ქალაქში ბევრი ვინმეს ჩამოსვლა არ მიხარია, მაგრამ მე უფლება არა მაქვს არც იურიდიული, არც მორალური, არც ადამიანური, რომ ვინმეს აუკრძალო ჩემთვის არასასურველი შეხვედრების მოწყობა. ბოლოს-დაბოლოს, ჩემს სახლში ხომ არ მოსულან ისინი!!! ეს მთლიანად სამეგრელოს სირცხვილია და ამიტომ მათ შეეკითხები ხუთი წლის შემდეგ, ან ზუსტად მაშინ, როცა ამოეწურება ყალბ პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა (ვადამდე თუ ვადის გადაცილებით), რა ჯიღა დაგაყარათ საკაშვილმა, ასე-რიგად რომ შეირცხვინეთ სახელი, გავედით ფსოუს ნაპირებამდე?!

და ამას არა ნიშნისმოგებით, არამედ სინანულით ვკითხავ, რათა ჩაფიქრდნენ და კიდევ ერთხელ არ გაიბითურონ საქართველოს ისტორიაში თავიანთი თავი.

მერე ვკითხავ პენსიონერებს, ვინც გადარჩება ხუთი წლის მერე (ან მანამდე, ან დაგვიანებით) სად და რით იკვებებიან, არა ნიშნისმოგებით, არამედ სინანულით, რადგან ეს საბედისწერო შეცდომა არ მოეკითხოთ, ღვთის სამსჯავროზე როცა წარსდგებიან. ბუჩქისტ-აქტივისტებს ვკითხავ - შენ და მიშამ რა მიყავით მე, შევეკითხები სავსებით სერიოზულად და მათ მოვთხოვ პასუხს და ისინი ვერ გაექცევიან ამ პასუხს, რადგან ამ ხელისუფლების დამრტყმელი (ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით) ძალა სწორედ ისინი არიან.

როდესაც ერთის მხრიდან რუსეთის, მეორეს მხრიდან კი გაერთიანებული კოალიციური არმიები გერმანიის საზღვრებს უტევდნენ და ფაშიზმი სულს ღაფავდა, ამ დროს ეკითხებოდნენ გერინგს, რატომ სჩადიოდი არაადამიანურ საქმეებსო, რეიხსმარშალმა უპასუხა, ეს მე არა, ეს ფიურერი სჩადიოდაო, მე მხოლოდ მის ბრძანებებს ვასრულებდიო. თავისი დაცვა ადვოკატის მეშვეობით ამ პრინციპზე ააგო მან ნიურნბერგის პროცესზეც. გებელსმა კი თვითმკვლელობამდე ასე იმართლა თავი - გერმანელი ხალხის არჩევანი ეს იყოო. მე არ მინდა პირტიტველა ბავშვებმა ასეთი თავის მართლების მეთოდებს მიმართონ, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდები არიან და მსგავსი საქციელი სულს წაუხდენს მათ.

კიდევ ერთ ფრიად სამწუხარო ფაქტზე მსურს შევჩერდე - საკაშვილი და მისი ხელისუფლება, განსაკუთრებით საშვიდნოემბრო გრძელი ხელკეტების ღამიდან მოყოლებული წინასაარჩევნო დაგვირგვინებული პერიოდის დართვით, სარგებლობდა საქართველოს საპატრიარქოს განსაკუთრებული მომსახურებითა და ყურადღებით, მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქო აცხადებდა სრულ ნეიტრალიტეტს პოლიტიკურ კრიზისში და მოუწოდებდა მხარეებს დასხდომოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას. ეს იყო სამწუხაროდ მედლის ერთი მხარე, მეორე მხარე კი იყო საკაშვილის პოპულარიზაციის (მე ამას ასე დავარქმევდი - ხალხში რეაბილიტაციის) ცდა.

საპატრიარქო გახდა მთავრობის ჯებირი აზვირთებული ერის წინაშე!

ასე იყო 7 ნოემბერსაც და ასე იყო 5 იანვრის შემდეგაც, როდესაც ოპოზიციამ ბრძოლის ფარ-ხმალი დაყარა პატრიარქისთვის მიცემული აღთქმის გამო. ამით სააკაშვილს ხელფეხი გაეხსნა დაუსჯელად ჩაეტარებინა ყალბი პრეზიდენტის ინაუგურაციის ორდღიანი კომედია, რაშიც ეკლესიის მესვეურებიც ძალაუნებურად ჩათრეულნი გახდნენ. მიზეზები და ქვეტექსტები მრავალი იქნება, ესაა მხოლოდ, რომ საპატრიარქოს სხვანაირადაც შეეძლო ემოქმედნა და ამით აღთქმული ნეიტრალიტეტი სრულად დაეცვა. ეს გულდასაწყვეტია და სხვა არაფერი.

ამით ამოვწურავ ამ პრობლემას და ისევ სააკაშვილს და მის მთავრობას მივუბრუნდები, რადგან სრულმოცველობით უნდა წარმოჩინდეს როგორ და რა მაქინაციებით ჩაიგდო მან ხელში ხელისუფლება.

მისი ახლად დანიშნულ-გადანიშნული მინისტრები იმას მოასწავებს, რომ მიშა-უფროსმა ისინი მიაწინაურ-მოაწინაურა არჩევნებში აქტიურობის შესაბამისად. ეს არის უმთავრესი კრიტერიუმი დღევანდელი (ანუ ნაარჩევნებალი) მთავრობის შემადგენლობისა და კიდევ ერთიც: რომ ეს აშკარად თვალში საცემი და გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო, მოიწვიეს ერთი-ორი აბსოლუტურად უცნობი კაცი ფაქტიურად არაფერ საქმეთა მინისტრებად. ყასიდად ოპოზიციასაც შესთავაზეს ასეთ არაფერ საქმეთა მინისტრების პორტფელები, წინასწარვე იცოდა რა მათი განწყობა და უარი ამ „გამოწვდილ ხელზე“, რათა ეკეკლუცა დემოკრატიულად ევრო-ამერიკის წინაშე და მათაც კვერი დაეკრათ მისთვის. დამსახურებისდამიხედვით საარჩევნო აქტიურობის გამო ეს მინისტრები გადაანაწილა შემდეგნაირად - ზოგს ებოძა ყველაფერ საქმეთა მინისტრობა (არაფერ საქმეთა მინისტრებზე უკვე ვისაუბრე), ზოგს ცოტა საქმეთა მინისტრობა და ზოგსაც ბევრ საქმეთა მინისტრობა.

არაფერ საქმეთა მინისტრების სათავეში როგორც ადრე, ისე ახლაც გია ბარამიძე დატოვა, რადგან მისი გონებისა და პოტენციის პატრონისათვის არ მოიძებნა შესაბამისი რაღაც საქმეთა მინისტრობა და ისევ ამჯობინეს მის განაწყენებას არაფერ საქმეთა მინისტრებს ჩადგომოდა სათავეში. ახლაც გაგრძელდა ასე. ეს კომედია გასაოცრად წააგავს პრეზიდენტ რამბალ კოშეს სათამაშოებს ფრანგული კომედიიდან „სათამაშო“.

და ისევ მიხეილ ჯავახიშვილს დავესესხები ალეგორიული ტონალობის შემოსატანად: „დღეს მთელი საქართველო და რუსეთიც პირქფიანად დავობენ: ხალხი გაღარიბდა თუ გამდიდრდაო? მოჰყავთ კოშკების სიმაღლე, ცხრილები და ასალაბიანი ციფრები. მე კი ვიტყვი: წადით რომელიმე სოფელში, გამოიყვანეთ ასი გლეხი, ჩაჰხადეთ შარვლები და დასთვალეთ - რამდენს აცვია ნიფხავი. კიდევ გაიმეორეთ 6 თვის შემდეგ და შეადარეთ. სიმართლეს უმალვე გაიგებთ (შარდენის დრო)“ (უბის წიგნაკებიდან 1926 №6).

შარდენის დროსაც, შარდენის მერეც და დღესაც რუსეთ-საქართველო პირქფიანად დავობს ხან ამ საკითხზე, ხან იმ საკითხზე. ერთი კია, რომ ამ მეთოდის გამოყენება გამოუსადეგარია, რადგან აქაც გააყალბებენ შედეგებს და ვაუჩერების ნაცვლად ნაცისტები ნიფხვებს დაარიგებენ წარწერით „5“. და მერე დაიწყებენ დათვლას, თანაც ამისდა მიუხედავად ხელი წასცდებათ და შემოეყალბებათ შედეგები. მითუმეტეს ბრაიზისტი დამკვირვებლებიც თუ ეყოლათ, იქვე იტყვიან არანაირი დარღვევა არ ყოფილა, ყველაფერი რიგზეა, დემოკრატიულად და კონკურენტუნარიანად შევამოწმეთო და დავადგინეთ (შუალედური დასკვნებით), რომ რადგან გლეხებს ნიფხვები აცვიათ, ესე იგი საქართველო სიღარიბის გარეშეაო.

მერე კონცერტს გამართავენ - „აბატაში, ტაში, ტაში, ეს რა მოხდა აბაშიო...“ დაიწყებენ სიმღერას და ამასაც ფალსიფიცირებული ხმით. მინისტრები კიდევ ტაშს დაუკრავენ მხურვალედ და განუწყვეტლივ. გავეშებული ლენინი კიდევ ასე იტყოდა რევოლუციური შემართებით - „კაპიტალისტები ჩვენ იმ თოკსაც მოგვყიდიან, რომელზედაც მათ ჩამოვკიდებთო“. ესენი კაპიტალისტებს ვერ გაიმეტებენ, ამით უდგათ სული, და მიტომ, თუმცაღა არც ამაზე დაუხვევიათ უკან, როცა ამის საჭიროება დადგა. აბა რევოლუციურ შემართებას ხომ არ უღალატებდნენ რაღაც დოზით მაინც. ჰოდა, მინისტრებიც იმიტომ არიან, რომ ათასნაირი თავსატეხი გამოუჩინონ ბიზნესმენებსა და მაგნატებს, მსგავსად პატარაკაციშვილისა. მისი მდგომარეობა, მისი რეალური არსი ისევ და ისევ ვისოცკისეულ „მიკროფონში“ მდგომარეობს, აი, თუ არაა ასე - „...По профессии я усилитель,
я страдал, но усиливал ложь”
- და ფინალი მისი და მისნაირთა ხვედრისა - „Часто нас заменяют
другими, чтобы мы не мешали
вранью”.

აი, ყველაფერ, არაფერ, ბევრ თუ ცოტა საქმეთა, ომებისა და ბრძოლების მინისტრთა მოვალეობა ესაა, რათა თვითონაც არ დაემგვანონ ჩანაცვლებულ მიკროფონებს, მათაც უნდა გაიძლიერონ სიყალბე, სიცრუე, თვალთმაქცობა და ა.შ. იმიტომ კი არაა ყალბი მიშა, რომ მან არჩევნები გააყალბა მხოლოდ, ამას მინისტრთა მოვალეობათა საეჭვო აღსრულებაც ადასტურებს და ზურგს უმაგრებენ ისინი ყალბი პრეზიდენტის ტიტულს. ახლა აღიარებ თუ არ აღიარებ არჩევნების შედეგს, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ის სიყალბით მოვიდა და იყო ანტიპრეზიდენტი და ახლა ამას ყალბის იარლიიც მიემატა და იგი ასეთად დარჩება მანამ, სანამ არ ჩამოიცილებს, ან საკუთარი ნებით, ან ძალადობით, ან კიდევ ვადის ამოწურვით ამ სამარცხვინო დამღას. მანამდე კი საქართველოს ჰყავს და ეყოლება ყალბი და ანტიპრეზიდენტი. „პატივი უგნურს, რომელიც გვრის კაცობრიობას ოქროს სიზმრებს“... როგორც უყვარდა ამის ღრიალი გორკის! სიზმარი კი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ თავი ჩაემტვრია ფაბრიკანტისთვის, ამოეტრიალებინა მისი ჯიბეები და გამხდარიყო უარესად გათახსირებული, ვიდრე თვით ის ფაბრიკანტი“ (ივ. ბუნინი „წყეული დღეები“).

III. გაბადრულიდან გაბითურებულ ოპოზიციამდე

„დღე-ღამე აღარ ახსოვს,
თრიაქის კვამლი ახრჩობს,
ფანჯარასთან დგას მახნო,
შეგროვდით ერთად ხალხნო,
დაღლილი ბატკოს ახლოს...“

სწორედ რომ ნესტორ ივანოვიჩმა თავისი ამბოხების დევიზად გაიხადა - „დასცხე წითლებს, სანამ არ გათეთრდებიან და თეთრებს, სანამ არ გაწითლდებიანო“. ვინ როგორ, მაგრამ ამ სტატიის პათოსი სწორედ ასეთია იმიტომ, რომ წითლებიცა და თეთრებიც საბოლოო ჯამში უტოპისტები არიან. სააკაშვილმა თუ კარგად იცის რას და რატომ აკეთებს, ოპოზიციას წარმოდგენა არა აქვს რას ითხოვს და რატომ ითხოვს. ამას ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა არ შეიძლება ეწოდოს, ისინი იმდენად უსუსურები გამოდგნენ, რომ ვისაც არ შეეზარა, იმან მოატყუა და გააბითურა - პატარაკაციშვილმაც, სააკაშვილმაც, საერთაშორისო ავანტიურისტულმა ორგანიზაციებმაც და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ამის თქმა და გაგონება, საპატრიარქომაც, ყველამ ერთად ხელ-ფეხი შეუბორკა აზვირთებულ ხალხს და მათ წინამძღოლ ოპოზიციას და გზა ხელისუფლებისაკენ გადაულოცა სააკაშვილს. ამით რევოლუციური აღტკინება ნელ-ნელა ჩაქრა, საქართველო გადაურჩა რეალურ რევოლუციას. შეიძლება ეს რაღაც მომენტში კარგი და პოზიტიური მოვლენა იყოს, ამას დრო დაამტკიცებს და გვიჩვენებს, მაგრამ ქვეყანა ჩავარდა გავეშებული სააკაშვილის ხახაში. ხოლო ეს ხახა თუ რამდენად წამლეკავი იქნება (და ყველაზე უფრო მეტად რამდენად მართებული იყო საპატრიარქოს პოზიცია), ან რამდენად სისხლისმსმელი იქნებოდა ახალი ტიპის რევოლუცია, ამის შესახებ ჯერ ვერავინ ვერაფერს იტყვის. სამომავლოდ გადაინაცვლა ახალი ჯურის დარბევებმა. მახნო ვახსენე და მისი დევიზი გავიზიარე, იგი ჯერ რუმინეთში გაიქცა, შემდეგ კი საფრანგეთში გადაბარგდა და თავს მეწალეობით ირჩენდა,დამატებით კი ტიპოგრაფიაში მუშად მუშაობდა. ასეა თუ ისე, ამ მხრივაც ნაწილობრივ მაინც ვიზიარებ მახნოს ბედს.

ოპოზიციამაც განიცადა დანაკარგი, მაგრამ იგი არ აღემატება სააკაშვილისას, თუნდაც პატარაკაციშვილისას. მან დაკარგა პირველ ყოვლისა წონასწორობა, რაც მდგომარეობს მოთხოვნათა არაორდინალურობაში. იგი არარეალურია, როდესაც ითხოვს არჩევნების მეორე ტურს. მან საუკეთესოდ უნდა იცოდეს, რომ ყველაზე მეტად ამას არ გააკეთებს მთავრობა. ეს მოთხოვნა ჰგავს ნაჯახით წყლის გაჩეხვას. მისი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა აგრეთვე არის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტება. კი, კარგია ესეც, მაგრამ ამ დონეზე დაწვრილმანება მის დანაკარგთა კომპენსაციის მოთხოვნაზე მეტყველებს. საქმე იმაშია, რომ პატარაკაციშვილმა მათ ხელიდან გამოაცალა ტ/კ „იმედი“ და იგი პრაქტიკულად თვითგაკოტრებამდე მიიყვანა მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციისათვის რუპორის წართმევის მიზნით. ამ დრომდე ოპოზიციას არ გახსენებია საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოების საკუთრება რომ უნდა ყოფილიყო და მისი თავისუფლებისათვის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ებრძოლათ იარსებებდა თუ არა ტელეიმედი. ოპოზიციის ბევრმა წევრმა ისიც თქვა, თუ ახალ არჩევნებამდე არ მოგვარდება საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა, მერე რაღასთვის მჭირდებაო.

ასე უნდა დაყენო საკითხი?!

„ნეკის ოდენა პოტენცია და მდევური მადაო, - აღნიშნავდა მიხეილ ჯავახიშვილი, - წრიპინა საქმე და ყარამანისეული შეძახილები - აი, ჩვენი ფუტურისტები (თავისუფლად შეიძლება სიტყვა „ფუტურისტებს“ ჩაეცვლოს სიტყვა „ოპოზიცია“ - მ.ბ). H SO -სგან მემარცხენეობა მარტო იმით განირჩევა, რომ უფრო გასაგებია პირველზე, მაგრამ ესეც სახიფათოა ავტორებისათვის: მკითხველიც გაიგებს, რომ ამაშიც არაფერი ყრია. გაიგოს! მოიგებს! - მერე იქვე ამატებს, - დღეს ერთ იტყვიან

ინტერვიუ გაზეთიდან
Коммерсантъ

ვანო მერაბიშვილი: რუსები აიძულებენ აფხაზებს, ემზადონ ომისათვის!

საქართველომ რუსეთისაგან მოითხოვა ბოდიშის მოხდა და ზარალის ანაზღაურება 20 აპრილს აფხაზეთის თავზე ქართული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდებისათვის, რომელსაც აგრესიის აქტის ინციდენტი უწოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც მიიჩნევენ დღევანდელი ქართული ხელისუფლების ღერძად, "კომერსანტის" სპეციალური კორესპონდენტის ოლგა ალიონოვასათვის მიცემულ ინტერვიუში "უპილოტო თვითმფრინავების" ინციდენტთან დაკავშირებით ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივების, ხელისუფლებასა და ქართულ ოპოზიციასთან დაპირისპირების, აგრეთვე იმის შესახებ, იქნება თუ არა ომი აფხაზეთში.

- ქართული ოპოზიცია კვლავ აცხადებს პროტესტს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს რაიმე ზომებს?

- მაშ რა უნდა გააკეთოს. ის რეფორმები, რომლებიც ჩვენ განვახორციელეთ, აღმოჩნდა ისეთი მტკივნეული, რომ ხალხმა ეს ჯერ კიდევ ვერ გადაიტანა. ჩვენ გადავატრიალეთ ყველაფერი, როდესაც ბოლო მოვულეთ კორუფციას. როდესაც ვლაპარაკობ, რომ საქართველოში არ არის ადამიანთა არც ერთი გატაცება, არც ერთი კანონიერი ქურდი, ფაქტობრივად ნულამდე არის დასული მანქანების მოპარვა, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. 2003 წლიდან ბიუჯეტი გაიზარდა 14-ჯერ. ეს ფული ვიღაცას ჯიბეში ედო - ჩვენ ეს ფული მოვიპოვეთ და ჩავდეთ ბიუჯეტში. მაშასადამე, ბევრმა ადამიანმა დაკარგა ეს ფული. რასაკვირველია, ისინი იბრძოლებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ არის საზოგადოება დაძაბული.

მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევნებზე. და მოხდა ეს ორი მიზეზის გამო: ჩვენ კარგად ჩავატარეთ კამპანია და ხალხმა გაიგო, რომ ოპოზიცია არაფრისმაქნისია. რას თავაზობდნენ ისინი ხალხს. არაფერს. ერთადერთი პარტია, რომელიც რაღაცას საერთოდ სთავაზობდა, იყო ჩვენი პარტია. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ გავზარდეთ პენსიები 4-5-ჯერ. ეს რეალური საქმეა. ოპოზიციამ კი, რომელსაც არ გააჩნია პროგრამები, წააგო ისე სერიოზულად, რომ გახდა მარგინალური.

- რატომ მარგინალური?

- ისინი ფიქრობენ, რომ, რახან ჩვენ მოვაწყვეთ რევოლუცია, მათაც შეუძლიათ ეს გააკეთონ. მაგრამ ეს ადამიანები ადეკვატურები არ არიან. მათ თავადაც არ ესმით, რომ არ გააჩნიათ რეიტინგი. ჩვენ 2003 წელს ყოველ კვირას ვზომავდით ჩვენს რეიტინგებს. ისინი კი ეყრდნობოდნენ მხოლოდ თავიანთ თვითრწმენას.

- როგორ, თქვენ არ გამორიცხავთ სიტუაციის გამწვავებას?

- მე არაფერს არ გამოვრიცხავ. ისინი ხდებიან მარგინალები. აი, მათ სამ კვირაში დაკარგეს 100 ათასი ხმა თბილისში. გაჩეჩილაძემ იანვარში მიიღო თბილისში 220 ათასი ხმა, ამჟამად კი - მხოლოდ 100 ათასი.

- რამდენი კაცი გაათავისუფლეთ პოლიციის რეფორმის მსვლელობის დროს?

- 35 ათასზე მეტი.

- ისინი ამჟამად ოპოზიციის მიტინგებზე არიან?

- დიახ, შეიძლება. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც შედიან საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, სასაზღვრო ჯარები და გაზსადენების დაცვა, 28 ათასი კაცია. იყო 80 ათასზე მეტი. ეს იყო მტკივნეული რეფორმები. მაგრამ ისინი აუცილებელი იყო. და მე ვამაყობ, რომ დღეს ქართველი პოლიციელები იღებენ უფრო დიდ ხელფასს, ვიდრე რუსი მილიციონერები.

- ეს რამდენია?

- 600-დან 4 ათას დოლარამდე სამსახურის ვადისა და წოდების შესაბამისად. მაგრამ საქმე მარტო ხელფასები როდია. მე ვამაყობ, რომ ქართული პოლიცია არ იღებს ქრთამებს. ვერც ერთი ადამიანი ვერ გეტყვით საქართველოში, რომ მან მისცა ქრთამი სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებს. ჩვენ, უბრალოდ, ერთ დღეს გავუშვით სახლში ყველა პოლიციელი. და სამინისტროში მოვიყვანეთ ახალი ადამიანები, გავუზარდეთ ხელფასი, გავაუმჯობესეთ დისციპლინა. ქართული პოლიციის რეიტინგი - 70 პროცენტია, და აქ ჩვენ მივდივართ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონეზე. ექვსი წლის წინათ კი ეს რეიტინგი იყო სულ რაღაც 3-4 პროცენტი.

- განმეორდება საქართველოში 7 ნოემბრის მოვლენები?

- მიჭირს ამის თქმა.

- თქვენ ხელმძღვანელობდით იმ სპეცოპერაციას. ხომ არ ნაღვლობთ ამის შესახებ?

- რა მოხდა მაშინ...

- საპროტესტო აქციის დარბევა ძალოვანი მეთოდებით.

- მაგრამ ეს ხომ ნორმალურია. არის კი მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც პოლიცია არ იყენებდეს ძალას, როდესაც სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება. ჩვენს პოლიციას არ გააჩნდა არავითარი პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ოპერაცია ჩატარდა პროფესიულად - არც ერთი დაღუპული და არც ერთი სერიოზული ტრავმა. როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, პოლიციას არ ჰქონდა არც იარაღი, არც ხელკეტები. ამჟამად ჩვენ კარგად შეიარაღებულები ვართ, ჩვენ გამოვიყენეთ დემონსტრაციის დაშლის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის აკუსტიკური ტექნიკაც. ჩვენ გამოვიყენეთ გაზი. რასაკვირველია, ეს იყო მეტად მძიმე გადაწყვეტილება იმიტომ, რომ თბილისში იყო 1989 წლის 9 აპრილი. მაგრამ ჩვენ ვმოქმედებდით პროფესიულად. როდესაც ვყიდულობთ გაზს, მას კარგად ვამოწმებთ. თანაც ჩვენ მას ვცვლით ყოველწლიურად.

- თქვენი მონაცემებით, რა მოხდა გალის რაიონში არჩევნების დროს. ეს იყო აფეთქება თუ ტყვიის სროლა?

- იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც გადადიან ადმინისტრაციულ საზღვარს და მონაწილეობას ღებულობენ კენჭისყრაში ზუგდიდის რაიონში, ძალიან ხშირად იყენებენ რაიმე ზომებს. აფხაზეთში ეგრეთ წოდებული სამშვიდობოების რაოდენობის გადიდებისა და პუტინის გეგმის გამოცხადების შესახებ აფხაზეთის აღიარების შესახებ ზოგიერთმა მოინდომა ეჩვენებინა იმ ქართველებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთის გალის რაიონში, რომ ისინი არ არიან დაცულნი. ისინი გაეგზავნენ ავტობუსით ხმის მისაცემად. სროლებიდან ჩანს, რომ მთავარი მიზანი არ ყოფილა ადამიანთა დახოცვა: ჯერ დაუშინეს ტყვიები ავტობუსებს ავტომატური იარაღიდან, შემდეგ, როდესაც ხალხი გაიქცა-გამოიქცა - დაიწყეს ნაღმსატყორცნებით სროლა. იქ არიან დაჭრილები, მაგრამ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ეს უფრო მეტად იყო დაშინების აქტი.

- საიდან ისროდნენ?

- იქ არ არის მკვეთრი საზღვრები, ამიტომ სიტუაცია მეტად რთულია.

- თქვენ მიგაჩნიათ, რომ ესენი იყვნენ ბანდიტები, პარტიზანები?

- რა სხვაობაა. ფაქტი რჩება ფაქტად. ეს არის უკონტროლო ტერიტორია. ჩვენ რამდენჯერმე შევთავაზეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, აფხაზურ მხარესაც, შეექმნათ გალის რაიონში შერეული პოლიციური კონტროლი. გატაცებული მანქანების 90 პროცენტი მიდის გალში! მიმდინარეობს კონტრაბანდა! შეუძლებელია აკონროლო საზღვრის მთელი 70 კილომეტრი! მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ავტობუსებისათვის ტყვიის სროლა - ეს ბანდიტების საქმე არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, ეს იყო დაშინების აქტი. უბრალოდ, სურთ, რომ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ გალში, ეშინოდეთ და ემორჩილებოდნენ მათ.

- იმას, რაც ამჟამად ხდება აფხაზეთსა და საქართველოს შორის, შეიძლება ვუწოდოთ ომი?

- პუტინის ნაბიჯები თავისი პრეზიდენტობის უკანასკნელი თვეების პერიოდში - ეს არის საქართველოს ტერიტორიის ორი ნაწილის ოკუპაციის გამოცხადება.

- აფხაზეთის თავზე ჩამოაგდეს, აფხაზური მხარის მონაცემებით, საქართველოს შვიდი უპილოტო თვითმფრინავი. საქართველოს ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ორი. რატომ არის ასეთი შეუთავსებლობა?

- მიჭირს გიპასუხოთ, საიდან გაჩნდა ეს ხუთი „უპილოტოები“. მიმაჩნია, რომ აფხაზები ამას ლაპარაკობენ, რათა აამაღლონ თავიანთი ხალხის სულისკვეთება. და კიდევ ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც პირველად იქნა ჩამოგდებული რუსეთის მიგ-ის მიერ ჩვენი უპილოტო თვითმფრინავი, რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შემდეგისათვის მოეხდინა იმის დემონსტრაცია, რომ ეს თვითმფრინავი ჩამოაგდო აფხაზეთის სამხედრო-საჰაერო თავდაცვამ. რუსებმა თავად გაიგეს, რომ დაუშვეს დიდი შეცდომა, როდესაც მათმა თვითმფრინავმა აშკარად ჩამოაგდო ქართული თვითმფრინავი საქართველოს ტერიტორიის თავზე. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მეორე თვითმფრინავიც ჩამოგდებული იყო რუსეთის სამხედრო საჰაერო თავდაცვის მიერ. ხოლო ყველა შემდეგი ჩამოგდებული თვითმფრინავი მათი მოგონილია, რათა მიაფუჭონ პირველი დარტყმის ეფექტი.

ჩვენ გვაქვს ამ შეტევის ვიდეოჩანაწერი, როდესაც რუსეთის მიგი აფრინდა რუსეთის სამხედრო ბაზიდან. ჩვენს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს არის მიგი, თუმცა ზოგიერთი ამბობს, რომ ეს იყო სუ. ამას არ აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ ასეთი სერიოზული თვითმფრინავები აფხაზებს არა ჰყავთ.

- მაგრამ აფხაზი ხელისუფალნი ხომ არაერთგზის ამბობდნენ, რომ თავად ყიდულობენ თვითმფრინავებსა და ტექნიკას?

- მათ ახლა შეისყიდეს „ბუკ-1მ". ამის შესახებ ბაღაფშმა განაცხადა. ეს არის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი მოქმედების საშუალო რადიუსით. მას შეუძლია დაფაროს საჰაერო სივრცის 35 კილომეტრი. ასეთი კლასის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა მსოფლიოში მხოლოდ 25 სახელმწიფოს აქვს. და აი, ასეთ „ბუკს" "ყიდულობენ" აფხაზები. და ის ამჟამად არის გალის რაიონში.

- თქვენ ასეთი შეიარაღება არა გაქვთ?

- გვაქვს და უფრო სერიოზულიც. ამის შესაძლებლობა ჩვენ გაგვაჩნია.

- მაგრამ აფხაზებსაც ხომ აქვთ ფული?

- თქვენ ისე ლაპარაკობთ აფხაზეთზე, თითქოს იგი შორეული სახელმწიფო იყოს! აფხაზეთი - ეს არის ოფიციალურად უღიარებელი ტერიტორია, ანკლავია, სადაც, მსოფლიო თანამეგობრობის აღიარებით, მოხდა ეთნიკური წმენდა. მათ თუ აქვთ ფული, მხოლოდ რუსეთისაგან. რუსეთი აძლევს მათ ფულსაც და იარაღსაც, რათა მათ იბრძოლონ ჩვენს წინააღმდეგ. „ბუკის" ერთი სისტემის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 150 მილიონ დოლარს. არ გიჩნდებათ შეკითხვა: რატომ აქვთ აფხაზებს ასეთი იარაღი.

- იმ თვალსაზრისით, რომ მათ აქვთ ასეთი ძვირადღირებული იარაღი?

- საქმე მარტო ფასში როდია. ვერავინ იყიდის ასეთ იარაღს ბაზარზე. ეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეტად სერიოზული საშუალებაა. ხომ გახსოვთ, როდესაც უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ჩამოაგდო ისრაელის თვითმფრინავი.

- ესე იგი, მას შეუძლია ჩამოაგდოს თქვენი თვითმფრინავებიც?

- მათ შეუძლიათ ჩამოაგდონ ყველაფერი 25 კილომეტრის სიმაღლეზე. ჩვენი სამგზავრო თვითმფრინავები დაფრენენ 10 კილომეტრის სიმაღლეზე, სამხედროებისა კი - 15-20 კილომეტრის სიმაღლეზე. აფხაზეთს ამჟამად უფრო მეტი შეიარაღება აქვთ, ვიდრე სირიას.

- ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთი ემზადება ომისათვის?

- რასაკვირველია. უფრო ზუსტად, ემზადებიან არა აფხაზები, არამედ რუსები აიძულებენ მათ, ემზადონ ომისათვის.

- რატომ?

- თუ ომი იქნება, თუ მოხდება თუნდაც ერთი გასროლა საქართველოს მხრიდან, საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი.

- ფიქრობთ, რომ ეს თანაბარფასოვანი გაცვლაა?

- მაგრამ ეს რეალურია! თუ იქ იქნება სამხედრო მოქმედებანი, ცხადია, საქართველოს არ მიიღებენ ნატოში. და რუსებმა ეს შესანიშნავად იციან. შეუძლებელი გახდება კონსენსუსის მიღწევა ნატოს წევრ ევროპის ქვეყნებში, რათა მათ მიიღონ თავიანთ რიგებში სახელმწიფო, სადაც მიმდინარეობს სროლები. ყველა პრობლემა საქართველოსა და რუსეთს შორის დაიწყო მას შემდეგ, რაც რეალური გახდა საქართველოს შესვლა ნატოში. რუსეთისათვის კი ეს მეტად სერიოზული პრობლემაა. თუ საქართველო გახდება ნატოს წევრი, ეს იქნება რუსეთის გვერდის ავლით ენერგორესურსების ტრანსპორტირების რეალური არხი. და მე ვფიქრობ, რომ რუსეთის გეგმებში შედის აფხაზეთში სამხედრო მოქმედებანი, რათა გარანტირებულ იქნეს საქართველოს ნატოში შეუსვლელობა. რუსეთს რომ ასეთი გეგმები აქვს, ჩვენთვის ეს პრობლემაა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ კრემლი მიაღწევს თავისას?

- კრემლში 6-7 წლის წინათ შეადგინეს გეგმა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ, რათა საქართველო არ შევიდეს ნატოში. და ყველაფერი ხდება ამ გეგმის მიხედვით. მე ვიცი, თუ როგორ გეგმავდნენ ისინი ემბარგოს ქართულ ღვინოზე. და ვიცი კაცი, ვინც ეს მოაწყო. ეს არის ხოლმოგოროვი, რომელიც იყო უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დეპარტამენტის თავმჯდომარე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს დაანგრევდა საქართველოს ეკონომიკას. ისინი ფიქრობენ, რომ ქართული ღვინო რუსეთში ძალიან ბევრია. ხოლმოგოროვმა მე ვენაში მითხრა, რომ მათ დაგვიკეტეს ექსპორტი ერთ მილიარდ დოლარზე მეტად. როდესაც მე მას ვუპასუხე, რომ საქართველოდან რუსეთში ღვინის ექსპორტი იყო სულ რაღაც 65 მილიონი დოლარისა, ის მეტად გაოცებული დარჩა. მათ, ალბათ, ვერ დაიანგარიშეს ყველა საამქრო, რომლებიც მოქმედებენ მათი აგარაკების მახლობლად ბალახიშაზე, სადაც ასხამენ ფრანგულ და ქართულ ღვინოებს. მაგრამ არაფერი საშინელება არ მომხდარა. ჩვენთან ეკონომიკის ზრდამ შეადგინა 12,5 პროცენტი, ასეთი ზრდა არ გააჩნია არც ერთ სახელმწიფოს, რომელსაც არ აქვს ნავთობი. და ჩვენ კვლავ განვვითარდებით - ყველაფრის მიუხედავად.

კომმერსანტ

<<<<<<<< მე-6 გვერდიდან

ჩვენ ვერავის შევედავებით ჭრელობანას თამაშში, რადგან ფერ-ცვალებადობა ხელოვნების სამარეა. თუ დინამიკას სტატისტიკაც თან ახლავს, ვერაფერი ხელმოსაკიდი ვერ შეიქმნის“ (უბის წიგნაკებიდან 1927წ. №9). ოპოზიციას წარმოდგენა არა აქვს რა გზით უნდა წარიმართოს საქართველოს მომავალი. ისინი მშრალი ლოზუნგებითა და დეკლარაციებით საზრდოობენ, ტრაბახობენ რა, რომ მათ არ გააჩნიათ ეკონომიკური განვითარების პროგრამა.

მაშ, რატომ მაინცა და მაინც ლევან გაჩეჩილაძე გახდა ოპოზიციური სპექტრის აშკარა ფავორიტი და არა შალვა ნათელაშვილი, ან დავით გამყრელიძე, ან თუნდაც გია მაისაშვილი, ან სულაც ირინე სარიშვილი. ამ საიდუმლოებაში ჩამარხულია საზოგადოების აზროვნება და მოთხოვნილებათა თავისებურება. რადიკალურობაში და უტოპიურობაში მას არ ჩამოუვარდებოდა შალვა ნათელაშვილი, კონსტრუქციულობაში მას ჯობდა კიდეც დავით გამყრელიძე, ეკონომიკურ პროგრამათა მრავალფეროვნებაში ბადალი არ ჰყავდა გია მაისაშვილს, ირონიაში ირინე სარიშვილიც ტოლს არ უდებდა. მაშ, რა იყო ეს, რომ სააკაშვილზე განაწყენებულთა უდიდესმა არმიამ აირჩია ლევან გაჩეჩილაძე და არა სხვა დანარჩენი. საქმე იმაში გახლავთ, რომ მასში ზომიერად იყო შეზავებული ყველა ის ღირსება, რაც ჭარბად ახასიათებდა რაღაც სფეროში სხვა დანარჩენს. მასში ზომიერად იყო განზავებული სააკაშვილის ხელისუფლებისადმი სიძულვილი და ზიზღი. მან სპონტანურად შეითვისა, და არა გააზრებულად, მუხტი და ენერგია საზოგადოებრივი მოძრაობისა და სწორედ მისი მოუმზადებლობის გამო დაიკარგა შანსი სააკაშვილის მოშთობისა, სააკაშვილს ვამბობ და ვგულისხმობ ნეოკომუნისტურ მაფიოზურ კლანს, რომელიც შევარდნაძემ განხეთქილების ვაშლად დაუტოვა საქართველოს და ჩვენ კიდევ, ხატოვანი და მითოსური აზროვნება რომ დავურთოთ ნათქვამს ირონიის შესაფერადებლად, პარისს მივმართეთ, ვის უნდა რგებოდა ვაშლი. პარისს ვამბობ და მითიური პერსონაჟის უკან (ქალაქ პარიზის გამო) ვგულისხმობ მთლიანობაში ევრო-ამერიკულ იმპერიალიზმს, რომელსაც საკუთარი თავიც კი ვერ გამოურკვევია სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. საპროტესტო აზვირთების მუხტიც თანდათანობით ჩაკვდა და სანამ ახალი მღელვარება წამოიწყება, მანამდე დრო თავისას შვრება და ყალბ პრეზიდენტს გაამყარებს ტახტზე და სადავეებსაც კარგად მოზიდავს ხელახლა რომ დაჩაგროს ოპოზიცია და მერე საბოლოოდ გაუსწოროს მას ანგარიში. საამისოდ საფუძვლიანად ემზადება ისიც და მისი გამორევი საზღვარგარეთელი „მეგობრები“.

ძალუმად მახსენდება სიუჟეტი კინოფილმიდან „ნატვრის ხე“, როცა მარადიასთან მიდის შუამავლად ციციკორე და ეუბნება „გედია ცუდი ბიჭი როდია, მაგრამ უფხოაო“. სწორედ ასეთია დღევანდელი ჩვენი ოპოზიცია. ამიტომ დამჩემებია მიხეილ ჯავახიშვილისეული პოზიცია: „ბოლშევიკის დედაცაო, მენშევიკის მამაცაო. ერთი წუთის სიცოცხლე მაქვს, პატარა ხანს დამაცაო“ (უბის წიგნაკები 1931-1933წწ. აპრილამდე).

დაბოლოს, რიტორიკულად უნდა დავასრულო ოპოზიციაზე საუბარი. კომუნიზმის პრინციპიდან გამომდინარე - თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, - შეიძლება წავიკითხოთ შემდეგნაირად ისევ და ისევ მეტაფორული გაგებით - თვითეულისაგან ოპოზიცია ელოდება მისი უნარის მიხედვით ხელისუფლების სიმაგრის მორყევას, ხოლო „თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით“, - შეიძლება გავიაზროთ შემდეგნაირად,

- თვითეულს ამ სიმაგრის მორყევით გამოწვეული ვარდნა მოთხოვნილებისდამიხედვით დაეცემა თავში და გასრესს მოთხოვნილების გამორიცხვის მიუხედავად, რადგან მოთხოვნილება თავად გადახდება თავზე ისევე, როგორც ეს შევარდნაძისტების განადგურებას მოჰყვა.

IV. „მადით სავსე სიცარიელე“

კიდევ ერთი აფიორა შხამად და ბალღამად ჩააწვეთეს ოპოზიციას კათოლიკოს-პატრიარქის ბაგეებით, რათა რეალურ გზას ასცდენოდნენ და აბსურდული მოთხოვნები წამოეყენებინათ, ხოლო ამით ცხვარივით დაეფანტათ ოპოზიციის მომხრე ელექტორატი. ესაა საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეა. ეს სხვა არაფერია, თუ არა პროვოკაცია, რადგან ყველაზე კარგად სწორედ ილია II-მ იცის, თუ რას ნიშნავს დღეს მონარქიის აღდგენა და რომ კონსტიტუციური მონარქია საქართველოში არასოდეს არ ყოფილა და არყოფილის აღდგენა კი აბსურდია. ეს შეიძლება სიტყვების თამაშად ჩაგვეთვალა, ოპოზიციის ერთი ფრთა რომ არ წამოგებოდა ამ სატყუარასა და დაბეჯითებით არ ემტკიცებინა, პრეზიდენტობა იმისთვის მინდა, კონსტიტუციური მონარქია რომ აღვადგინოო.

პატრიარქმა ბრძანა - „მეფე მეფობს და არ მართავსო... ამას ნიშნავსო სახელმწიფოებრივი ასეთი მოწყობა“.

არსში თუ ჩავუღრმავდებით და ისტორიასაც გადავხედავთ, საქართველოში არ უმეფია ისეთ მეფეს, რომელსაც მხოლოდ ემეფოს და არ ემართოს. ქართველმა ერმა ამ წინადადებაზე გადაჭრით განაცხადა უარი და თამარ მეფე აბსოლუტური მონარქიის უფლებით აღჭურვა. ამ იდეის ავტორი და მოთავე ყუთლუ არსლანი ისტორიის დასაკარგავში ჩაიხრჩო, მისი დასი კი მიმოიფანტა ისე, რომ სანამ საქართველოს ანექსია არ განახორციელა რუსეთმა, ამ საკითხებზე მსჯელობაც კი არ ყოფილა. მხოლოდ 1832 წლის შეთქმულებაში განიხილებოდა რესპუბლიკურ ალტერნატივად კონსტიტუციური მონარქიის შექმნის იდეა, შეთქმულთა უმრავლესობა კი მაინც გაიყო აბსოლუტური მონარქიის მომხრეებსა და რესპუბლიკანელებს შორის და სწორედ ამიტომ იქნა შერჩეული კონსტიტუციური მონარქიის იდეა, როგორც კომპრომისი, და ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბაგრატიონები არ იყვნენ გადაგვარებულნი. ყველაფერ ამას ბოლო მოუღო იასე ფალავანდიშვილის ღალატმა. ამის შემდეგ საქართველო დაადგა რესპუბლიკის იდეის განხორციელების გზას. პარალელურად იყო პუგაჩოვშინის გამოვლინება, ოღონდ ქართული ვარიანტით და რეალურად არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. მხედველობაში მაქვს უტუ მიქავასა და არსენას გამოსვლები რუსიფიკატორული ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც იმთავითვე გაიგივდა რუსთ ხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლად. რუსეთშიც იყო ხელმწიფის წინააღმდეგ ბრძოლები და არაერთი. ისინი რესპუბლიკური წყობილების შექმნის იდეით წარიმართა. ჩვენთან სხვა მდგომარეობა იყო: თუ ვებრძოდით რუსთ ხელმწიფეს, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ მაინცა და მაინც რესპუბლიკური რუსეთის მონობა გვიხაროდა, ან უარს ვიტყოდით ქართველ მონარქზე. ეს კარგად გაიგეს და შეისწავლეს იმპერიის საგანგებო სამსახურებში. ამიტომ საქართველოში დაიწყო ტოტალური რუსიფიკაცია პირველ ყოვლისა თავადაზნაურობაში. წარჩინებულები თანდათან დამპყრობლის სამსახურში ჩადგნენ და სავსებით დაივიწყეს ეროვნული დამოუკიდებლობა. ილიაც კი თერგდალეულთა დასთან ერთად რესპუბლიკური მოწყობის ქვეყნისთვის იბრძოდა.

ქართველების შეგნებაში ქართველი მეფის წაშლაში ჯერ იყო და რუსეთის მონარქიული იმპერია ზრუნავდა და მთელი 116 წელი მოანდომა ბაგრატიონთა დინასტიის დამხობასა და პირველყოვლისა მათში და მერე ერში ქართული მენტალიტეტის ჩანაცვლებას რუსულით. მეფე ქართველისთვისაც და რუსისთვისაც პატრონი იყო, მაგრამ ვინ - ბაგრატიონი თუ რომანოვი. ქართველისათვის გამოიკვეთა ორი პატრონი, ამიტომ ერთი უნდა მოშთობილიყო და დარჩენილიყო მეორე, მაგრამ აუცილებლად დარჩენილიყო შეგნებაში, რომ რუსთ-ხელმწიფე ყველას პატრონი და მამაა. „ველიკოძერჟავა“ ბაგრატიონებს უყურებდა როგორც კონკურენტს (არც მეტი და არც ნაკლები). მათი რეპუტაცია ჯერ კიდევ შეურყვნელი იყო ხალხში, ამიტომ ისინი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გადაასახლეს და მათ შთამომავლებში დაიწყეს გარუსება. ერთის სიტყვით მთელი იმპერია ებრძოდა ერთ ღვთაებრივ საგვარეულო შტოს და საწადელს მიაღწიეს - პირველი ის, რომ ბაგრატიონები სამეფოდ აღარ ვარგოდნენ, მეორეც ხალხში დაიბადა მეფის სიძულვილი. ყველაფერ ამას ხელი შეუწყო მსოფლიოს გლობალურმა პროცესებმა XX საუკუნეში - სამეფო დინასტიების დამხობამ, ჰოდა, საქართველოში ვინ მოიწადინებდა ასი წლის წინ მეფობადაკარგული მონარქიის აღდგენას? იქამდე, ილიაც კი საქართველოს ავტონომიაზე ოცნებობდა რუსეთის ფარგლებში.

რევოლუციურმა ტალღამ რუსეთს ერთბაშად გადაუარა და ნიკოლოზ II-ს თავისი წინაპრების ცოდვამ ბაგრატიონთა წინაშე უწია. 1918 წლის შემდეგ საქართველო მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადავიდა. იმ 116 წელს ტვირთად კიდევ 90 წელი დაემატა, რაც საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიას არ უმეფნია. ერი გადაეჩვია ქართველ მეფეს, არც ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ატმოსფერო გვაქვს, რომ მეფე და სამეფო ინსტიტუტი ვარჩინოთ. ჩვენ ტვირთად გვაწევს არაფრისმაქნისი პარლამენტი და ყალბი პრეზიდენტი სარჩენად. აგრეთვე ქართული მენტალიტეტი ვეღარ მიიღებს გაუცხოებულ მექანიზმს. იყო დრო, როცა „... გაქრა უკანასკნელი რესურსი - ვინღა მიიღებდა მის საფასურს? ჩაბარებაც არაა საჭირო, ის უკვე „სახალხო მონაპოვარია“. მთელი ცხოვრება მუშაობდი, როგორღაც მოახერხე შეგეძინა მიწის მცირე ნაკვეთი ნამდვილად სისხლით მოპოვებული გროშებით, აგეშენებინა (ვალებში შემძვრალს) პატარა სახლი - და აი, აღმოჩნდა, რომ ეს სახლი „სახალხოა“, რომ იქ შენს ოჯახთან ერთად, მთელს შენს ცხოვრებასთან ერთად იცხოვრებენ ვიღაც „მშრომელები“. თავის ჩამოხრჩობა შეიძლება სიბრაზისაგან“ (ბუნინი „წყეული დღეები“).

ჩვენ გამოვიარეთ ის ეპოქა, როცა არათუ მეფეებს, თავად-აზნაურებს ცისფერსისხლიანებს ვეძახდით და ფიზიკურად ვანადგურებდით, ჩვენ გამოვიარეთ კოლექტივიზაციის ეპოქა, სადაც კერძო საკუთრება აღგვილი იყო პირისაგან მიწისა, სადაც შენი იყო ყველასი და ყველასი იყო შენი, რაღაც მიახლოვებული პირველყოფილ ჯოგურ წყობილებასთან, სადაც ინ-

საქართველოს შეგობოვლის საქართველოს ჯრეზილიანტი

დიდი და პერსონა ცხოვრებაში თავს ვერ გაიტანდა, თუ არა კოლექტიური თანაცხოვრებით. გამოყოფა და განცალკევება, თუნდაც კოლექტივში, რაღაც ნიშნით გამორჩეულობა ნიშნავდა უტყუარ სიკვდილს და განადგურებას, ან მიბრჯენით გესროდნენ, ან ზურგში დაგახლიდნენ ტყვიას. ეს იმიტომ, რომ კოლექტივიდან განცალკევება უდრიდა კოლექტივისაგან გარიყვას, ასეთ შემთხვევაში გარეშე ძალები გაგანადგურებდა, გარეშე ძალები კი არც დაგესიზმრებოდა, იმდენი და ისეთი დამთრგუნველი რამ იყო, ხოლო კოლექტივში რაღაც ნიშნით გამორჩეულობა ასევე სიკვდილის ტოლფასი წყლულება იყო პიროვნებისათვის, რადგან კოლექტივს უფროსი ჰყავდა, რომელიც ერთობლიობაში განასახიერებდა თვით კოლექტივს და შენ ამ დროს მისგან გამორჩეულს ვინ დაგაყრიდა კარგ დღეს?!

ეს და სხვა მიზეზები ფსიქიკას ურყევდა ქართველ კაცს და არათუ სძულდა („მოშორდნენ ტახტებს ვილჰელმი, კარლოს, ნიკოლოოზი და ფერდინანდი“, - გალაკტიონი) მონარქია, ეშინოდა კიდეც ამ სიტყვის გაგონება. მას ჩამოუყალიბდა პანიკური შიში, რომ თავადაზნაურობა მონარქიის აღდგენისთანავე წამოყოფს თავს, დაიმორჩილებენ და მათრახებით იმსახურებენ.

საქართველო ის ქვეყანა არაა, იმ ეკონომიკური შესაძლებლობისა, რომ ინგლისივით, ან ესპანეთივით, ან დანიასავით, ან ნიდერლანდებივით და სხვა კონსტიტუციური მონარქიული ქვეყნებივით მეფობანა ვითამაშოთ ჩვენც. იქამდე, სათანადო ტრადიცია გამქრალია ჩვენში. სამეფო რიტუალებითაც ევროპელების წაბაძვა სულაც არ იქნება ჩვენთვის ეროვნული გრძნობების გაღვივება. ევროპისთვის უცხო იყო მორდუობა და ძუძუმტეობა, ჩვენში კი მეფეები გლეხებს აზრდევინებდნენ უფლისწულებს, განა იმიტომ, რომ თვითონ ეზარებოდათ შვილების აღზრდა, ან არ იცოდნენ, პირიქით, აღზრდიდნენ და მერე როგორ, მაგრამ ჩვენში ქართველი მეფეები ვერსალის სასახლეებისმაგვარში არ ნებივრობდნენ, ჩვენ არ გვეცალა პეტერგოფივით შადრევნებიანი თვალისმომჭრელი სასახლეების საშენებლად, ჩვენ ნარიყალას, ბახტრიონს, ციხე-გოჯს, რუხის ციხეს ვაგებდით და იქ ცხოვრობდნენ ჩვენი მეფეები. ახლა რას მიბრძანებთ, ბავარიის მეფე ლუდოვიკო II-სავით ავაგოთ „ოცნების კოშკ-სასახლეები“- ნოიშვანშტაინი და მათში ვაცხოვროთ ესპანეთში თუ იტალიაში გამოზრდილი ქართველი უფლისწული, რომელმაც არ იცის ქართული ენა, ჩავაცვათ ინგლისური მუნდირი რუსული სამხრეებით, ფრანგული ეპოლეტებით, „აზიაკი“ ჩექმებით, ქართული ბოხოხით, აფხაზური ყალიონი მივცეთ პირში და გვერდით მივუსვათ გერმანულ-ინგლისურ-ფრანგულ-ესპანურ-რუსულ-ებრაულ-ამერიკული სისხლის ტურფა ბანოვანი პრინცესად და ვამეფოთ და არ ვამართვინოთ.

მე ისეთ მეფეს რა ვუთხარი, რომელიც საკუთარი ტახტისათვის თვითონვე არ იბრძვის და ელოდება დასაკარგავში დამალულს როდის დაუძახებენ - ა, შენ ტახტი და ა, შენ სკიპტრაო!..

მე ისეთ მეფეს დავასხი თავს ლაფი, რომელიც ჩირგვებში ზის და ელოდება როდის მიართმევს მას ათასბრძოლაგამოვლილი ვიღაც ჩხაფხათხაცხაურაძე სამეფო გვირგვინს. ვითომ, თუ აქამდე მივა საქმე, იმ გვირგვინს ის ჩხაფხათხაცხაურაძე ვერ დაიდგამს? ვერ მართავს და ვერ იმეფებს?

V. მოქალაქე თუ ქვეშევრდომი

„ჭეშმარიტი მონარქისტი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგეს იმ მოსაზრებაზე, რომ მის უდიდებულესობა მონარქს შეეძლება უბრალოდ გააკეთოს ყველაფერი ის, რაც მოსურვება იმ შემთხვევებშიც კი, როცა ყველაფერ ამიდან შესაძლებელია გამომდინარეობდეს სავალალო შედეგები. ჭეშმარიტი მონარქისტი თავს მოვალედ ჩათვლის ასეთ შემთხვევში თავის დაცვის ქვეშ აიყვანოს მონარქია თვით მონარქის წინააღმდეგ. მონარქიის ინსტიტუტი რომ სრულიად დამოკიდებული ყოფილიყო მხოლოდ მონარქის პიროვნებაზე, მაშინ მონარქიული რეჟიმი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა არსებულთაგან უსუსურ რეჟიმად, რამეთუ ღიად უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მონარქები შეიძლება ნამდვილად ღირსეულად ბრძენი და სამაგალითოდ ძლიერი ხასიათის პიროვნებები იყვნენ. <...> პატიოსანი ადამიანებისთვის ისტორია რჩება ისტორიად, ხოლო სიმართლე - სიმართლედ, თუნდაც ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი ეხება მონარქიას“ (ადოლფ ჰიტლერი „ჩემი ბრძოლა“ I ნაწ. X თავი: „გერმანული კატასტროფის ჭეშმარიტი მიზეზები“).

ჰიტლერი მართებულად გამოყოფს ერთმანეთისაგან მინარქიასა და მონარქს, იდეას და პიროვნებას, ერთმანეთისაგან გამიჯნავს იდეისა და პიროვნების როლს ერის ყოფა-ცხოვრებაში, ამიტომ პირველყოვლისა უნდა განვიხილოთ ერი, რომელმაც ან უნდა მიიღოს, ან უარყოს მონარქიის იდეა.

როგორც უკვე აღვნიშნე საქართველო ოთხმოცდამეათე წელია, რაც რესპუბლიკური წყობილების ქვეყანაა და მან სამი რესპუბლიკა გამოიცვალა. მონარქიის და მეტადრე რუსეთის იმპერიის დროს მასში ყოველი მცხოვრები იყო მეფის ქვეშევრდომი იერარქიის მიუხედავად, ჩინისა და წოდების მიუხედავად, სარწმუნოებრივი და იდეოლოგიური კუთვნილების მიუხედავად, რასისა და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, სქესისა და ასაკის მიუხედავად და ა.შ. რაგინდ თავისუფალი პიროვნება არ უნდა ყოფილიყავი, მაინც ხელმწიფე-იმპერატორის ქვეშევრდომი იყავი. რევოლუციამ და რესპუბლიკამ, ყველა, თუნდაც ყოფილი მონარქი მოქალაქედ აქცია, იქამდე ყველანი ერთმანეთის ამხანაგი გახადა, შეიძლება ეს მოქალაქე თავისი მოქალაქეობრივი მდგომარეობით იმ ქვეშევრდომზე უარეს ყოფაში ყოფილიყო ჩავარდნილი, მაგრამ იგი იურიდიულად მაინც მოქალაქე იყო, წოდებრივად თავისუფალი პიროვნება, პიროვნება სრულყოფილ საზოგადოებაში და არა დამამცირებელი ტიტულით ქვეშევრდომისა. ამდენად ხალხი შეეჩვია თავის მოქალაქეობრივ ყოფას და მათთვის მონარქიის აღდგენა, თუნდაც კონსტიტუციურ ფერუმარილში შეფერადებული, ფსიქოზურად ასოცირდება გვაროვნულ-წოდებრივი პრივილეგიების აღდგენასთან, თუნდაც ამის აღდგენას არ ითვალისწინებდეს მონარქია.

ქართველი ხალხი ვერ შეგუებია შევარდნაძე-საკაშვილის კასტას და იგი ბაგრატიონებს აიტანს?

არა მგონია!

მე ვეთაყვანები ნაპოლეონს არა იმიტომ, რომ იგი სისხლისმსმელი იყო, არამედ იმიტომ, რომ მან თავისი გარჯით,თავისი სიხლისღვრით მოიპოვა იმპაერატორის ტიტული და საფრანგეთი გამოგლიჯა ხელიდან პირსისხლიან იაკობინელთა რესპუბლიკას. სწორედ ასეთი მონარქი აღიარა მსოფლიომ და ტყვედქმნილიც კი საიმპერატორო პატივით სარგებლობდა.

კიდევ ერთიც: თუ ვინმეს საკაშვილის მოშთობა სურს, საამისოდ ყველაზე მიუღებელი გზა კონსტიტუციური მონარქიაა. აუცილებელი პირობაა, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი და იგი დარჩეს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის უფლება-მოვალეობათა ჩარჩოებში, ხოლო შიდა სახელმწიფოებრივი ძალაუფლება გადანაწილდეს საკანონმდებლო ორგანოზე და სამინისტროებზე, არ უნდა იყოს პოლიტიკურად გამოკვეთილი ლიდერის ინსტიტუტი (პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, თუ პრემიერ-მინისტრის). ერთის მოშთობას არ უნდა მოჰყვეს სახელმწიფოს წყობიდან გამოყვანა. წავა ერთი, სხვა მუშაობს, მაგრამ მოვა სხვა. სახელმწიფო მანქანა განუწყვეტლივ მოძრაობასა და მოქმედებაში უნდა იყოს. ამის შემდეგ საჭირო აღარ იქნება ვინმეს გამეფება. არც აფხაზეთის გამო არ შეიძლება მეფის მოწვევა იმის მოსაზრებით, რომ საქართველოს მეფის ტიტულატურაში არის „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა, ოვსთა და დურძუკთა“ მოხსენიება. ეს მხოლოდ კუთვნილების დეკლარირებაა, რომელსაც კონსტიტუციაც კარგად ახერხებს, მაგრამ საქმე წინ არ იძვრის. ეს მოსაზრება ან ცდომილების, ან სიყალბის შედეგი უფროა, ვიდრე ჭეშმარიტებისა.

დაბოლოს: მსურს გამოვთქვა ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მონარქიის იდეა წინა პლანზე წამოწეული იქნა შეცდომით და არა წინასწარ გამიზნული პოლიტიკური თამაშის შედეგად, ან სულაც გარდაუვალი იძულებით. მე მსურს ვიხილო ჩემი სამშობლოს რეალური მწყემსმთავარი პირუთვნელი, მართალი და შემართებული ისეთი სულმნათი, როგორიც კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი, კალისტრატე იყვნენ და მეტ და მეტ რწმენას შემმატებს უწმინდესი თავისი პირადი თავგანწირვის მაგალითებით.

მ. ბეჟანიშვილი

2008 წლის 21-27 იანვარი

ბიბლიური ნოველა



ᲞᲘᲚᲐᲢᲘ

შუადღეს აღარაფერი აკლდა.

ცხელოდა.

ბეთანიის ჩრდილო ჭიშკართან, მტვრიან ქუჩაზე კოკიანი კაცი გამოჩნდა.

ეტყობოდა, კოკა პირთამდე სავსე იყო, რადგანაც მხარზე გადაგდებულ თეთრ ტილოზე წყალი ეღვრებოდა.

კაცი ხშირად ჩერდებოდა. კოკას ჩამოდგამდა, ტილოს მოსასხამს გაწურავდა. მეორე მხარზე გადაიგდებდა და ახლა იმ მხარზე შეიდგამდა კოკას.

ყოველ გაჩერებაზე გზას გახედავდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ სამი ჯამქუდიანი ებრაელი სწორედ მას მოჰყვებოდა.

გაჩერდებოდა კაცი, გაჩერდებოდნენ მგზავრნიც.

დაიძვრებოდა, გაჰყვებოდნენ.

სახლს რომ მოუახლოვდა, კოკა ჩამოდგა და სტუმრებს დაელოდა.

ებრაელთა შორის ყველაზე მაღალი, შავთმაწვეროსანი დაწინაურდა, შორიახლო მოდგა და სალამი მისცა.

- შალომი ნუ მოგიშალოთ გამჩენმა. ახლავე ცოლს დავუძახებ და ჭიქას გამოვატანინებ.

მასპინძელმა იფიქრა, ალბათ, სწყურიათ და ამიტომ მომყვებოდნენო.

- ნუ შეწუხდები, შენთან უფრო დიდი საქმე გვაქვს.

სახლის პატრონი სმენად იქცა.

- უფლის ნებით, პასექი შენთან უნდა დავამზადოთ.

- ეს ჩემთვის ღვთის წყალობაა, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, - სახე გაებადრა მასპინძელს, - მე მორწმუნე ებრაელი გახლავართ და დიდი ცოდვა ხომ არ იქნება, გკითხოთ ვინაობა?

- ქრისტეს მოციქულები ვართ, მე პეტრე მქვია, ეს იუდაა, ეს კი - იოანე, - ჩურჩულით უთხრა იმ მაღალმა ხუჭუჭთმაწვეროსანმა.

მასპინძელი შიშმა შეიპყრო, მაგრამ არ შეიმჩნია. დარბაზში შეუძღვა სტუმრებს და სანამ მოციქულები ტყავისღვედებიან დაბალ სკამებზე ჩამოსხდებოდნენ, განწირულივით ამოილაპარაკა:

- მშვიდობა თქვენს მოსვლას, იესუ - მაცხოვარი ჩემი და მამა ჩემი, - ხმას კიდევ უფრო დაუწია, - თუ ძმა ხართ, შარს არაფერს გადამყაროთ. წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ, ჩემი თავი ტარიგად მომიძღვნია, მაგრამ ესენი არავის დაინდობენ, გუშინაც იყვნენ კაიაფას მსტოვრები; ქრისტეს ჭერი არავინ მისცეს და არც მის ქადაგებაზე დაგინახოთ, თორემ ჩვენთან გექნებათ საქმეო.

მოციქულებს პასუხი არ მიუციათ.

კაცმა კოკა აგურის იატაკზე დატოვა, ბოდიში მოიხადა და გავიდა.

გასვლისას, ცოტა არ იყოს, დაბნეული, გატანჯული სახე ჰქონდა.

ის იყო იუდამ საპასექო ფული დაარიგა და სახედაფარული მოციქულები ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ ბაზრისკენ, რომ სახლს უცნობი მოადგა და იუდა იკითხა.

- მე ვარ, - სანამ მასპინძელი გაეგებებოდა, იუდა მიეახლა.

- კაიაფა გიბარებს, ახლავე უნდა წამოხვიდე, - ისე ხმადაბლა უთხრა უცნობმა, რომ კარებში მდგარ მასპინძელს არაფერი გაუგია.

- წადი, მოგყვები.

იუდა დარბაზში შებრუნდა, მანტია წამოისხა და შიკრიკს დაედევნა.

კაიაფა სავარძელში იჯდა. თეთრი წვერი მკერდზე დაჰფენოდა. წვერს ქვემოთ მღვდელმთავრის მედალიონი უჩანდა.

იუდას სკამზე ანიშნა.

- იუდა, გულახდილად მითხარი, მოგწონს ეს საქმე? - დიდი პაუზის შემდეგ დაიწყო კაიაფამ.

- რა საქმე? - თითქოს შეკითხვას ვერ მიუხვდაო, იუდა.

- რაც ხდება, რასაც ქრისტე აკეთებს.

- რას „აკეთებს“? განა შენ არ მოგწონს, ბრმას რომ თვალებს უხელს, კეთროვანს ჰკურნავს და დავრდომილს ფეხზე აყენებს? ცუდს რას აკეთებს?

- თავს ნუ გაიშტერებ, იუდა. მე გეკითხები, მოგწონს-მეთქი ყოველივე, რაც ჩვენს თავს ხდება?

- ჯერ ერთი, მაგ შეკითხვის პასუხი შენ უკვე იცი, კაიაფა. რომ არ მომწონდეს, ქრისტესთან არ ვიქნებოდი. ცუდს რას აკეთებს-მეთქი, კითხვა შემოგბედე.

- ქრისტეს საქციელი ავადმყოფის მორჩენით ნუ შემოზღუდე, იუდა. შენ უფრო ნათელი გონების კაცი ხარ, ვიდრე თავს მაჩვენებ. შენ ებრაელი ხარ და ვალი გაქვს იმის, ვინც სამშობლოში დაგვაბრუნა.

- ვიცი.

- ჰოდა, არ შეიძლება ვერ ხედავდე, რომ სწორედ მოსეს რჯულს ემუქრება საშიშროება.

- განა ქრისტეს მოვლინებაც ღმერთის ნება არ არის? იქნებ უკვე იმის დროა, რომ მოსეს ცნებათა შორის ზოგი შესწორდეს, ვინ გითხრა, კაიაფა, რომ ქრისტე მოსეს მთლიანად უარყოფს?

- რჯული გვეღუპება, იუდა. განა იმისთვის ვიტანჯეთ, რომ ჩვენი რწმენა გაბზარულიყო. რჯულის დაღუპვა ებრაელობის დაღუპვას ნიშნავს, არ შეიძლება, შენ ეს არ გესმოდეს.

- მერედა ქრისტე ბზარავს რწმენას? რატომ არ შეგიძლიათ, უფრო შემწყნარებელ-შემრიგებლურად შეხედოთ მის ქადაგებას, რასაც სწორს ამბობს, მივიღოთ, რაშიც ცდება, პირდაპირ ვუთხრათ. თუმცა, არა მგონია, ცდებოდეს.

- ყური დამიგდე და რასაც გეტყვი, განსჯის ჭურაში გაატარე, იუდა. თქვენ ქრისტემ თავისი ექიმბაშური გრძნეულებით მოგნუსხათ და ბრმა ლეკვებივით გაგიყოლიათ. ვერ გავიგე, რა ბანგი გასვათ ასეთი, რომ წარბშეუხრელად ემორჩილებით. მითხარი, იუდა, ძალიან მოგწონს, ადამიანს ძაღლს რომ შეადარებენ? განა ქრისტემ არ უთხრა ავადმყოფი ქალიშვილის გადასარჩენად მისულ ბერძენ დედაკაცს - მე ძაღლებს არ ვმკურნალობო? რომ დავიბადეთ, ცდუნებაც ჩვენთან ერთად დაიბადა. ორმოცი წელი გვწვრთნა მოსემ უდაბნოში და სრულყოფილ არსებებად მაინც ვერ გვაქცია. ახლა კი მოდის ქრისტე და ამბობს, რომელმა თვალმაც გაცდუნოს, ამოითხარე და გადააგდეო. განა უცოდველი კრავები ხართ თქვენ - ქრისტეს მოციქულები? რატომ არ ითხრით თვალებს ან არ წარიკვეთ ხელთ?

- ეს... საერთოდ, მონანიებაც ხომ არსებობს. და მე მგონი, არც ქრისტე გვთხოვს, ყველაფერი პირწმინდად შეასრულეთო.

- რას ამბობ, იუდა. განა ქრისტე არ ქადაგებს, ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერიაო? ქრისტე ხომ დაფიქრების, გამოცდის, განსჯის, განხილვის საშუალებას არ გიტოვებს. უნდა დაემორჩილო, მორჩა და გათავდა.

- ზოგი რამ, იქნებ, მეც არ მომწონდეს, მაგრამ მოსესგან რომ ერთი ნაბიჯით წინ დგას, ხომ მეთანხმები?

- ჯერ იმაში შევთანხმდეთ, რაც ახლა წამოგცდა. ესე იგი, თქვენ, თორმეტი რჩეულთაგანი, ყველაფერში არ ეთანხმებით ქრისტეს. ხომ მართალია?

- დავუშვათ, ასეა.

- ახლა კი, იუდა, მოსეს ჩავხედოთ. მოსემ სადმე თქვა: ხვალინდელ დღეზე არ იზრუნოო? დღეს რასაც იშოვი, დღესვე შეჭამეო? ასე რომ მოვქცეულიყავით, გაძლებდა ებრაელობა? თუ გახსოვს, მოსეს ლეღვის ხე გაეხმოს, რატომ კარგი ნაყოფი არ გასხიაო. და ბოლოს, მოსე გეტყოდა „გიყვარდეს მტერნი შენიო?“

- ეგ კი მართლაც მშვენიერია. სიყვარულით უნდა მოაქციო მტერი, შენდობით უნდა გააუკეთესო.

- რას ამბობ, იუდა. ეგ რომ მთელმა ებრაელობამ ირწმუნოს, ხომ დავიღუპეთ. მტრის სიყვარულით აშენებული სახელმწიფო სად გინახავს. თუ მახვილი არ შეიბი, განა არ გადაგთელავენ გადამთიელნი? მტრის სიყვარული კი არა, ებრაელობის გადამრჩენი მოსეს დიდებული მცნებაა: „კბილი კბილისა წილ“.

- კაიაფა, ძალიან შორიდან ხომ არ იწყებ. არა მგონია, ამის სათქმელად გეხმე. ქრისტე - ქრისტეა, მე იუდა ვარ.

- დიახ, შენ იუდა ხარ და სახელიც გავალებს, იუდეველებს დაეხმარო.

- იუდა სხვაც არის თორმეტ მოციქულთა შორის. ესეც არ იყოს, რა ჩემი დახმარება გინდათ. ძალა თქვენია და უფლება. დამპყრობელ რომაელებს კუდში დასდევთ.

- ქრისტეს უნდა განუდგე, იუდა, ისკარიოტელო.

იუდას გაეცინა. სიმწრის სიცილით კი არა, ირონიული სიცილით.

- როგორ გამაცინე, კაიაფა. ქრისტეს განვუდგე და ვის მივუდგე?

- ებრაელობას.

- განა ქრისტე ებრაელი არ არის? განა ჩვენ, მოციქულნი, და უფალს რომ ყოველდღე ათასობით კაცი ახვევია, ებრაელები არ არიან?

- შეცდომილი ებრაელები ხართ, იუდა.

- დროს ტყუილად ვკარგავთ, კაიაფა. ჩემგან არ უნდა დაგეწყო. როგორ ფიქრობ, ისეთი სულელი ვარ, რომ განვუდგე იმას, ვინც სათნო მყო, ასი ათასში გამომარჩია და თორმეტთა შორის დამსვა? ბოლოს იმ თორმეტშიც გამომარჩია და ხაზინადარად მაქცია, ფულის ყულაბა ჩამაბარა?

- შენ, სწორედ შენ უნდა იხსნა ებრაელობა, იუდა. უნიჭოს და უბირს ეს არ მოეთხოვება.

იუდას ისევ გაეცინა.

- იქნებ მიბრძანო, მოვკლა მოძღვარი, ზურგში ხანჯალი ჩავცე?

- არა, იუდა. ქრისტე სინედრიონის სამსჯავროს უნდა გადაეცეს.

- მე რა შუაში ვარ. განა სინედრიონი თქვენ არა ხართ?

- გაგიკვირდება და არ დაიჯერებ, იუდა. ქრისტე მე შენზე ნაკლებ არ მიყვარს. ამიტომ მინდა რომაელთაგან ვიხსნა, რომაელთა მახვილს ავარიდო. ჯობს, უხუცესთა წინაშე აგოს პასუხი. ჩვენს წრეში, ჩვენმა კაცმა ჩვენვე დაგვიმტკიცოს თავისი სიმართლე.

- რასაც შენ ამბობ, კაიაფა, არახალია. განა ყოველდღე თქვენს წინაშე არ დგას და პასუხს არ გაძლევთ? შენ სხვა რამ გაქვს ჩაფიქრებული.

- სხვა რა უნდა მქონდეს. მინდა, კიდევ ერთი შანსი მივცე ქრისტესეული ჭეშმარიტების საღაღადებლად. ხალხი თვით აირჩევს, ვის გაჰყვეს.

- კეთილი და პატიოსანი. მესამეჯერ გეკითხები, მე რატომ ვარ აქ, კაიაფა? მე არც სინედრიონს წარმოვადგენ და არც უხუცესთა შორის ვითვლები.

- ქრისტეს უნდა აკოცო.

იუდას გაეცინა.

- ოჰო... ახალი ამბავი, მე ისედაც ვკოცნი ყოველდღე ჩემს მოძღვარს.

- ზეგ, გეთსიმანიის ბაღში სალოცავად რომ შეიკრიბებით. ჩემს ხალხს გამოვგზავნი. როგორც კი კვარებითა და მაშხალებით მოგადგებიან, შენ, ერთმა თორმეტთაგანმა უნდა აკოცო ქრისტეს და უთხრა: „რაბი, გიხაროდენ“. სინედრიონის მსახურნი, თქვენ რომ დაცინვით „ფარისევლებს და მწიგნობრებს“ ეძახით, ქრისტეს შუაში ჩაიყენებენ და ჩვენთან წამოაბრძანებენ. უხუცესთა საბჭოს წინაშე წარსადგომად.

- ჩემი კოცნა რაღა საჭიროა, განა არის ვინმე სინედრიონში, გნებავთ იერუსალიმში, ბეთანიაში, ნაზარეთში ან გალილეაში, ქრისტეს რომ არ იცნობდეს?

- ხომ შეიძლება შეეშალოთ. რა? ასე ძნელია შენთვის, აკოცო შენს მოძღვარს? წელან არა თქვი, ყოველდღე ვკოცნიო?

- კოცნა ადვილი საქმეა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ლოცვის დროს და მაინცდამაინც გეთსიმანიის ბაღში. ქრისტე ყოველდღე სინაგოგებში თუ იერუსალიმის დიდ ტაძარში თქვენ თვალწინ არ ქადაგებს? მიდით და ქადაგების დამთავრების შემდეგ მოკიდეთ ხელი. ან ხელის მოკიდება-დატუსაღება რად უნდა, გარბის სადმე? დაიბარეთ და თავად გეახლებათ.

- მეგონა, მიხვდებოდი, იუდა, რომ ამასაც ქრისტეს სახელის განსადიდებლად ვაკეთებ. ჩვენს წინაშე რომ წარსდგება, სათქმელი ექნება, იმიტომ ბრაზობთ ჩემზე, რომ მართალი ვარ. რას ჰგავს, რაც ჩაიდინეთ, მოციქულებთან ლოცვის დროს, ნაპასექევს, როგორც ავაზაკს, მომეჭერით და ძალით წამომიყვანეთო. ეს კი მცირე ალიბი როდი ექნება მისი უპირატესობის დასამტკიცებლად.

- ვთქვათ, მე დავიჯერე, რომ ეს კოცნა-სერობა და მაშხალებით მოძღვრის თქვენამდე მოცილება, ქრისტესვე განსადიდებლად კეთდება, სხვები რომ გამოესარჩლონ და შეხლა-შემოხლა ატყდეს? ხომ იცი, რა ფანატიკურად გვიყვარს თორმეტივეს.

- არ დაიჯერო, იუდა, ეგ ამბავი. თქვენ გიყვართ სიმშვიდეში თქვენი წინამძღოლი, გიყვართ თქვენი დამპურებელი და ფეხის დამბანი, მაგრამ როგორც კი საშიშროებას იგრძნობთ, ცხვრებივით შემოეფანტებით.

- ვერ გერწმუნები, კაიაფა. მაგრამ არც გეკამათები. თვით ქრისტე? განა „ძე კაცისა“, რომელიც სამი დღის მკვდარ ლაზარეს აცოცხლებს და წყალს ღვინოდ აქცევს, ასე ადვილად დაგნებდებათ? ვერ მოახერხებს თქვენგან თავის დაცვას? ან იმას გაპატიებთ, რომ ძალით მიგყავთ სინედრიონში?

- ეგ ყველაფერი გათვლილია, იუდა. მე და შენ ის შევასრულოთ, რაც ჩვენ მოგვიწოდა განგებამ. ჩვენი საქმე პატარაა. ქრისტე თუ კაცია, მიხვდება ჩვენს სიკეთეს, თუ ღმერთია, ეს ჩვენი შეხვედრაც მისი მოწყობილია და ჩვენი ახლანდელი საუბარიც ესმის.

„საუბარიც ესმისო?!“ ამ ფრაზამ შეაშინა იუდა.

სადღაც, სულის კუნჭულში, ეჭვი ეპარებოდა სწორედ იმაში, რაც კაიაფას პირით გაცხადდა.

„იქნებ გრძნეული კაცია და ღმერთი არ არის“...

იქნებ... იქნებ...

- არ დამავიწყდეს, - დუმილი კაიაფამ დაარღვია - სინედრიონს შენთვის ოცდაათი ვერცხლი გამოვაყოფინე. ვიცი, ხელმოკლედ ცხოვრობ, გამოგადგება. გასვლისას კარისკაცი მოგიწონის.

- გმადლობ... იმ ოცდაათ ვერცხლს ქრისტეს კოცნაში არ მაძლევდე, კაიაფა.

- საყვარელი მოძღვრის კოცნაში ჯერჯერობით ოცდაათ ვერცხლს არავინ იძლევა. შალომ!

- შალომ, შალომ, კაიაფა.

გვიან ღამით, სინედრიონიდან გამოსულ იუდას ბეთანიის უკაცრიელ ქუჩაზე მთვარის ჩრდილი მისდევდა.

●

ლოცვისგან დაღლილ-გათანგულ მოციქულებს გეთსიმანიის ბაღის შემოსასვლელთან ჯერ გნიასი მოესმათ, მერე ზეთისხილის ხეებს შორის ამოზვავდა ხელკეტ-მაშხალიანი ბრბო.

იუდამ ბრბოში, მისთვის სრულიად მოულოდნელად, რომაელი ლეგიონერები შენიშნა და მიხვდა, რომ კაიაფამ მოატყუა.

მტკიცედ გადაწყვიტა, მღვდელმთავრისთვის მიცემული პირობა არ შეესრულებინა, ხოლო ოცდაათი ვერცხლი გათენებისთანავე ცხვირ-პირში მიეყარა გაიძვერა „მწიგნობრისთვის“.

და სწორედ იმ წამს მოხდა ისეთი რამ, რასაც იუდა ვერასოდეს წარმოიდგენდა:

მდევრები სამ ნაბიჯზე რომ მოახლოვდნენ, ქრისტემ იუდას უჩურჩულა:

- მაკოცე!

ცრემლგამშრალი იუდა წამოდგა და მოძღვარს ეამბორა.

სინედრიონის ერთგულ მსახურ მალქოზს, რომელიც პირველი მიეჭრა ქრისტეს, ხელები გადაუწრიახა და ზურგთან ბაწრით შეუკრა, პეტრემ ხანჯლით ყური ჩამოათალა.

მალქოზმა ყურზე იტაცა ხელი და საზარელად აბღავლდა.

- პეტრე! რას სჩადი! ამ მონამ რა იცის, რას აკეთებს. - თქვა ქრისტემ, მერე მალქოზს მიუბრუნდა - ნუ გეშინია. აიღე ყური!

მონამ ყური აიღო და მიიწეპა. მიიწეპა თუ არა, მაშინვე გაუმთელდა.

იუდეველებმა ქრისტე რომ გაინაპირეს, რომაელი ჯარისკაცები გამოენთნენ მოციქულებს.

მოციქულებმა პირი იბრუნეს და სიბნელეში ზეთისხილის ხეებს შორის ტყაპატყუპით ჩაიკარგნენ.

ერთი ახალგაზრდა მლოცველიღა დაიჭირეს რომაელებმა. „მე რა შუაში ვარო“, მოთქვამდა ყმაწვილი. თავდაღმართში რაც ძალა ჰქონდა გაიწია, სამოსი დამჭერს შეატოვა, მარცხნივ თხრილზე გადახტა და თავს უშველა.

ოდენ იუდა დარჩა გეთსიმანიის ბაღში. არ განძრეულა, არც ბრბოს გაჰყოლია და არც მოციქულებთან მიმალულა.

ზემოდან დასცქეროდა, ყაყან-ჟრიამულით, პანღურის ცემით და გინებით რომ მიჰყავდა ბრბო თავშიშველი მაცხოვარი.

ამ ამბიდან მეორე დღეს, გამთენიისას კაიაფას სახლის კარს ვიღაცამ ხელკეტი დასცხო.

კაიაფა ერდოზე გადმოდგა.

- იუდა? შემოდი!

ისკარიოტელი განთიადისფრად გაფითრებული, თავიდან ფეხებამდე კანკალებდა:

- ეს არის, რომაელთა ხელში არ ჩავაგდებო?!

იუდამ ოცდაათი ვერცხლი იატაკზე მიმოაბნია:

- დაიბრუნე ჩემი ამბორის საფასური. რა დაგიშავე, რომ ასე გამწირე, კაიაფა!

იუდა ტიროდა.

- გვიან არის, იუდა, ამ ოცდაათი ვერცხლის დაბრუნება. მეც მომატყუეს...

იუდამ იმ დილითვე იქვე, სინედრიონის მახლობლად, კაკლის ხეზე ჩამოიხრჩო თავი.

●

იუდა თავის მცირედმორწმუნეობამ და ვერცხლის სიყვარულმა დაღუპა, მაგრამ თერთმეტი გაქცეული მოციქული? სამჯერ უარმყოფელი პეტრე? მლოცველი ჭაბუკი („შიშველი რომ გაიქცა)? ან პილატეს სამსჯავროსთან შეკრებილი ებრაელობა რისთვის დასაჯა უფალმა?

იმის სათქმელად ხომ არა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეგო კაცობრიობას, არ არსებობს ბოლომდე ერთგულება. შენი ყველაზე ახლობელიც კი ერთხელ მაინც გიღალატებს.

რეზო მიშველაძე

ჟირაფსლო ფაგანეგანულეგლ!

ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ შექმნილა სიტუაცია, როდესაც მის სახელმწიფოებრივ მოწყობას, ტერიტორიულ მთლიანობას, სტაბულური არსებობისა და განვითარების პერსპექტივებს და საერთოდ ერის მომავალს სერიოზული საფრთხე დამუქრებია.

ჩვენ, ამერიკის შეერტებულ შტატებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორის წარმომადგენლები ვთვლით და მიგვაჩნია, რომ ისტორიის ამ ეტაპზე შექმნილი ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, საერთო არასტაბილური გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე კიდევ ერთხელ დადგა საქართველოს როგორც ერთიანი და სუვერენული ქვეყნის ყოფნა-არყოფნის, არსებობის საკითხი.

ამ საერთო დაძაბულობისა და რუსეთის მიერ აშკარა აგრესიის ფონზე ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართულმა ემიგრაციამ თავისი მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, რათა ისტორიის ამ რთულ ეტაპზე და შემდგომშიც დავიცვათ ჩვენი ქვეყანა ყოველგვარი საგარეო აგრესიისგან, ამისათვის შევქმნათ ყველანაირი, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებლივი და იდეოლოგიური საფუძვლები ამგვარი მძიმე კრიზისების დასაძლევად.

დღეს ჩვენ აშშ-ში ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ და ვთვლით, რომ ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ფლაგმანია და ამასთანავე, რომლის მხარდაჭერითა და თანადგომით უნდა გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის მრავალი საგარეო თუ საშინაო პრობლემა, რომლის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური თანადგომა ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს საფუძველსა და გარანტიას წარმოადგენს, უნდა არსებობდეს ძლიერი და გავლენიანი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლობი.

თუ რამდენად ეფექტური იქნება ამ ლობის მუშაობა აშშ-ს ოფიციალურ და საქმიან წრეებთან, კონგრესთან, სენატთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო და დამოუკიდებელ საინფორმაციო საშუალებებთან, რამდენად სწორად იქნება აწყობილი საზოგადოებრივ ურთიერთობის სამსახურის მუშაობა, რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი კონტაქტები, რამდენად პოზიტიური იმიჯი შეექმნება საქართველოს და მის ხელისუფლებას დღეს, ყველაფერი ეს დიდ გავლენას მოახდენს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე და მის საერთაშორისო სტატუსზე.

სამწუხაროდ, დღეს აშშ-ში არ არსებობს ჩამოყალიბებული ქართული სათვისტომო, არამედ მას აქვს გაბნეული და არაორგანიზებული ეთნიკური დიასპორის სახე. არ გვაქვს კულტურულ-რელიგიური ცენტრი, არ არსებობს ქართული ლოკალური დასახლება, არ არის განვითარებული ქართული მასმედია და საინფორმაციო სამსახურები (თუ არ ჩავთვლით ყოველთვიურ ქართულ გამოცემა „მამულს“), სუსტია შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები თავად დიასპორის შიგნით, არ არსებობს ერთიანი ეროვნული იდეოლოგია, ამას ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებასა და ქართულ ემიგრაციას შორის სუსტი კავშირები, პრაქტიკულად რომ არა „რუსთავი-2“ -ის „კურიერის“ ინტერნეტული ვერსია, ვართ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში და საქართველოს ამბებს ვიგებთ ხშირად არც თუ მეგობრულად განწყობილი საინფორმაციო საშუალებებიდან - მოკლედ რომ ვთქვათ, **არ არსებობს ძლიერი ემიგრაციული ინფრასტრუქტურა.**

აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ აქაური ქართული ემიგრაცია გახდეს ძლიერი და გავლენიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლობი, აუცილებელია, რომ თავად ქართული დიასპორა ჩამოყალიბდეს ძლიერ სათვისტომოდ ანუ მიეცეს „ეთნიკური სათვისტომოს“ სახე თავისი ფუნქციით, უფლებებითა და საზოგადოებრივი სტატუსით. ამ პროცესის რეგულირება კი უნდა მოხდეს ერთიანი მუშა ორგანოს – ე.წ. საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით.

საკოორდინაციო საბჭო იქნება სტრუქტურა, რომელშიც გაერთიანდება ყველა ის ორგანიზაცია თუ პიროვნება, რომელიც ჩართულია სათვისტომოს ფორმირების პროცესში. აშშ-ში არსებული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს, ასევე სხვა სახელმწიფო ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები, ქართული ეკლესიის საბჭოს წევრები, სათვისტომოს აქტივისტები, ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწენი, ყველა ვინც საკუთარი სურვილითა და მოტივაციით მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს სათვისტომოს შენებაში.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და ქართული სათვისტომოს ინტერესები ერთი უნდა იყოს, ამიტომ, საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურათა მონაწილეობა საბჭოში აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

საკოორდინაციო საბჭოს უნდა გაჩნდეს მმართველი და აღმასრულებელი სტრუქტურები: საინფორმაციო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურები, სამედიცინო, სტატისტიკის სამსახურები, იურიდიული და ბიზნეს სტრუქტურები. ამასთანავე ფილიალები ქართველებით დასახლებულ ქალაქებში.

მმართველ (საკანონმდებლო) ორგანოდ შეიძლება მოვიაზროთ ე.წ. „ქართული დარბაზი“, რომელშიც გაერთიანდება ზემოთხსენებული პიროვნებები და იქნება ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქართული სათვისტომოს ჩამოყალიბების ერთიან გეგმასა და მისი განხორციელების სტრატეგიას, პრიორიტეტებსა და ზოგად მიმართულებებს, ამასთანავე დასახავს ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს.

აღმასრულებელი ორგანო ე.წ. დირექტორატი წარმოადგენს სამუშაო სტრუქტურებსა და რგოლებს, მათ შორის:

1. საინფორმაციო სამსახური - ქართული მასმედია, საინფორმაციო ბიულეტენი, გაზეთი, ტელე და რადიო გადაცემები;
2. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახური - „PRჯგუფი“
3. იურიდიული სამსახური - საემიგრაციო, ბიზნეს, საერთაშორისო და სხვა სამართალი;
4. სამედიცინო სამსახური - ქართული სათვისტომოს სამედიცინო სტატუსის დადგენა, სათვისტომოს წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი და კონტროლი;
5. „ფანდრაიზერთა“ ჯგუფი-საგრანტო პროექტები და საქველმოქმედო ღონისძიებათა ორგანიზება, თანხების მოძიება და მოზიდვა;
6. ფილიალთა ინფრასტრუქტურა შექმნა და გაძლიერება იმ ქალაქებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ, სახლდებიან;
7. ტექნიკური და საკომუნიკაციო სამსახურები - ქართველთა ერთიან საინფორმაციო საკომუნიკაციო სივრცეში მოქცევა ინტერნეტული ტექნოლოგიების დანერგვითა და ფართო გამოყენებით. (სატელეფონო ბარათები, ინტერნეტკონფერენციები, ვიდეოკონფერენციები, ტელემედიცინა);
8. სხვა სამსახურები.

ASOCIATSIA
TVISTOMI
TVISTOMI
ASSOCIATION

დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება კონსოლიდაცია და ერთად ყოფნა. ამისათვის მოგიწოდებთ ყველას, ვისაც სურვილი აქვს ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში - შემოგვიერთდით ჩვენ და მონაწილეობა მიიღეთ საკოორდინაციო საბჭოს ფორმირებაში.

კოორდინაცია და ერთიანობა დღეს საჭიროა ისე, როგორც არასდროს. შემოგვიერთდით!

საკოორდინაციო საბჭოს საინიციატივო ჯგუფი, ნიუ იორკი,
24 აპრილი, 2008 წელი

ზუსტად არავინ იცის, დღესდღეობით, რამდენი ქართველია ბედის საძიებლად განფენილი მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე, კონკრეტულად კი ამერიკაში.

სავარაუდოდ უნდა ითქვას, მათი რიცხვი ამერიკაში უკვე იმდენად სოლიდურია, რომ მართლაც იმსახურებენ შედარებით ცივილიზებული და ორგანიზებული ფორმით არსებობას, შესაძლებლობის ფარგლებში მაინც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან ჩამოსულთა უმრავლესობა ლეგალურ სტატუსს არ ფლობს, ასოციაციამ „თვისტომი“, ფაქტიურად უკვე დაიწყო რეალიზება იმისა, რაც გუშინ შეიძლება ოცნების დონეზე თუ მოიაზრებოდა. ანუ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, აქ მყოფი ქართველებისათვის იყოს უშუალოდ, ოფიციალური თუ არაოფიციალური ურთიერთობების მოგვარების ეპიცენტრში.

მაგალითად გამოდგება ქვინსში, სულ ახლახანს ამოქმედებული ქართული სამედიცინო ოფისიც.

ამ ოფისის გახსნის სიკეთე მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში როდი მდგომარეობს. პროფესიონალ თანამემამულეებთან ურთიერთობით, სასიამოვნო ემოციური გარემოც იქმნება, რადგან გამოკვლევა და მკურნალობა ქართულ ენაზე მიმდინარეობს და თავისთავად ჩნდება შეგრძნება იმისა, რომ უკვე არა ხარ მარტო, დაუცველი და მიუსაფარი, რომ შენზე ზრუნავენ.

მართალია არა გაქვს ამერიკული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის სტატუსი, მაგრამ გაქვს შენთვის განკუთვნილი ადგილი, სადაც თამამად მიგესვლება, ყურადღებით მოგისმენენ, განუგეშებენ და გიპატრონებენ.

პირადად ჩვენთვის ასეთი დატვირთვა აქვს ქვინსში, ლონგ აილენდის საზღვართან მდებარე საუკეთესო აპარატურითა და მაღალკვალიფიცირებული ექიმებით დაკომპლექტებულ სამედიცინო ოფისს, სადაც პაციენტებს მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონი, ექიმი **ირინა მიქაბერიძე** მასპინძლობს.

სწორედ იგი პასუხობს დღეს თქვენთვის საინტერესო კითხვებს.

თვისტომი - ადგილი, სადაც ველიან!

- თვისტომის სამედიცინო ჯგუფის სათაო ოფისი, ბატონი დიმიტრი ტვილდიანის მიერ ქვინსში დაარსებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ რადიოლოგიური ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა. დღესდღეობით კი პაციენტების მოთხოვნისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, ბრუკლინშიც საჭიროდ ჩავთვალეთ ფილიალის არსებობა. ქართველებისათვის ბრუკლინი, კერძოდ „ბრაიტონი“ თავშეყრის ადგილად მოიაზრება და უმრავლესობისათვის უფრო მოსახერხებელია აქვე მოიგვარონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

- კერძოდ რა სახის მომსახურეობას სთავაზობთ მათ?

- პირველ რიგში მშობლიურ ენაზე მომსახურებას, შემდეგში ჩვენს მაღალკვალიფიცირებულ სამედიცინო პერსონალს და მათ გამოცდილებას, რომელთაც აქვთ ამერიკული დიპლომები და მუშაობენ ამერიკის სხვადასხვა წამყვან კლინიკებში. ვთავაზობთ აგრეთვე ნიუ იორკში ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო დიაგნოსტიკური აპარატურით მომსახურებას, ფაქტიურად ისეთი გამოკვლევებისათვის, როგორიცაა: მაგნიტორეზონანსული, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა სრული დათვალიერებით, გულის ექოსკოპია, ფარისებრი ჯირკვალის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ელენთას, პანკრეასის, თირკმელების, გულის კარდიოგრაფია - რენტგენული გაშუქება, ძვლების სიმყიფის დადგენა, დენსიტომეტრია, სისხლის და შარდის სრული ანალიზი და სხვა.

რაც შეეხება ფასებს, მინდა აღვნიშნო, რომ ფასები ჩვენთან საგრძნობლად განსხვავდება სხვა ამერიკულ თუ რუსულ სამედიცინო ოფისებში დადგენილი ფასებისაგან და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

- როგორც ვიცი, ასოციაცია „თვისტომის“ წევრთათვის დამატებითი შეღავათებია გათვალისწინებული?

- ასოციაციის წევრობა საშუალებას გაძლევთ ჩაიტაროთ სრული, წლიური სამედიცინო გამოკვლევა, თანაც სიმბოლურ ფასებში. მიიღოთ სამედიცინო სტატუსი, გყავდეთ საკუთარი ექიმი და მრჩეველი, აწარმოოთ უფასო სატელეფონო კონსულტაციები, აგრეთვე გახსნათ პერსონალური ფაილ-ისტორია.

- იქნებ მოგვითხროთ, თუ როგორ ხდება ასოციაციაში გაწევრიანება?

- გაწევრიანება ხდება როგორც ადგილზე - ოფისში მოსვლით, აგრეთვე ფოსტით. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ფორმა და გამოაგზავნოთ. რის შემდეგაც თქვენ ფოსტითვე გადმოგეგზავნებათ მოწმობა და ანგარიშის გახსნისათვის საჭირო მონაცემები. საწევრო გადასახადი შეადგენს თვეში 25 დოლარს. მინდა აქვე დავძინო, რომ ჩვენთან საემიგრაციო სტატუსს არანაირი ყურადღება არ ექცევა.

ჩვენ ენერგიასა და თავისუფალ დროის უდიდეს ნაწილს არ ვიშურებთ თანამემამულეთა ჯანმრთელობისათვის - ყოველ შაბათს, დასვენების ნაცვლად ბრუკლინის ოფისში ვახდენთ პაციენტების მიღებასა და მომსახურებას. რაც შეეხება ორგანიზაციულ მხარეს, იგი გარდა ჩვენი ენთუზიაზმისა, მოითხოვს რეალურ ფინანსურ სახსრებს და დანახარჯებს, სწორედ ამას ხმარდება ის მინიმალური შემოსავალი, რაც გათვალისწინებულია საწევრო გადასახადით.

- სამედიციო ოფისში ყოველდღე მატულობს პაციენტთა რაოდენობა. ეს თქვენი პოპულარიზაციის ზრდაზეც მეტყველებს და იმაზეც, რომ საფუძველი ეყრება ქართული სამედიცინო ოფისის სერიოზულ მომავალს...

- რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უზარმაზარი სტიმულის მომცემია, როდესაც მადლიერი, განკურნებული პაციენტი უკვე თვითონ გიწევს რეკომენდაციას. გეძლევა ძალა იფიქრო უფრო მეტის გაკეთებაზე.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ჩაფიქრებული გვაქვს არსებული სამედიცინო ჯგუფის ბაზაზე შეიქმნას ქართული სათვისტომოს სამედიცინო ცენტრი, ეს ნიშნავს, სათვისტომომ მიაღწიოს სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლას, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს უფასოდ მოვემსახუროთ ქართულ ემიგრაციას.

ამის ნათელი მაგალითი გახლდათ ჩვენს მიერ 2005 წლის 5 ივნისს წმიდა ნინოს სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოწყობილი მკერდის კიბოს დაავადებათა პროფილაქტიკის პირველი სემინარი-კონსულტაცია. ამ შეხვედრაზე მოწვეული გვყავდა ამერიკულ-იტალიური ორგანიზაცია „Women's outreach network“ წარმომადგენელი, რომელმაც წაიკითხა ლექცია და წარმოადგინა შესაბამისი კომპიუტერული პრეზენტაცია და სპეციალური სასწავლო ვიდეო-ფილმი, რომლის შემდეგ დარიგდა შესაბამისი სამედიცინო ლიტერატურა და ვიდეომასალა. ამასთანავე დაიწყო ჩაწერა 28 ივლისს ჩვენს ოფისში დაგეგმილი მკერდის გამოკვლევა-მამოგრაფიაზე.

მინდა აღვნიშნო, რომ ეს ღონისძიება ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ როგორც ჩვენთვის, ასევე პაციენტთათვის, რადგანაც ამერიკული სტანდარტებით 40 წელს გადაცილებულმა ქალმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიკეთოს მკერდის რენტგენული გამოკვლევა-მამოგრაფია. დღესდღეისობით ჩვენი ქალბატონებისათვის ძალზედ ძნელია ამის გაკეთება ამ პირობებში - დროის, მანძილის და ფასის გამო.

ჩვენ შევძელით დაგვეძლია ამერიკული ბიუროკრატიისათვის და ჩაერთეთ სპეციალურ პროგრამაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენი თანამემამულეები გამოვიკვლიოთ ყოველგვარი ემიგრაციული სტატუსის მიუხედავად სრულიად უფასოდ! ამასთანავე დავძენ, რომ თუ გამოკვლევისას პაციენტს რაიმე დაუდგინდა, მისი შემდგომი მკურნალობა და ისიც უფასოდ, მას გარანტირებული აქვს, ანუ გართულების შემთხვევაში მას უყურადღებოდ არავინ დატოვებს. დღეისათვის, „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფმა მკერდის უფასო გამოკვლევა უკვე 400-ზე მეტ ქართველ ქალბატონს ჩაუტარა რომელთა უდიდესი ნაწილი შემდგომ მკურნალობას ნიუ იორკის სხვადასხვა სპეციალიზირებულ ჰოსპიტლებსა და სამედიცინო ცენტრებში გადის.

- მართლაც ძალზედ საჭირო საქმეს აკეთებთ ირინა და მიხარია რომ ეს პროცესი თქვენი ჯგუფის წყალობით გრძელდება. ძალიან მძიმეა ემიგრაციული ყოფა ისეთ პირობებში, როდესაც ამდენი სანერვიულო და საგონებელი გაქვს ადამიანს, ისიც მარტოობაში და ამერიკაში უსტატუსობის პირობებში, რომელიშიც ჩვენი დიასპორის უდიდესი ნაწილია დღესდღეობით, სოციალურად სრულიად დაუცველი ვართ და შესაბამისად რისკი იმისა რომ სტრესისა და დეპრესიის ფონზე ნებისმიერი სამედიცინო პრობლემა უკიდურესად გართულდეს, საკმაოდ დიდია. რას ფიქრობთ იმ მძიმე ფსიქოლოგიურ ფონზე, რომელიც თან სდევს ჩვენს ემიგრაციას აშშ-ში?

- მართალი ბრძანდებით!

ჩვენი ემიგრაცია ყოველმხრივ დაუცველია და შესაბამისად ეს დაუცველობისა და მომავლის შიშის სინდრომი დიდ გავლენას ახდენს თანამემამულეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, მის სიჯანსაღეზე და სტაბილურობაზე. ხშირია ნერვული გადაძაბვები, ნერვოზები, დეპრესიები და ფსიქოზებიც კი. მოგეხსენებათ თუ რაოდენ მზა ნიადაგია ამგვარი მოშლილობები მრავალი სერიოზული დაავადების გამწვავებისათვის. სწორედ ამიტომ არის „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფის იდეა-ფიქსად ქცეული ქართული სათვისტომოში „სავალდებულო“ ანუ რუტინულ წესად ვაქციოთ ზოგადი გამოკვლევა – დათვალიერება ანუ ე.წ. სკრინინგი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დროულად აღმოვაჩინოთ სამედიცინო პრობლემა, სანამ იგი სერიოზულად გართულდება, თორემ შემდეგ მკურნალობის გაათმაგებულ ღირებულებას ვინღა სჩივის... ამიტომ დავიწყეთ ჩვენ თანამემამულეთა ზოგადი სამედიცინო გამოკვლევა ბრუკლინის ოფისში, შაბათობით. ყველასათვის მისაღებ დღეს, დროსა და ადგილზე, თანაც ხაზგასმით აღვნიშნავ რომ ფასი რეალურად 6 და 8-ჯერ ნაკლებია რეალურ ფასზე.

ნებისმიერ სხვა სამედიცინო კლინიკაში ფარისებრი ჯირკვლის, საძილე არტერიებისა და მუცლის აორტის ვასკულარული დიაგნოსტიკა ე.წ. „ეხოსკოპია“, ღვიძლის, ნაღვლისბუშტის, ელენთისა და პანკრეასის, თირკმელების, შარდის ბუშტის, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს, ასევე მთლიანად გულის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა დაახლოებით 1500 დოლარი ღირს, ასევე სისხლისა და შარდის ის ანალიზი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალურად ქართველი თანამემამულეთათვის, სხვაგან რეალურად 500-600 დოლარს აღწევს, რადგან მასში შედის არა მხოლოდ სისხლის საერთო ანუ ზოგადი ანალიზი, არამედ მთლიანად სისხლის ჰემატოლოგია, სისხლის ბიოქიმია – 29 კომპონენტი, ელექტროლიტები, შარდოვანა, კრეატინინი, პროტრონბინი, შაქარი, შარდმჟავა, ღვიძლისა და ცალკე ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციათა განსაზღვრა, ცილები, ხოლესტერინი, ასევე შარდის ანალიზი და მრავალი სხვა მაჩვენებელი, რომელიც არცერთ სხვა კლინიკაში ასე ერთად და თანაც ამ ფასში (100 დოლარად) არ კეთდება. როგორც ხედავთ 1500 და 500 დოლარის სანაცვლოდ მთელი გამოკვლევები ჩვენთან შესაბამისად 180 და 100 დოლარია ანუ 2000-ის ნაცვლად 280 დოლარია. ამის საშუალებას გვაძლევს ჩვენი ორგანიზაციის სტატუსი და კარგი რეპუტაცია სამედიცინო წრეებში, ჩვენი ხელმძღვანელობისა და ასევე ჩვენი პირადი ურთიერთობები და კავშირები.

- თქვენ მოგვითხრეთ დიაგნოსტიკაზე და ამასთანავე ბრძანეთ იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე, როგორიცაა სტრესი, გადაძაბვა, უძილობა, გადაღლა, დეპრესია, უიმედობა, ნერვოზული და ფსიქოზური მდგომარეობა, შიშები და სხვა. საინტერესოა თუ გაქვთ რაიმე დაგეგმილი ამ მდომარეობის შესამსუბუქებლად და საერთო ფსიქოლოგიური ფონის გამოსასწორებლად?

- შესაძლოა ხმამაღლა ჟღერდეს და გარკვეულწილად ამბიციურადაც, მაგრამ ვთვლი რომ თვისტომმა თავისი არსებობით უკვე შეიტანა ამ საქმეში თავისი წვლილი. ის ფაქტი რომ არსებობს აშშ-ში ქართული ორგანიზაცია, სადაც ამდენი სასიკეთო საქმეა წამოწყებული, ასობით ადამიანს უკვე გაეწია დახმარება და ამ დახმარებების სპექტრი და მასშტაბები დღითიდღე მატულობს, ეს ყველაფერი უკვე ასუსტებს ჩვენში უიმედობისა და დაუცველობის სინდრომს. ის ფაქტი, რომ დღეს არსებობს ორგანიზაცია, ხალხი, რეალური პიროვნებები, არსებობს ტელეფონი, რომელზედაც დარეკავ და ქართულად გიპასუხებენ, გკითხავენ გასაჭირს და შეძლებისდაგვარად დახმარებასაც აღმოგიჩენენ, ეს ფაქტი თავისთავად ქმნის ემიგრაციაში ცხოვრების ჯანსაღ ფსიქოლოგიურ გარემოს. სწორედ ამიტომ გვჭირდება ყველას თქვენი თანადგომა და გაძლიერება. ასოციაციის კარები ღიაა ყველასთვის და ნებისმიერს შეუძლია შემოგვიერთდეს და ჩაერთოს ამ პროცესში.

რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, - ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით ვაპირებთ ჩვენი წევრებისათვის შევქმნათ 24-საათიანი ფსიქოლოგიური სატელეფონო სამსახური, რასაც ფაქტიურად უკვე ვაკეთებთ კიდეც. ხშირად საათობით ვუსმენთ და ვანუგეშებთ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ფიზიკურად ვერ მოდის ჩვენამდე. მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნერვოზით შეპყრობილი, დეპრესიაში მყოფი ადამიანისათვის მოზღვავებული ემოციებისაგან დაცლას. ამიტომ, როგორადაც დაკავებულნი უნდა ვიყოთ, ყურმილს არავის ვუთიშავთ.

- ნამდვილად საჭირო საქმეა. როგორც ვიცით აქაური სამედიცინო სისტემა სამედიცინო დაზღვევაზეა აგებული. ხომ არ ფიქრობთ ანალოგიური სისტემის შემოღებას ქართველებისათვის ანუ ქართული სამედიცინო პოლისის შემოღებას?

- კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ არა მხოლოდ ცუდი ამბავი ვრცელდება სწრაფად, არამდე კარგი იდეებიც. დიახ, „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფი მუშაობს ახალ პროდუქტზე - ქართულ სამედიცინო დაზღვევის პოლისზე. ამ პოლისის მეშვეობით ჩვენს თანამემამემამულეებს შეეძლებათ იქონიონ დაბალფასიანი სამედიცინო დაზღვევა საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად. უფრო მეტიც, თქვენ იცით რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია რომ ჩვენი ხალხი იყოს დაზღვეული და დაცული აშშ-ში და ვცდილობთ რომ შევქმნათ ერთიანი უნივერსალური სისტემა, რომლითაც ქართველი დროებითი ემიგრანტები აქაც და მათი ოჯახები საქართველოში ერთნაირად დაცული იქნებიან.

ეს ასე მოხდება: საქართველოში ასოციაცია „თვისტომის“ ფილიალის ბაზაზე იქმნება სამედიცინო ჯგუფი, რომელიც კონკურსის ბაზაზე მხოლოდ გამოცდილი და მაღალკვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალით იქნება დაკომპლექტებული. ამ პოლისით, რომლის ყიდვაც აშშ-ში მცხოვრებ თანამემამულებს შეეძლებათ, შესაძლებელი გახდება საქართველოში დარჩენილი ასაკში მყოფი მშობლებისათვის ან მცირეწლოვანი ბავშვებისათვის მუდმივი სამედიცინო მომსახურების გაწევა, ყურადღებისა და მზრუნველობის გაწევა მათთვის. ანუ რაც დასავლეთში მდიდარ ოჯახებშია მიღებული - საკუთარი კერძო ოჯახის ექიმთა ინსტიტუტის შემოღება სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრთა უსაფრთხოებისათვის. დამერწმუნეთ რომ თვეში 40-50 დოლარის ფასად საქართველოში იყოლიო შენს ოჯახზე მიჩენილი კარგი ექიმი-სპეციალისტი, რომელიც ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოაკლებს შენიანს, არც თუ ისე ცოტა რამ არის.

დარწმუნებული ვარ რომ პოლისი მრავალ ჩვენთაგანს მისცემს მშვიდი და უშფოთველი ძილის საშუალებას და იმის გრძნობას, რომ ოჯახის წევრები დაცულები არიან. ბევრჯერ ყოფილა რომ ავადმყოფობის დროს საკმაოდ დიდი თანხები გაუგზავნიათ ოჯახის წევრთა დასახმარებლად და სამკურნალოდ, მაგრამ ეს თანხები უმიზნოდ უკვალოდ დახარჯულა. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ თავისი საქმის მცოდნე, გამოცდილ და ერთგულ ოჯახის ექიმს, რომლის პირდაპირ ვალდებულებაში შედის რომ პოლისში მყოფი პიროვნებათა მკურნალობა სწორი გზით წარმართოს.

იგი პასუხს აგებს ამაზე ჩვენსა და პოლისის მფლობელის წინაშე. გარდა იმისა, რომ ეს ჯგუფი ჩვენი როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლებს, ასევე ტელემედიცინის გამოყენებით საშუალება ექნებათ ამერიკელი ექიმების კონსულტაციებიც მიიღონ. დამერწმუნეთ, რომ ეს საკმაოდ სერიოზული რამ არის.

- ქალბატონო ირინა, დავუბრუნდეთ აქაურ ამბებს, - „თვისტომის“ სამედიცინო ფილიალი რომ ბრუკლინშიც არსებობს, ეს ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია და მრავალ ჩვენს თანამემამულეს გაუადვილებს სამედიცინო გამოკვლევას, მაგრამ მათ, ვისაც ბრუკლინშიაც უჭირთ ჩამოსვლა, რას სთავაზობთ? რითი შეგიძლიათ დაეხმაროთ?

- ჩვენ თანამემამულეთა არც ეს კატეგორია დაგვრჩა ყურადღების გარეშე. თვისტომის სამედიცინო ჯგუფის მობილური სამსახურის მეშვეობით შესაძლებლობა გვაქვს ადგილზე მისვლით მოვემსახუროთ პაციენტებს. ჩვენი ოპერატიული ჯგუფი გამოცხადდება გამოძახების ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე ჩასულებს დაგვხვდება არა ერთი, არამედ რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც იქვე ჩაუტარდებათ ულტრაბგერითი გამოკვლევები, სისხლისა და შარდის ლაბორატორიული ანალიზები, გადავუღებთ კარდიოგრამას და დავუნიშნავთ სათანადო მკურნალობის კურსს. ამისათვის საკმარისია 7-10 ადამიანის ერთად შეკრება. მაგალითად, თუ არსებობს კომპაქტურად დასახლებული ჯგუფი გარკვეულ არეაში, შესაძლებელია ერთ მისამართზე ყველას შეკრება და გამოკვლევის ჩატარება. ასე ამგვარად ნიუ ჯერსის, კონეკტიკუტისა და ზედა ნიუ-იორკის მოსახლე თანამემამულეებს ნიუ-იორკში ჩამოუსვლელად შეუძლიათ ჩაიტარონ სამედიცინო შემოწმება.

ოფისის ხელმძღვანელ ბატონ დიმიტრი ტვილდიანის ინიციატივით ქართველ პაციენტებისათვის გამოკვლევების დაბალი ფასების დაწესება გვაძლევს საშუალებას, რომ შევქმნათ რამოდენიმე მუდმივი სამედიცინო დიაგნოსტიკური პროგრამა და შევთავაზოთ თანამემამულეებს მუდმივი გრაფიკით. მაგალითისთვის, ყოველი თვის ბოლო შაბათ-კვირას სამედიცინო ჯგუფი ჩვენს თანამემამულეებს სთავაზობს ჩაიტარონ თავის ტვინის მაგნიტორეზონანსული გამოკვლევები ე.წ. „ემარაი“ ყველაზე დაბალ ფასში - სულ რაღაც 290-345 დოლარად! ამით ჩვენ გვექნება საშუალება, მოვძებნოთ მიზეზები სათვისტომოს წევრებში საკმაოდ გავრცელებული ისეთ სიმპტომებზე, როგორიცაა - თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევის ხშირი შეგრძნება, ყურების დაგუბება, თვალებში დაბნელება და სხვა. ამ გამოკვლევის საშუალებით ჩვენ შეგვეძლება თხელ შრეებად, თანმიმდევრულად დავათვალიეროთ თავის ტვინი და გამოვრიცხოთ რაიმე ორგანული არასასურველი ცვლილებები, თუ კი ამისი გარკვეული ეჭვი არსებობს. ეს სიმპტომები ფართოდ არის გავრცელებული ქართულ დიასპორაში და ვფიქრობთ, რომ ეს გამოკვლევა აუცილებელი კომპონენტი იქნება საერთო გამოკვლევებისათვის.

ტკივილი

ჩემად კვნესის სანთელი, ბესო!

გულდათუთქული ღვრის ცხელ ცრემლებს სანთელი, ბესო.

უსიტყვოდ მიმხვდარა სათქმელს, გადასდებია ჩვენი დარდი და და აბრიალებული იწვის. მასაც ხომ გული აქვს, ნაზი, სათუთი...

ტირილიც რა ლამაზი იცის მერე?!

ცეცხლის ალით ელამუნება შენს სახეს და კიდევ უფრო ამძაფრებს იმ განცდებს, შენი ფიქრიანი თვალებით რომ გვიყვები სურათიდან: უსაზღვროდ მადლობელი ხარ დედაშენის, შეუძლებელი რომ შეძლო შენთვის ოკეანის გაღმიდან; გაოცებული შენი ნინოს სიყვარულის ძალით, დედის მაგიერი სითბო რომ არ მოგაკლო სასთუმალთან რვა წლის განმავლობაში; პატარა გოგონების მოკრძალების, ქვეცნობიერად რომ ხვდებოდნენ შენი აღსასრულის მოახლოვებას და საერთოდ ყოველი შენი ახლობლის, გული რომ ტკიოდათ...

რა არის გასაკვირი? ნამდვილად იმსახურებდი ამას! თბილი, საოცრად ყურადღებიანი, სიყვარულში უსაზღვრო...

ახლა მაისია, მშვენიერი ვარდობისთვე, გაზაფხულის მიწურული და ისეთ სურნელს აფრქვევს ვარდი გადაშლილი გულიდან, ჩვენს ქვეყანაში, თავბრუ დაგეხვევა. ასეთი ვარდებით მოგეფინება საფლავი ოცდაშვიდში, შენი დაბადების დღეს და თითოეული მათგანიდან მიწაზე დავარდნილი ნამის წვეთი, ჩვენი ცრემლის სიმძიმესაც გაგრძნობინებს ზეციურ საქართველოში.

მაინც რა მოუთმენლად ელოდი ხოლმე, პატარაობიდანვე, მაისის შემობრძანებას, უცნაური სიხარულით ეგებებოდი პატარძალათვეს ბუნების კართან, თითქოს იღბლიანობის დასტურს თხოვდი ბედს. კიდევ მრავალჯერ დადგება 27 მაისი შენიანებისთვის, მხოლოდ უშენოდ და შენს გარეშე.

მძიმეა ჩვენთვის ეს, ბესო, თორემ შენმა უხილავმა, ეკლიანმა გვირგვინმა, ტკივილებით რომ მოგიწნა მოურჩენელმა სენმა, უკეთეს სამყოფელში დაავანა შენი ლამაზი სული, სულ ახლახან, იქ, სადაც მისტიური სიწყნარე და სიმშვიდეა, სადაც შენს ასაკში მამაშენის სულიც შეერწყა მარადისობას.

რა საოცარი დამთხვევაა, ან რაა ოცდაათი წელი...

ჩემსავით ჩუმად კვნესის შენთვის დანთებული სანთელი, ბესო.

დაბადების დღეს გილოცავს შენი **ლაილიკო**

ჩვენ ვეღარ ვიქნებით შენთვის!

კობა შავაძის ხსოვნას

კიდევ ერთხელ იმუხთლა წუთისოფელმა - აურია ტკბილ თაფლში მწარე ნაღველი; კიდევ ერთხელ შეიწირა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ბედის უკუღმართობამ...

დააკლდა ჩვენს მამულს კარგი ვაჟკაცი, საიმედო მეგობარი, მზრუნველი შვილი, ერთგული მეუღლე, შვილზე უსაზღვროდ შეყვარებული მამა, დისა და სიძის გვერდში მდგომი უღალატო ძმა...

რა ვქნათ ჩვენ, ცოცხლად დარჩენილებმა, როგორ ვაიმედოთ დარდში დამდნარი უბედური დედა, ქალბატონი ცირა ცინცაძე, ან რა ვუპასუხოთ 3 წლის მაკას, რომელიც ერთი დღეც კი ვერ ძლებდა მამის გარეშე, ან ჩვენ რა ვიღონოთ, დედის მეგობრებმა, რომლებიც შენ, პატარა ბიჭო, მეგობრად გთვლიდით და შორიდან გეალერსებოდით? შინაურის თუ გარეულის იმედი შენ იყავი, თვითონ კი 24-ე გაზაფხულსაც კი ვერ მოესწარი...

მხოლოდ იმითღა ვიმშვიდებთ თავს, რომ უფალსაც საუკეთესოები სურს სამოთხის დასამშვენებლად და შენს ლამაზ სულსაც იქ დაუვანა განსასვენებელი.

ცაზე გაელვება იყო შენი სიცოცხლე კობა შავაძე, მაგრამ შენ არც აწმყოს დაავიწყდები, და არც მომავალს.

შენი ლამაზი სული ჩვენს გვერდით იცოცხლებს, მუდამ ჩვენთან იქნება, ისაა რომ ჩვენ ვეღარ ვიქნებით შენთვის.

დედის მეგობრები

სამძიმარი

მანუჩარ კაჭახიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ოჯახის მეგობრის, პარლამენტარ

კოტე ბარძაიას

გარდაცვალების გამო

გაზეთ „მამულის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს საზოგადოებას ქართული ჭადრაკის დიდოსტატის

ბუხუტი გურგენიძის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „მამულის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება 25 მაისს, ბრაიტონ ავენიუზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად ქართველი ემიგრანტის,

ნათია გუჯეჯიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს

DISCOUNT PLUS STORE

მაია ნინოშვილის საიგენცო

GEORGIA-USA TRAVEL

პირველხარისხოვანი
საქართველოდან და
საქართველოშიც და
გლობალის ნებისმიერი
ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

მილოცვები

ჩვენი დროების მერვე საოცრებას, ქალ-ლეგენდას, ქართული პოეზიის მეხოტბეს, უდიდებულეს დედას, თხემით ტერფამდე ვაკელს, ჩვენს **დალი ხოფერიას** ვულოცავთ დაბადების დღეს. სიხარულს და ბედნიერებას, სულში მზეობას ვუსურვებთ.

გკოცნით, გეხვევით, გივარდებით წელში
შენიანები მეშვიდე ბრაიტონიდან:

მარინა გელაშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ნარგიზა ბიბიჩაძე, ცირა ცქიფურიშვილი, ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე

* * *

ამ მილოცვას უერთდება გაზეთ „მამულის“ რედაქციაც (უფრო სწორედ, ჩვენს მილოცვას უერთდებიან ზემოთჩამოთვლილნი) და დაბადების დღეს ულოცავს ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს, ქალბატონ **დალი ხოფერიას**

* * *

მალხაზ ბუზალაძეს

დიდი სითბოთი და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს.

საამაყო ქართველი ხარ, და მართლაც უბადლო თამადა. შენი თამადობით სუფრას ოკეანისგაღმა მამულის ეშხი აქვს, ამიტომაც ხარ ჩვენს წრეში უალტერნატივო თამადა.

გისურვებთ, რომ შეუნელებელი ყოფილიყოს შენს სულში ეს ქართული მუხტი და გაგეძლიერებინოს ყოველი ქართველი ემიგრანტი.

დიდი სითბოთი,
აზა ბრეგვაძე, ბიძინა ჩხიკვაძე, სოსო ბაბუნაშვილი, ნანა ჩახნაშვილი, ანა ორჯონიკიძე, დათო აბაშიძე, მიმოზა ახალაია, ლეილა მჯედლიშვილი, ნანა ანთიძე.

* * *

ჩვენს **ხათუნა მოდებაძეს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენს პატარა და ლამაზ ოჯახთან ერთად.

სოფოლია ძმიკოს ითხოვს და დროა ყური უსმინოთ მის თხოვნას.

მეგობრები ბელვილიდან

* * *

დაბადების დღეს ვულოცავ კარგი მამის კარგ შვილს, მშვენიერ **ძეთი მანდარიას,** სიხარულს, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და წარმატებებს ვუსურვებ.

მ. კაჭახიძე

* * *

ზაზა რევაზიშვილს,

დღეობას გილოცავთ და გლოცავთ.

ნიუ-იორკში მთელი სრულყოფილებით არ იარსებებდა ქართული ხალხური სიმღერა, რომ არა შენი არსებობა. ჩვენს სამეგობროს ხომ ალამაზებ, მაგრამ არანაკლებ მამულიშვილური წვლილი შეგაქვს ქართული ანსამბლის არსებობის საქმეში ამერიკაში.

გვიხარია, და ვამაყობთ შენით.

მოწიწებით,
ბიძინა ჩხიკვაძე, აზა ბრეგვაძე, სოსო ბაბუნაშვილი, ნანა ჩახნაშვილი, ანა ორჯონიკიძე, დათო აბაშიძე, მიმოზა ახალაია, ლეილა მჯედლიშვილი, ნანა ანთიძე.

* * *

ჩვენს **ზურა თოიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებთ თავის სამ ვაჟკაცთან და მეუღლესთან ერთად.

პატივისცემით,
ბიძინა ჩხიკვაძე, აზა ბრეგვაძე, სოსო ბაბუნაშვილი, ნანა ანთიძე.

* * *

დაბადების დღესა და მწვანე ბარათით ხელდამშვენებას ვულოცავთ ჩვენს ძვირფასს **როლანდი იჩქიტიძეს.**

სულ ასეთი გახარებული, ბედნიერი, მწვანე შუქით გევლოს შენი ცხოვრების ბილიკებზე.

დიდი სითბოთი, აზა ბრეგვაძე, ბიძინა ჩხიკვაძე, სოსო ბაბუნაშვილი, ნანა ჩახნაშვილი, ანა ორჯონიკიძე, დათო აბაშიძე, მიმოზა ახალაია, ლეილა მჯედლიშვილი, ნანა ანთიძე.

* * *

დიდ მამულიშვილს, **გოგა გოგილაშვილს** ვულოცავთ შვილობილის, ჭეშმარიტად ქართული ვებ-პორტალის www.gogaggg.com სამი წლის იუბილეს.

მადლობა გოგა იმისათვის, რომ შენი სტუმრები მართლაც ვგრძნობთ თავს სამშობლოში, ხელმისაწვდომი გახადეთ თითოეული ემიგრანტისათვის აგრერიგად ნატრული ქართული ფილმი.

ოლოლო შენს ენერგიას, შემართებასა და სიყვარულს თანამემამულეებისადმი.

მეზობლური სალმით, გაზეთ „მამულის“ რედაქცია

ნელი ულოცავენ

დაბადების დღეს ულოცავენ მეგობრები და უძღვნიან ამ მოკრძალებულ ლექსს

და რომ არ იყოს ქვეყნად სიკეთე,
შენ იქნებოდი მისი შემქმნელი;
და რომ არ იყოს სვეტიცხოველი,
არ ინთებოდეს წმიდა სანთლები,
შენ ააგებდი ამ დიდ მშვენებას
და გახდებოდი ყველას მლოცველი;
ხელს გაუწვდიდი ყველა ტანჯულ ხალხს,
გულში მალულად ჩაიხუტებდი.
შენ იქნებოდი ტაბიძის ლექსი
და გრიშაშვილის რითმის მომგვრელი,
შენ გაგახვევდა ვაჟა ნაბადში
და გახდებოდი მისი რჩეული.
წინანდლის ვარდის სურნელი დაგკრავს,
ასე ნაზი ხარ და უნაზესი,
მინდა დაგლოცო ამ ქვეყანაზე,
უფალი შენსკენ, უზენაესი.

იყიდება

თბილისთან ახლოს, წავკისში, აკადემიკოსების დასახლებაში სახლი ეზოთი. პირველ სართულზე მოთავსებულია მისაღები, სასადილო ოთახები და ბახარი. მეორე სართულზე ოთხი საძინებელი ოთახი, ლოჯი და ღია აივანი. სველი წერტილები ორივე სართულზე. ეზო 800მ² ხეხილით.

დაგვიკავშირდით:
თბილისში 21-55-51,
ამერიკაში 732-423-8788.
ფასი შეთანხმებით.

ვყიდი სამოთახიან ბინას ვორონცოვზე. განვადებით.
ცნობებისათვის დარეკეთ:
732-644-5034, იკითხეთ მარინა



შემოწირულობა
მამულის
გადარჩენისათვის

სურვილი მაქვს „მამულის“ არსებობისათვის გავიღო — დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

სატელეფონო ბარათი

მამული

5 საათი თბილისზე 4.5 დოლარად



დარეკეთ
ავილაბს
საქართველოში

მხოლოდ ამ მისამართზე:
Discount Plus store
2910 Brighton 8th street
Neptune ave-ის კუთხეში

ასავალ
დასავალის
ბერძნიორობით

მამული

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ჩვენი გაზეთის შემდეგი
ნომერი გამოვა 14 ივლისს

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE